# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 22 ივნისი, 2006 წელი.

№ 119 (5459)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ნუ გავყიდით, მოვუაროთ საქართველოს!

როცა „ამხელა იურისტებიც" ცდებიან

იხ. მე-2 გვ.

## აფხაზეთში ქართველებს დღესაც იტაცებენ და დღესაც კლავენ

იხ. მე-6 გვ.

## მტრის ხატი

იხ. მე-5 გვ.

## სტალინი: ეკონომიკის გენიოსი თუ ბოროტმოქმედი?

იხ. მე-8-9 გვ.



# დაძაბული მდგომარეობა უნივერსიტეტში აუცილებლად უნდა განიმუხტოს!

იხ. მე-2 გვ.

## ვინ ჩაჯდება პრეზიდენტის მატარებელში?

იხ. მე-4 გვ.

## ერთმანეთისკენ გაწვდილმა ხელებმა სიკეთე უნდა თესონ და არა უნდობლობა

იხ. მე-5-6 გვ.

## შემოსავალი მცირდება, ცხოვრება კი უღმერთოდ ძვირდება



იხ. მე-7 გვ.

## ფიქრები პრეზიდენტის ადმინისტრაციის შეფ გიორგი არველაძესთან არშემდგარი ინტერვიუს გამო



იხ. მე-3 გვ.

◉ მიმართვა

# დამაბული მდგომარეობა უნდა განიმუხტოს!



**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გუშინ სპეციალური მიმართვა გაავრცელა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებელთა დარბევის ფაქტს ეხმაურება. „ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ინტელიგენციის მიმართ ასეთი აგრესიული დამოკიდებულება დაუშვებელია“, – ნათქვამია პატრიარქის მიმართვაში.**

მისი განცხადებით, ბოლო დროს უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის გაჩენილი სერიოზული უთანხმოების გამო, მრავალ მეცნიერს, მათ შორის საკმაოდ ცნობილ მეცნიერებსაც, სასიცოცხლო სახსრების გარეშე დარჩენის საფრთხე ემუქრებათ. ხშირ შემთხვევაში კი, მათი ჩანაცვლება უკეთესი კადრებით ვერ ხერხდება.

„უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ადამიანებს ერის წინაშე დიდი დამსახურება აქვთ. ტოტალიტარული რეჟიმის დროს ისინი იცავდნენ ქართულ კულტურას, ენას და ეროვნულ ცნობიერებას. გარდა ამისა, მათი სამეცნიერო ნაშრომები მსოფლიოშია აღიარებული. ამის დავიწყება არ შეიძლება!“, – ნათქვამია პატრიარქის მიმართვაში.

კათოლიკოს-პატრიარქი მიიჩნევს, რომ დაძაბული მდგომარეობა აუცილებლად უნდა განიმუხტოს. „ვიმედოვნებთ, რომ განათლების სამინისტრო აირჩევს არა დაპირისპირების, არამედ პრობლემის კონსტრუქციულად მოგვარების გზას. დღეს, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, ჩვენი მეცნიერების პოტენციალის უგულებელყოფა დაუშვებელია“, – აღნიშნავს უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

◉ კანონმდებლები

# როცა „ამხელა იურისტებიც“ ცდებიან

**პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა ბიუროს დავალებით შეისწავლა ტელეკომპანია „თრიალეთის“ დამფუძნებლის ბიზნესინტერესები და დაასკვნა, რომ ბადრი ნანეტაშვილი დეპუტატის სტატუსთან შეუთავსებელ საქმიანობას ეწეოდა. გუშინ კომიტეტის თავმჯდომარემ ხათუნა გოგორიშვილმა დასკვნა პლენარულ სხდომაზე წარადგინა.**

რეგლამენტის თანახმად, პარლამენტის წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე ადრე უნდა განიხილოს, ამიტომ სხდომა სწორედ ნანეტაშვილის საქმიანობაზე მსჯელობით დაიწყო. მანამდე მხოლოდ ორიოდე განცხადება გაკეთდა.

უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენები, ბუნებრივია, დეპუტატთა ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდა. პირველად განცხადებით გუგული მაღრაძე გამოვიდა და კოლეგებს მოუწოდა, შეექმნათ დაპირისპირებული მხარეების წლობით აღჭურვილი ჯგუფი, რომელიც დიალოგით შეეცდებოდა კონფლიქტის მოგვარებას. მისი თქმით, ეჭვს ქვეშ არ დგება უნივერსიტეტში კონკურსის ჩატარების საკითხი, ოღონდ პირობებია შესათანხმებელი და სწორედ აქ არის საჭირო მედიატორის ჩართვა.

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ გრიგალაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის პროფესორებმა წერილობით მოითხოვეს მასთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრა, მაგრამ პასუხს არ დაელოდნენ და მეორე დღესვე მიმართეს პროტესტის სხვა ფორმას. მათი მოქმედების გამო გაოცება გამოთქვა გრიგალაშვილმა, ამასთან, ერთდ-ერთ პროფესორს კონფლიქტის გაღვივებაში დასდო ბრალი: – აღვნიშნე, რომ უნივერსიტეტში კონკურსის ჩატარება შეუქცევადია, მან კი ჩემი სიტყვები დაამახინჯა, თითქოს მეთქვას, რომ პოლიციის მისვლა იყო შეუქცევადი. რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის, უნივერსიტეტში პოლიციის მიყვანა, კონფლიქტის ამ გზით მოწესრიგება კარგიაო? ეს ცეცხლზე ნავთის დასხმაა.

იმისათვის, რომ დაპირისპირება არა ძალადობით, არამედ მოლაპარაკებით ჩაცხრეს, მაღრაძის ინიციატივის თანახმად, პარლამენტი მედიატორის მოვალეობას საკუთარ თავზე აიღებს. ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ხათუნა გოგორიშვილმა კოლეგებს ნანეტაშვილის საქმის დეტალები გააცნო.

საპროცედურო კომიტეტის წევრებმა 21 პიროვნებას ჩამოართვეს ახსნა-განმარტება. მათმა უმრავლესობამ დაადასტურა, რომ ბადრი ნანეტაშვილი ტელეკომპანია „თრიალეთისა“ და გაზეთ „თრიალეთის“ ყოველდღიურ ხელმძღვანელობას განაგრძობდა მას შემდეგაც, რაც პარლამენტის წევრი გახდა. ამასთან, იგი აშანტაჟებდა დაწესებულება-საწარმოების ხელმძღვანელებს. კომიტეტმა ამის დამადასტურებლად მიიჩნია დოკუმენტები, რომელთა თანახმადაც, შიდა ქართლის ყველა რაიონის გამგეობები რიცხავდნენ ფულს „თრიალეთის“ ანგარიშზე. ბადრი ნანეტაშვილმა ვერ დაამტკიცა, რომ იგი არ ხელმძღვანელობდა ტელეკომპანიასა და გაზეთს, მას მართვის თავისი ძმისთვის ფორმალურად გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტებიც კი არ ჰქონდა წესრიგში.

დეპუტატები საპროცედურო კომიტეტის დასკვნას მხარს უჭერდნენ, მაგრამ ნიკა გვარამიამ და ლევან ბეჟაშვილმა წარმოდგენილი დადგენილება არ მოიწონეს. მათი თქმით, პარლამენტის დადგენილებაში უნდა ასახულიყო იმ დასკვნის ძირითადი დებულებები, რომლებსაც ეყრდნობოდა დოკუმენტი. – წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება, გარკვეულ პრობლემებს წავაწყდეთ საკონსტიტუციო სასამართლოში, თუკი ნანეტაშვილი ჩვენს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს. საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს პარლამენტის დადგენილებას, როგორც სამართლებრივ აქტს და არა კომიტეტის დასკვნას, – აღნიშნა ნიკა გვარამიამ.

მის მოსაზრებას არ დაეთანხმა ხათუნა გოგორიშვილი, მაგრამ იურისტების სიტყვებმა გადასწონა. აზრთა შესაჯერებლად პარლამენტის თავმჯდომარემ ათწუთიანი შესვენება გამოაცხადა, მაგრამ ეს დრო ერთ საათამდე გაიწელა. სახელდახელოდ დაიწერა დადგენილების ახალი პროექტი, რომელიც კოლეგებს ლევან ბეჟაშვილმა გააცნო. ვალერი გელაშვილმა რამდენიმე ტექნიკური ხასიათის შენიშვნა გამოთქვა. პროექტის დასახვეწად და დეპუტატებისთვის დასარიგებლად. პარლამენტის სხდომაზე კვლავ შესვენება გამოცხადდა.

ხათუნა გოგორიშვილი არც შესწორებული პროექტით დარჩა კმაყოფილი, რაკი დადგენილებაში ნახსენები არ იყო ნანეტაშვილისა და მისი ძმის ხელშეკრულება მართვის გადაცემის შესახებ. ბეჟაშვილის თქმით, რაკი ტელეკომპანიაში დამფუძნებლები არ შეცვლილან, უბრალოდ მართვა გადაეცა ერთი პირიდან მეორეს, ნოტარიალურად დამოწმება აუცილებელი არ იყო (კომიტეტის სხდომაზე ამას კახა კუკავაც ამტკიცებდა, მაგრამ არ დაუჯერესძ. ამდენად, საპროცედურო კომიტეტის დასკვნის ეს პუნქტი სათანადო მტკიცებულებად არ ჩაითვალა და დადგენილებაშიც არ აისახა. სხვათა შორის, დადგენილება უსათუოდ იყო წარმოდგენილი, რაც გოგორიშვილმა შენიშნა.

– ამხელა იურისტ ხალხს ეს როგორ მოგივიდათ? – გაიკვირვა მიხეილ მაჭავარიანმა და დასძინა, ასეა, ზოგჯერ კორიფეებიც ცდებიანო.

საბოლოოდ, „ამხელა იურისტების“ პროექტს დარბაზში მყოფი დეპუტატები დაეთანხმნენ, მაგრამ ქვორუმის არარსებობის გამო კენჭისყრა ვერ მოხერხდა. კოლეგების შესაკრებად ვიცე-სპიკერმა მესამე შესვენება გამოაცხადა. 10 წუთის შემდეგ პარლამენტმა გადაწყვეტილება მიიღო: 121 მომხრე, არც ერთი წინააღმდეგი. ბადრი ნანეტაშვილი დეპუტატი აღარ არის.

**რუსუდან გახარია**

◉ ინფორმაცია

## მინისტრი უნივერსიტეტის პედაგოგებს უპასუხებს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია აცხადებს, რომ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების აბსოლუტურ უმრავლესობაში აკადემიურ თანამდებობებზე ღია კონკურსი კანონის შესაბამისად გამოცხადდა. მთავრობის სხდომის დაწყების წინ, იგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ თანამშრომლების განცხადებებს გამოეხმაურა, რომლებიც ამ კონკურსს აპროტესტებენ და რექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ხუბუას თანამდებობიდან გადადგომას ითხოვენ.

## უშედეგო შეხვედრა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის ივანე ბოკერიასა და პროფესორ დავით ქარქაშაძის მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა. ქარქაშაძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ ბოკერიამ მოისმინა მისი მოსაზრებები, თუ როგორი უნდა იყოს სამეცნიერო ნაწილის მოწყობა. პროფესორმა რექტორის მოადგილეს ასევე გააცნო სამეცნიერო საბჭოს მოთხოვნა აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის შეჩერების შესახებ. თუმცა, ქარქაშაძის თქმით, ბოკერიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თსუ-ში კონკურსი აუცილებლად ჩატარდება.

## ერთმანეთს შეხვდებიან

შს მინისტრის ვანო მერაბიშვილისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო შს მინისტრის მიხეილ მინძაევის შეხვედრა აუცილებლად შედგება.

ამის შესახებ გუშინ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ განაცხადა. მისი თქმით, ამჟამად ცხინვალში იმყოფება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, ასევე სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ვოლსკი, რომლებიც ამ შეხვედრის დეტალებს აზუსტებენ.

**ინტერპრესნიუსი**

◉ აქტუალური თემა

# ჩვენ მსოფლიოს ვჭირდებით

**ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პირობა დადო, რომ კავკასიის კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით გააქტიურდებოდა. შეპირებული გააქტიურება ბოლო დროს მართლაც თვალსაჩინოა. შეგახსენებთ, ამ დღეებში სოხუმს შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მრჩეველი მეთიუ ბრაიზა და საქართველოში აშშ ელჩი ჯონ ტეფტი სტუმრობდნენ. იმავე დღეს აფხაზეთში გაეროს გენმდივნის სპეცწარმომადგენელი ჰაიდი ტალიავინი ჩავიდა.**

რა იყო ამერიკელებისა და აფხაზების საუბრის თემა, უცნობია, თუმცა, საგულისხმოა, რომ შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მრჩეველმა სოხუმიდან ჩამოსვლის შემდეგ განაცხადა, რომ კონფლიქტურ რეგიონში რეფერენდუმის ჩატარება გამორიცხულია, რადგან ის იურიდიულად გაუმართლებელი იქნება. ამერიკელი დიპლომატი ამბობს, რომ 1999 წელს აქ უკვე იყო რეფერენდუმი, მაგრამ



ბევრ ადამიანს მასში მონაწილეობის საშუალება არ ჰქონდა იმიტომ, რომ მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი დევნილია და ამ რეგიონიდან გაქცეულია. რეფერენდუმში კი, მისი თქმით, როგორც წესი, ყველა ეთნიკური ჯგუფი უნდა მონაწილეობდეს. დღეს აფხაზეთში რეფერენდუმი კი არა, მთავარია დევნილების დაბრუნება და კრიმინალთან ბრძოლა, – აცხადებს კონდოლიზა რაისის მოადგილე.

დასაფიქრებელია ისიც, რომ ამ ათიოდე დღის წინათ, პირველად აფხაზეთის კონფლიქტის პერიოდში, დე ფაქტო ვიცე-პრემიერი ლეონიდ ლაკერბაია დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და აშშ სახდეპარტამენტში მიიღეს და მისგან ინფორმაცია მოისმინეს. ერთის მხრივ, თავისთავად, ეს ფაქტი ჩვენთვის ვერაფერი სასიამოვნოა, რადგან ამ შეხვედრაზე საქართველოს ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ ყოფილა. ლაკერბაიას განცხადებით, ამ შეხვედრების მთავარი საკითხი იყო, შეუძლია თუ არა აფხაზეთს საქართველოსთან ერთ სახელმწიფოში იყოს და ამაზე იქ მხოლოდ აფხაზური მხარე ლაპარაკობდა. გასაგებია, რასაც ილაპარაკებდა, ჩვენს წისქვილზე რომ არ დაასხამდა წყალს ცხადია, მაგრამ თვითონ ფაქტი იმით არის საყურადღებო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენი კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით, მართლაც გააქტიურებული გამოიყურება.

5 ივლისს მიხეილ სააკაშვილი ვაშინგტონში შეერთებული შტატების პრეზიდენტს შეხვდება, უკვე 15-ში კი სანკტ-პეტერბურგში პუტინი ბუშს ელოდება. ბუში-სააკაშვილის შეხვედრის წინ ყველა ექსპერტი თითქმის ერთნაირ პროგნოზს აკეთებს. კერძოდ, პრეზიდენტები განიხილავენ მდგომარეობას საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში, ყურადღებას გაამახვილებენ ნატოსთან ინტენსიურ დიალოგში საქართველოს ჩართვაზე. ეს გაწევრიანების ბოლოსწინა საფეხურია, რომელსაც ვაშინგტონი როგორც ალიანსის მთავარი წევრი, საქართველოს მხარს დაუჭერს, ისაუბრებენ ევროპის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე და ამ მიმართებით თანამედროვე პოლიტიკაში საქართველოს ახალ როლზე. კერძოდ, შეერთებული შტატების დახმარებით, ქართული მხარე ცდილობს ევროპისთვის ალტერნატიული ენერგოდერეფნების გახსნის შესახებ ამერიკულ გეგმაში ჩაერთოს და ახალი ვალდებულება აიღოს.

საქმე ის არის, რომ აზერბაიჯანი შესაძლოა გაზის მთავარი მწარმოებელი, ექსპორტიორი გახდეს და ბუნებრივი გაზი ავსტრიას, იტალიას, უნგრეთს და საბერძნეთს მიაწოდოს. საქართველო კი მთელი ამ გეგმის შუაში იქნება და ენერგორესურსებს გაატარებს. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში საქართველოს გარდა, მისი ტერიტორიული მთლიანობა მსოფლიოს ინტერესებში კიდევ უფრო შევა. მსოფლიოს ინტერესებში შედის ერთიანი და მთლიანი საქართველო.

**მზია გელენავა**

◉ მართლმსაჯულება

# ახლა საქმე სასამართლოზეა

**თბილისის პროკურატურამ სანდრო გირგვლიანის საქმის გამოძიება დაასრულა. საქმე არსებითი განხილვისთვის უახლოეს ხანში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეცემა.** თბილისის პროკურატურაში გუშინ სანდრო გირგვლიანის დედა და მისი ოჯახის ადვოკატები დაიბარეს. ირინა ენუქიძე დაცვის მხარესთან ერთად პროკურატურაში ამავე უწყების თხოვნით გამოცხადდა.

ადვოკატმა შალვა შავგულიძემ განაცხადა, რომ შს სამინისტროს იმ თანამშრომელთა მიმართ, რომლებიც სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით დააკავეს, სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით არ აღიძრა. “საქმე აღძრულია ჯანმრთელობის დაზიანებით, რამაც სიკვდილი გამოიწვია. აღნიშნული მუხლი ნაკლებ სანქციას ითვალისწინებს, ვიდრე განზრახ მკვლელობა. ამავე პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმე სხვისი ქონების განადგურების მუხლითაც აღიძრა. გია ალანიას კი კიდევ ერთი ბრალდება, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ედება ბრალად“, - განაცხადა შავგულიძემ.

სანდრო გირგვლიანის ოჯახს გამოძიების მსვლელობისას შეკრებილი მასალები გადაეცა, მათ შორის იმ ოთხი პირის დაკითხვის ოქმებიც, რომლებიც ქალაქის პროკურატურაში 20 ივნისს იმყოფებოდნენ. გურამ დონაძე, ვასილ სანოძე, დათა ახალაია და თაკო სალაყაია პროკურატურამ უკვე მეოთხედ დაკითხა. სანდრო გირგვლიანის დედა ირინა ენუქიძე უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ გამოძიების ეტაპზე მკვლელობის შემკვეთი არ დასახელდა. გარდა ამისა, დაზარალებულები აცხადებენ, რომ მათ საქმის მთლიანი მასალები არ გადაეცათ. ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ქალაქის პროკურორმა გიორგი ღვინიაშვილმა. მისი თქმით, ბრალდების მხარეს კანონი არ ავალდებულებს ადვოკატისთვის საქმის ყველა მასალის გადაცემას.

რაც შეეხება იმ ფაქტს, თუ რატომ არ ესწრებოდა გუშინ შსს ყოფილი მაღალჩინოსნების დაკითხვას ადვოკატი შალვა შავგულიძე, ამაზე პროკურორი განმარტავს, რომ ყველა მოწმე საჯაროდ სასამართლოზე დაიკითხება და პროცესის მონაწილე ნებისმიერ პირს, მათ შორის ადვოკატებს, უფლება მიეცემათ მოწმეებს შეკითხვები დაუსვან.

**ინტერპრესნიუსი**

მკვახე შეძახილი

# „ვაჰ! დრონი, დრონი...“

## ფიქრები პრეზიდენტის ადმინისტრაციის შეფ გიორგი არველაძესთან არშემდგარი ინტერვიუს გამო

**არ ვიცი, ვინ ან რამ უბიძგა ალ. ჭავჭავაძეს დრო-ჟამის ირგვლივ ფილოსოფიური განსჯისკენ, რამაც დააწერინა — „ვაჰ! დრონი, დრონი“. არც ის ვიცი, რა გამოვა იგივე მარადიულ თემაზე, მის უდიდებულესობა დროზე ჩემი ფიქრების ქაღალდზე გადმოტანის ცდისგან. ის კი ვიცი, რომ ამ სარისკო საქმისკენ გიორგი არველაძემ მიბიძგა. სარისკო, რადგანაც ადვილად შეიძლება სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდე, რადგან დროის, წუთისოფლის წალმა-უკუღმა ტრიალის შესახებ ფილოსოფიური წიაღსვლები გენიოსებს ხელეწიფებათ. თუმცა ამ გლობალურ თემაზე ყველას აქვს ნაფიქრი გარკვეული კუთხით.**



ყველა ხელისუფალი თავის დროზე ოპოზიცია ყოფილა და პირიქით — მოვა დრო და ხელისუფლება გახდება ოპოზიცია. ქალაქურად, თბილისურად თუ ვიტყვით — იმ ხელისუფლების საქმე „ვერლავეს“, ვინც ეს პოლიტიკური ანა-ბანა არ იცის.

ამას წინათ, როცა რედაქციაში ჩემს უახლოეს სამუშაო გეგმას ვათანხმებდი, გადაწყდა, რომ პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებთან ინტერვიუების სახით, ერთგვარი პოლიტიკური პორტრეტები შევთავაზებინა მკითხველისთვის. „განსაკუთრებით ხელისუფლება მაინტერესებს“, — მითხრა რედაქტორმა. ამ ციკლის პირველი პორტრეტები უკვე იხილა ჩვენმა მკითხველმა კოკო გამსახურდიას და ირინე სარიშვილის სახით, ახლა მინდოდა ხელისუფლება შემეთავაზებინა მკითხველისთვის, მაგრამ...

იყო დრო, როცა გიორგი არველაძე (და არა მარტო ისძ, პატივად თვლიდა თუკი მისგან ამ წერილის ავტორი ინტერვიუს აიღებდა. ის კი არ არის საქმე, რომ გიო ბიჭმა არ ინება ჩემთან შეხვედრა და ამის გამო ვარ ნაწყენი, თუმცა არც უმაგისობაა. არველაძეს კონკრეტულად და ხელისუფლებას ზოგადად, არაფერი აქვთ სათქმელი საზოგადოებისთვის, გარდა პოპულისტური დემაგოგიისა. პრობლემა ის არის, რომ ხელისუფლება დისკომფორტს განიცდის მედიასთან ურთიერთობაში. იმ მედიასთან, რომელიც უხერხულ კითხვებს სვამს, თორემ თავიანთი მაამებელი მედიაც ჰყავთ, რომლებიც „სატოპკეებს აუწევენ“ სასურველი კითხვების დასმით, რაზედაც პასუხები იმთავითვე ცნობილია: პატრული, გზები, ნატო; ნატო, გზები, პატრული და ასე დაუსრულებლად. თანაც რა შეკითხვაც არ უნდა დაუსვა, თუნდაც მთავარზე ლიმონის პლანტაციის გაშენების შესაძლებლობაზე, ოსტატურად გადავლენ „მამაო ჩვენოსავით“ გაზუთხულ „წარმატებებზე“.

თუმცა აღარც მაგაში არიან უზადონი, რადგან პატრული შმატრული გახდა, გზა მაშინ არის გზა, თუ ტაძარში მიყავხარ და ნატორის ფასად-სანაცვლოდ, ეს არის მთავარი.

რა თქმა უნდა, არც მედია უნდა იყოს დაუნახავი და ამ შემთხვევაში არც მე ვარ ასეთი. მეც მომწონს და მიხარია განათებული თბილისი, ლამაზი ფასადები და რა ვიცი კიდევ რა, მაგრამ ამ სილამაზის უკან მეტი სიმახინჯე, სიდუხჭირე რომ იმალება, ამასაც გრძნობს საზოგადოება. შევარდნაძის წამდაუწუმ ავადხსენებაც მომაბეზრებელ-გამაღიზიანებელია უკვე. გავიგეთ, ბატონო, რომ სააკაშვილი სჯობს შევარდნაძეს, რომ მაშინ იყო სიბნელე და უკუნი, მაგრამ დღეს? სად არის მერების, გამგებლების პირდაპირი არჩევნები, რაზე ლაპარაკითაც თავი მოგვაბეზრეს, ყურები გამოგვიჭედეს რევოლუციამდე. რატომ არის, რომ მიუხედავად 5-ჯერ, თუ რა ვიცი რამდენჯერ გაზრდილი ბიუჯეტი, ამდენჯერვე ხალხის შეჭირვებას ნიშნავს? რატომ არის ჩვენი სასამართლო უსამართლო? რატომ თარეშობენ სიკვდილის ბრიგადები? რატომ იყიდება ყველაფერი, სინდისის ჩათვლით? რატომ? რატომ? რატომ?...

ამდენ „რატომს“ რომელი გიორგი არველაძე ეყოფოდა პასუხად. ამიტომაც ვერ გაბედა ჩემთან დაჯდომა. ასე რომ, პატივცემულო საზოგადოებავ, ჯერჯერობით ვერ მოვახერხე ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან აუდიენცია, რომელთა მთელს ვერტიკალს პირადად ვიცნობ პრეზიდენტით დაწყებული. ამიტომ გაზეთის საშუალებით მივმართავ საჯაროდ: თქვენი ვალია, ბატონო სახელისუფლო ჩინოვნიკებო, მინისტრებო, გუბერნატორ-გამგებლებო, ითანამშრომლოთ მედიასთან. იმ ხალხთან, რომელსაც მეოთხე ხელისუფლება ჰქვია. იმათთან, ვისი მეშვეობითაც დაიკავეთ მაღალი თანამდებობები. ვიცი ძნელია უხერხულ კითხვებზე პასუხების გაცემა, მაგრამ რას იზამთ, უხერხული საქციელი არ უნდა ჩაიდინოთ და მაშინ არც ასეთი კითხვები გაგვიჩნდება „აბეზარ“ ჟურნალისტებს.

**დავით მხეიძე**

**P. S. იქნებ ამ წერილის შემდეგ, გივი თარგამაძემ მაინც ინებოს და დამდოს პატივი მასთან აუდიენციისა. მით უმეტეს, ის სფერო, რომელსაც კურირებს, შედარებით წარმატებულია. როცა მას სჭირდებოდა ადვილად მპოულობდა. სურვილის შემთხვევაში არც ახლა გაუჭირდება...**

**დ. მ.**

**სურათზე: წერილის ავტორი (შუაშიძ რევოლუციის მამებთან რევოლუციამდე.**

სემინარი

# მშვიდობიანი კავკასიის მშენებლობისთვის

**პრეს-ცენტრ „ახალ ამბებში“ გაიმართა პრესკონფერენცია თემაზე „ახალგაზრდების როლი მშვიდობიანი კავკასიის მშენებლობაში“. სამდღიანი სემინარის ფარგლებში ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდები სწორედ ამ საკითხზე მსჯელობდნენ. პრესკონფერენციაზე სემინარის შედეგები შეაჯამეს და ილაპარაკეს, თუ რა როლი ენიჭებათ ახალგაზრდებს სამხრეთ კავკასიაში კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.**

— პროექტის წარმატება იმან განაპირობა, რომ ამ ახალგაზრდებმა მიიღეს და შეიმუშავეს რეკომენდაციები, თუ რამდენად დიდი როლი ენიჭება ურთიერთგაგებას, ტოლერანტობის ჩამოყალიბებას ამ პროცესებში. ამ სემინარ-შეხვედრის მიზანი იყო ყინულის გალღობა კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის, იქნება ეს აფხაზეთი, ოსეთი, მთიანი ყარაბაღი, სომხეთი, აზერბაიჯანი თუ სხვა — განაცხადა „საერთაშორისო სამართლის სტუდენტთა ასოციაცია — საქართველოს“ თავმჯდომარემ ნათია კალანდარიშვილმა.

ახალგაზრდები კმაყოფილი დარჩნენ სამდღიანი სემინარით, ორგანიზატორები კი იმედოვნებენ, რომ მსგავსი ღონისძიებები მომავალშიც გაგრძელდება. სემინარის ფინანსური მხარდამჭერი „აირექსი“ იყო.

**ლელა ცქიტიშვილი**

გამოცა

# ქართველს ვერ ათქმევინებ იმას, რაც ბუშმა თქვა

## ფიქრები ერთი შესანიშნავი წიგნისა — „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“ — გამო

**ყველა დღეს თავისი მშვენიერება აქვს, მშვენიერება მხოლოდ დღესასწაული არ გახლავთ, იქნებ, მწარე დღეც გათენდეს, მაგრამ ისტორიისთვის მშვენიერი იყოს, მშვენიერია ყველაფერი, რაც ისტორიას ამშვენებს.**

დღეს, თექვსმეტი ივნისია, საჩუქრად მივიღე ედუარდ შევარდნაძის ახალი წიგნი — მემუარები — **„ფიქრი წარსულსა და მომავალზე“**. მართალი გითხრათ, მიუხედავად იმისა, რომ მისი ყველა წიგნი წაკითხული მაქვს, ამ წიგნით გაოცებული დავრჩი, ნუ მიწყენს ნურც ერთი მოძულე და კეპთაყვანისმცემელი თუ ვიტყვი, — საქართველოს მეოცე საუკუნის ისტორია ჭეშმარიტად ღარიბი იქნებოდა ამ წიგნის ავტორის ანალიტიკური გონების გარეშე.

ქართველებო, დროებით მაინც უარყავით უარყოფა პიროვნებისა და ყურადღებით წაიკითხეთ ეს ბრწყინვალე წიგნი... კაცი, რომელმაც თურმე საკუთარ თავს სამჯერ მოუწყო ტერორი, სამჯერ თავი აიფეთქა, იქნებ სულაც იმიტომ გადარჩა, რომ ეს არაჩვეულებრივი, მწერლის გონებითა და ხელით ნაწერი წიგნი შეექმნა?

რა დროს ჭორაობაა? რა დროს კერპთაყვანისცემლობაა, წაიკითხე ეს ისტორიული წიგნი და შენს გუშინდელ დღეს ნათელი მოეფინება. იმასაც მიხვდები, რომ სიძულვილისა და შურისგების მხეცს გალიის კარი არ უნდა გაუღო.

მე პირველად გავეცანი ამ წიგნში ამერიკის ღლევანდელი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის წერილს, რომელიც მან ბატონ ედუარდს გამოუგზავნა გადადგომის ჟამს.

დიდი პატივისცემითა და ერთგულებით ეუბნება: — **„ბატონო პრეზიდენტო, დიდ მადლობას მოგახსენებთ, თავისუფლების დამკვიდრე-**




**ბაში თქვენს მიერ გაწეული უდიდესი წვლილისათვის.**

**თქვენი ხელმძღვანელობით შესაძლებელი გახდა ცივი ომის დამთავრება, ყოფილ საბჭოთა სივრცეში თავისუფლების დამკვიდრება, სამოქალაქო ომის წყვდიადიდან საქართველოს გამოყვანა და ქვეყანაში დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის დაფუძნება, ამერიკის შეერთებულ შტატებთან მტკიცე მეგობრობის ჩამოყალიბება.**

**მადლობა მინდა მოგახსენოთ, როგორც ერაყის საკითხში მხარდაჭერისთვის, ისე პანკისში განხორციელებული „კონტრტერორისტული ოპერაციისათვის“.**

უქებს 23 ნოემბრის დღეს ღირსეულად გადადგომას და სთხოვს — **„გთხოვთ თქვენი სიბრძნე და გამოცდილება გაუზიაროთ საქართველოს ხელმძღვანელობის ახალ თაობას, რომლებიც თქვენი აღზრდილები არიან. ძალის გამოყენების ნაცვლად, თქვენი მშვიდი გადადგომა, თქვენი შესანიშნავი კარიერის ღირსეული დაგვირგვინებაა“.**

ახლა მითხრას მავანმა, ბუშისა ყველაფერი გჯერათ ამ წერილის გარდა?

ქართველს ვერ ათქმევინებ იმას, რაც ბუშმა თქვა.

ჰოდა, წაიკითხეთ ეს ბრწყინვალე და ისტორიული წიგნი და ბევრ რამეს მიხვდებით.

**ჯანსულ ჩარკვიანი**

ინფორმაცია

# „სამხრეთ კორიდორის“ უსაფრთხოებისთვის

**ევრაზიის ენერგოუსაფრთხოებისადმი მიძღვნილ კონფერენციას გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დაესწრო. იგი მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს, მან ხაზგასმით აღნიშნა, რამდენად მნიშვნელოვანია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის პროექტები. მისივე თქმით, საქართველოსა და მთლიანად რეგიონში საფუძველი უნდა ჩაეყაროს ახალი მასშტაბური ენერგეტიკული პროექტების განხორციელებას.**

**სამდღიანი კონფერენცია სახელწოდებით „ევრაზიის ენერგოუსაფრთხოება: ბაზრის მისაწვდომობა და საინვესტიციო პოლიტიკა“ სასტუმრო “ქორთიარდ მარიოტში“ 20 ივნისს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გახსნა. კონფერენცია სააკაშვილის ხელშეწყობითა და საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს ორგანიზებით ტარდება.**

# სიძუნწის სავალალო შედეგი

**„სახალხო ბანკის“ სენაკის ფილიალის შენობასთან უკვე მეორე დღეა, ბანკის კლიენტების საპროტესტო აქცია მიმდინარეობს.**

**იგი გუშინ დილით განახლდა. აქციის ასამდე მონაწილეს სხვადასხვა დროს ლომბარდში ძვირფასი ნივთები ჰქონდა ჩაბარებული. ისინი ძვირფასი ნივთების შესაბამისი ანაზღაურების გადახდაზე არ თანხმდებიან და საკუთარი ნივთების დაბრუნებას, ან ბანკის ფილიალის მმართველის ავთანდილ მიქავას დაკავებას ითხოვენ.**

**— ბანკში ამდენი ქონება ინახებოდა, ხელმძღვანელობა კი შენობას 65 წლის კაცისა და ერთი თოფის ამარა ტოვებდა. ეს ხალხის მასხრად აგდებაა და ძარცვაში ბანკის თანამშრომელთა ხელი ურევია“, — განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, რომელსაც საგვარეულო რელიკვია ჰქონდა დაგირავებული. აქციის მონაწილეებმა დილიდან გადაკეტეს ბანკის წინ მდებარე სენაკის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა.**

# „დანაშაულის ტოლფასი“

**რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი ლევან ბერძენიშვილი 12 წლის წინათ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დსთ-ს ეგიდით მოქმედი რუსი სამშვიდობოების შეყვანას „დანაშაულის ტოლფას შეცდომად“ აფასებს. იგი ელის, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი გუნდი საქართველოს დსთ-დან გამოსვლის გადაწყვეტილებას მიიღებს. ლევან ბერძენიშვილის მტკიცებით, იმ შემთხვევაში, თუ საქართველო დსთ-ს დატოვებს, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მყოფი სამშვიდობო ძალები ავტომატურად აღმოჩნდებიან უკანონო მდგომარეობაში. რაც შეეხება აფხაზურ მხარეს, რომელიც რუს სამშვიდობოებს უსაფრთხოების გარანტად მიიჩნევს, ბერძენიშვილის მოსაზრებით, „მათ უნდა ესმოდეთ, რომ რუსები ენგურზე მუდმივად არ იდგებიან“. პარლამენტარი დარწმუნებულია, რომ თუ საქართველო დსთ-დან გამოვა, საერთაშორისო თანამეგობრობა მიიღებს გადაწყვეტილებას რეგიონში მრავალეროვნული კონტინგენტის ჩაყენების შესახებ.**

**ბერძენიშვილის თქმით, იგი, თანამოაზრეებთან ერთად, დიდი ხანია ელოდება ხელისუფლების მიერ სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებას. თუმცა, მისი თქმით, საქართველოს პარლამენტი პრეზიდენტის გარეშე გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, ამ საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტის პოზიცია კი „ოპოზიციისთვის ჯერჯერობით უცნობია“.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ განსჯა

# ვინ ჩაჯდება პრეზიდენტის მატარებელში?

## გვესაუბრება „სახალხო ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი გუბაზ სანიკიძე

### თვითმმართველობის არჩევნებში ოპოზიცია გაილახება



**— ბატონო გუბაზ, როგორც ვხედავთ, ხელისუფლება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებას აჭიანურებს და დაახლოებითაც არ იცის, როდის დანიშნავს მას. ალბათ, ყველას კარგა ხანს გვახსოვს ბატონი გიგი უგულავას მიერ გავლებული „გენიალური“ პარალელი, არჩევნები მეორედ მოსვლას წააგავს და კაცმა არ იცის, როდის იქნებაო.**

**ეს ყველაფერი, ალბათ, იმიტომ ხდება, რომ ხელისუფლება თვითმმართველობის არჩევნებისთვის ჯერ მზად არ არის და თავის იმედი არ აქვს. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა მზად ოპოზიცია და საზოგადოება?**

— არც ხელისუფლება, არც ოპოზიცია და არც საზოგადოება თვითმმართველობის არჩევნებისთვის მზად არ არიან. უფრო მეტიც, მზად არ არიან საერთოდ არანაირი არჩევნებისთვის და სერიოზული პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებისთვის.

როცა სამივე, ხელისუფლება, ოპოზიცია და საზოგადოება ასეთ განწყობაზეა, ეს ამ ქვეყნის ძალიან დიდი პრობლემაა. პრობლემები კი მაშინ გვარდება, როცა საზოგადოებას პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს და ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც სოციალური შეკვეთების შესრულებას აიძულებს, როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაში.

დღეს საქართველოს დაშლისა და დანაწევრების რეალური საფრთხე ემუქრება, რასაც სერიოზული, ისტორიული სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს. ახლა ამაზე არ ვილაპარაკებ, მაგრამ როცა რაიმეს ვამბობ, ზურგს ყოველთვის სერიოზული ფაქტოლოგია მიმაგრებს.

ქვეყანას აქვს სერიოზული საგარეო და საშინაო კრიზისი, ამის ადეკვატური კი არც ხელისუფლებაა და არც ოპოზიცია, რომელიც საერთოდ აზრზე არ არის.

**— ოპოზიციური სპექტრის რომელი ნაწილია თქვენი კრიტიკის ობიექტი, საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიცია?**

— საპარლამენტოც და არასაპარლამენტოც. ეს ეხება ოპოზიციის ძალიან დიდ ნაწილს, თუმცა არა ყველას, მაგრამ ისე ნურავინ იზამს, რომ იმ მცირე ნაწილს ყველამ თავის თავი მიათვალოს.

პიროვნულ პრობლემებზე არ ვამბობ, როგორი ბიჭები არიან, ცუდი თუ კარგი. ძალიან კარგი ბიჭები არიან, მაგრამ ქვეყნისთვის ეს არასდროს კმაროდა და არც ახლა კმარა. თუ კარგი ბიჭობა და წესიერება კომპეტენციითა და გონებრივი სისხარტით გამაგრებული არ არის, ისე არაფერს ნიშნავს.

**— ამბობთ, რომ საზოგადოება მოუმზადებელი, არაადეკვატურია და ხელისუფლებას სოციალური შეკვეთების შესრულებას ვერ აიძულებს. როგორ ფიქრობთ, რა დონეზეა საზოგადოების დაკვეთა თუნდაც, ვთქვათ, დედაქალაქის მერის პირდაპირი გზით არჩევნებთან დაკავშირებით. არის თუ არა ის იმდენად მძლავრი, რომ ხელისუფლებამ გვერდი ვერ აუაროს?**

— ეს დაკვეთა არის, მაგრამ ინერტულია. ამ საზოგადოებას პოზიციები აქვს, მაგრამ მისი გამოხატვისა და დაცვის უნარი არ გააჩნია. ეს ეხება არა მარტო მერის პირდაპირი წესით არჩევას.

აი, თუნდაც, ჩვენი საზოგადოების წინაშე ცხადად დგას საკითხი რუსეთთან მოუგვარებელი ურთიერთობების თაობაზე. როგორც ხელისუფლება ფიქრობს, ისე არ ფიქრობს ხალხი. ჩვენი საზოგადოება უფრო რეალისტურია და რუსეთთან მოლაპარაკებისა და გარიგების შესაძლებლობას უშვებს. ხელისუფლება კი გვარწმუნებს, რომ ეს გამორიცხულია. ამიტომ რუსეთს ჩვენგან მოგლეჯილი ხორცები უნდა შევატოვოთ და ნატოში უნდა შევიდეთ.

გახსოვთ მულტფილმი „აბა, დამაცადე“, მგელი კურდღელს რომ მისდევს და ბოლოს ხელში მარტო საჭე შერჩება. აი ასე, მარტო საჭით შევალთ ნატოში. მოსწონს თუ არ მოსწონს, ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ნატოსკენ მიმავალ გზაზე მთელი ქვეყანა მიმოგვეფანტება, თუ მანამდე რუსეთთან ურთიერთობები არ მოვაწესრიგეთ. თუმცა ამ ხელისუფლებას ეს არ ესმის და არ უნდა.

**— ბატონო გუბაზ, ამ ასპექტში უნდა შემოგედავოთ. ვერ დაგეთანხმებით, რომ ხელისუფლებას რუსეთთან მოლაპარაკება არ უნდა. სულ რამდენიმე დღის წინათ არ შეხვდა სააკაშვილი პუტინს? ხომ უთხრა, საქართველომ თავისი პრობლემები რუსეთთან ერთად უნდა მოაგვაროსო. „მხოლოდ თქვენთან ერთად, ვლადიმერ ვლადიმიროვიჩო“ რამდენჯერმე გაიმეორა ჩვენმა პრეზიდენტმა. ეს შეხვედრა არაფერს ნიშნავდა?**

— სრულიად არაფერს! ეს არაფრისმომცემი უშედეგო შეხვედრა იყო. ორ სახელმწიფოს შორის არის დაძაბული მდგომარეობა და ამას ორ პიროვნებას, ორ პრეზიდენტს შორის დაძაბულობაც დაემატა.

ეს შეხვედრა იყო ცუდი და ვერშემდგარი ცდა ამ პიროვნული ურთიერთობის ნაწილობრივ მაინც მოგვარებისა. ეს პრობლემაც ვერ მოგვარდა. ცხვირპირზე ეტყობოდა ორივე პრეზიდენტს, რომ ერთმანეთს ვერ იტანენ.

გახსოვთ ასლან აბაშიძეზე რომ წავიდა ლაპარაკი? პუტინმა თქვა: როცა მეუბნებოდით, წაიყვანეთო, მე გითხარით, მერე ხომ არ მოითხოვთო, ახლა დაგიყენებიათ ეს საკითხი და ეს საერთოდ ცალკე საუბრის თემააო.

როგორ წარმოჩნდა ჩვენი პრეზიდენტი? როგორც პატარა, 12 წლის ბიჭი, როგორც გადამგდები.

პოლიტიკა გადაგდებები კი არ არის, სერიოზული დიდი პოლიტიკა სწორედ პირობების დაცვაა.

საქართველოს ისტორიას არასდროს ჰყოლია სააკაშვილისნაირი არასერიოზული, დაბალი დონის მმართველი, რომელსაც ანგარიშს არავინ უწევს.

**— კარგი, მოდით დაწყებულ თემას დავუბრუნდეთ. ხელისუფლებამ დროში რამდენიც უნდა გაწელოს, თვითმმართველობის არჩევნებს მაინც ვერსად წაუვა და, ალბათ, სათავისო ჟამს როცა იგუმანებს, მას მაინც უეჭველად ჩაატარებს. როგორ ფიქრობთ, გამარჯვების რა შანსი ექნება ამ არჩევნებში ოპოზიციას, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი პოლიტიკური პარტია, ვინც ხელისუფლებას კრიჭაში მწვავედ უდგას, არჩევნებში მონაწილეობას არც კი აპირებს.**

— ჩემი პირადი აზრია, რომ არავითარ ადგილობრივ არჩევნებს უკვე აზრი აღარა აქვს. თუ ვინმეს ჰგონია, და მათ შორის ქალბატონ სალომე ზურაბიშვილსაც, რომ თბილისის მერი გახდება, ძალიან შემცდარა. იმიტომ, რომ ვინ, ვინ და ის იცნობს მიხეილ სააკაშვილს, მასთან კარგა ხანს იმუშავა.

თვითმმართველობის არჩევნებში ოპოზიცია გაილახება, იმიტომ, რომ ვერ მოახერხა გაერთიანება. ღმერთია მოწამე, ყველანაირად შევეცადეთ ეს გაერთიანება მომხდარიყო. არ უნდათ, არა აქვთ საერთო ინტერესი, არა აქვთ დიდი პოლიტიკური კულტურა და არ არიან არც გიორგი მაზნიაშვილი, არც მემედ აბაშიძე და არც სერგო ქავთარაძე.

პირველი გენერალი იყო, მეორე სამუსლიმანო საქართველოს წარმოადგენდა, მესამე ბოლშევიკი გახლდათ. მათ არაფერი საერთო არ ჰქონიათ, პირიქით, ერთმანეთის მტრები იყვნენ, მაგრამ როცა აჭარის საქართველოს საზღვრებში დარჩენა-არდარჩენის საკითხი დადგა, სამივე შეიკრა და აჭარა საქართველოს დაუბრუნა.

ასეთი თვისება ოპოზიციას არა აქვს და როგორც ეტყობა, არც გაუჩნდება.

არც ვფიქრობთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე. ხომ მოუგო ხელისუფლებამ ოპოზიციას 5-ით ნული შუალედურ არჩევნებში! თვითმმართველობის არჩევნებში 100-ით ნულს მოუგებს, თანაც ისე, რომ გაყალბება არც დასჭირდება.

ლეიბორისტული პარტია, ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი, სოციალურ ღირებულებებზე აწყობილი პარტია, არჩევნებში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს. რამდენადაც ვიცი, არ აპირებს არც კოკო გამსახურდიას პარტია. მე რასაც ვამბობ, ეს თავისთავად ნიშნავს „სახალხო ფორუმის“ არმონაწილეობასაც.

ვინც მონაწილეობას მიიღებს, კი ბატონო! ეს იქნება მიშას მატარებელში ჩაჯდომა და მერე აღარ გაუკვირდეთ, ვიღაცეები თუ იტყვიან, რომ ეს ნაციონალური მოძრაობის შიდა არჩევნებია.

**— ბატონო გუბაზ, თქვენ სიტყვა სალომე ზურაბიშვილზე ჩამოაგდეთ. იგი თითქმის ბოლო მომენტამდე თბილისის მეროზაზე ოპოზიციის ერთიან კანდიდატად მოიაზრებოდა, მაგრამ ყველაფერი თავდაყირა დადგა. ვერ გვეტყვით, რა მოხდა?**

— ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ არ ვიცი. ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის სვლებს მე კი არა, მისი თანაგუნდელებიც ვერ მიხვდნენ და უკვე მოდიან იქიდან.

მე პარიზში ნაცხოვრები კი არა, ნამყოფიც არა ვარ და ამიტომ ვერ ავხსნი, რატომ იქცევა ასე ქალბატონი სალომე. პარიზელობას დავაბრალო ან ფრანგობას? ასეც არ არის.

მას, სამწუხაროდ, წარმოდგენა არა აქვს ამ ქვეყნის შესახებ, მაგრამ აქვს პრეტენზია, რომ ეს ქვეყანა მას დაემსგავსოს. თუმცა საქართველო სალომე ზურაბიშვილს არასოდეს დაემსგავსება.

**— დაბოლოს, როცა თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდება, ეყოლება თუ არა ოპოზიციას ისეთი კანდიდატი, რომელსაც თბილისის მერად გახდომის რეალური შანსი ექნება?**

— ოპოზიცია რომ გაერთიანებულიყო, შეიძლებოდა ჰყოლოდა, ერთი კანდიდატურა დაესახელებინა და ნებისმიერი იქნებოდა გამსვლელი. იგივე კოба დავითაშვილი, იგივე გოგი თოფაძე და იგივე სალომე ზურაბიშვილიც.

მაგრამ ასე არ გამოვიდა. ჯერ ეს ქალბატონმა სალომემ ჩაშალა, მერე კი ოპოზიციური პარტიების არასაერთო ინტერესებმა.

ესაუბრა
**ჯაბა ხუბუა**

◎ დეპუტატი

# კახა ოქრიაშვილმა დმანისელებს გაუმართლა

## ანუ, რატომ უყვართ ამომრჩევლებს თავიანთი რჩეული

**„ბატონ კახას დახმარებით ურთულესი ოპერაცია ჩავიტარე და შრომისუნარიანობა აღვიდგინე“, „ბატონ კახას დახმარებით მეუღლეს სიცოცხლე შევუნარჩუნე“, „ბატონ კახას დახმარებით ჩემი შვილი სწავლას ინსტიტუტში განაგრძობს“, „ბატონ კახას დახმარებით ჩემმა შვილმა სწავლა მაგისტრატურაში გააგრძელა...“ საქართველოს პარლამენტის დმანისის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონ კახა ოქრიაშვილის მიმართ გამოთქმული სამადლობელი სიტყვები დმანისელთა ყოველდღიური საუბრის შემადგენელი ნაწილია.**

მართლაც: კახა ოქრიაშვილმა დმანისელ ამომრჩეველს გაუმართლა. გაუმართლა იმით, რომ ამჟამად დმანისში ნებისმიერმა ოჯახმა იცის, რომ გაჭირვების ჟამს რაიონის დეპუტატი მის გვერდით დადგება.

პროფესიით ექიმი კახა ოქრიაშვილი კარგად იყენებს თავის ნაცნობების წრეს და გულით ცდილობს, რაიონის მოსახლეობას დაეხმაროს მთავარი საფიქრალის — ჯანმრთელობის აღდგენა-შენარჩუნების საქმეში.

დეპუტატის ინიციატივით 2005 წლის ზაფხულში დმანისში განხორციელდა სპეციალური პროგრამა, რომლის დახმარებითაც რაიონის 120-მდე ადამიანს სხვადასხვა სახის უფასო ოპერაციის შემდეგ, შრომისუნარიანობა და სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდა. პარლამენტის წევრის მიმდინარე პროგრამას წარმოადგენს ქალთა და ბავშვთა დაავადებებისაგან მოსახლეობის გათავისუფლება. მიაჩნია, რომ ამით კიდევ უფრო გააუმჯობესებს თითოეული ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას.

კახა ოქრიაშვილი დმანისში მიმდინარე ნებისმიერი პროცესის აქტიური მონაწილე და თანამდგომია. იგი თავისი ამომრჩევლის ხშირი სტუმარია, რაც მას ხელს უწყობს უფრო ახლოს მივიდეს მათ პრობლემებთან, უფრო მეტად დაეხმაროს, რწმენა გაუმტკიცოს.

დმანისის მაჟორიტარ დეპუტატს ერთობ ტაქტიკური და ტაქტიანი ურთიერთობა აქვს სამხარეო და რაიონის ხელმძღვანელობასთან. იგი ფიქრობს, რომ დეპუტატი არ უნდა ერეოდეს აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციებში, რადგან საკანონმდებლო და აღმსრულებელი ორგანოების ერთიმეორის საქმეში ჩარევა მხოლოდ ზიანის მომტანია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პარლამენტის წევრი ფხიზლად ადევნებს თვალს რაიონში მიმდინარე პროცესებს და თავს ვალდებულად თვლის, ხელი შეუწყოს მის საარჩევნო ოლქში ქვეყნის სტრატეგიული გეგმის განხორციელებას.

11 ივნისს დმანისის რაიონის მაღალმთიან სოფელ გომარეთში დიდი დღესასწაული — „გომარეთის წმინდა გიორგობა“ გაიმართა. სოფლის მოსახლეობამ აღადგინა ძველი ტრადიცია, რომელიც, ადრე, აღდგომიდან 50-ე დღეს აღინიშნებოდა. ამ ღონისძიების განხორციელების მთავარ ხელშემწყობად სწორედ რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი მოგვევლინა, რომელმაც კარგად გამოიყენა ნაციონალური მოძრაობის რაიონული ორგანიზაციის ძალები და 400-კომლიან სოფელს სიხარული მიანიჭა.







**რაინდი ასლამაზაშვილი,**
დმანისის რაიონულ გაზეთ „დმანისის“ რედაქტორი.

**სურათებზე: დმანისის მაჟორიტარი დეპუტატი კახა (კახაბერ) ოქრიაშვილი „გომარეთობაზე“.**

◎ ინფორმაცია

# ევროპის სასამართლოს ასე მიაჩნია...

**იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ გუშინდელ მთავრობის სხდომას წარუდგინა ინფორმაცია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საქმეების შესახებ. მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ მიმდინარე წელს, ივნისის ჩათვლით, ევროპულმა სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ განიხილა ერთი სარჩელი. მიღებული იყო სამი განაცხადი, თუმცა აქედან ორი განაცხადი სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია. ერთ განაცხადზე ევროპულმა სასამართლომ საქართველოს ხელისუფლებას დააკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 3800 ევროს ოდენობის თანხის გადახდა. კერძოდ, მოსარჩელე იყო კიბერნეტიკის ინსტიტუტის თანამშრომელი გივი დონაძე, რომელიც უჩიოდა ინსტიტუტის დირექტორს და ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოში ეროვნულმა სასამართლოებმა არ აწარმოეს დონაძის არგუმენტების საფუძვლიანი განხილვა. დღეისათვის ევროპულ სასამართლოში წარდგენილია 13 საქმე. ახალ საქმეებში ფიგურირებს ასევე კოხრეიძისა და რამიშვილის სარჩელი საქართველოს წინააღმდეგ.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ ჩემი შენ გითხარიო...

# მტრის ხატი

## რუსეთი იარაღს თავად ამრავლებს, ჩვენ კი აგრესორს გვიწოდებს

**თვალუწვდენელია რუსეთი და ამ ერთი ციცქნა საქართველოს მაინც გამუდმებით ეჭიმება სამხედრო ძლიერებაში. შენა ჯარს აძლიერებო, ახალ ბაზებს აშენებო. მარტოოდენ ჟურნალისტები კი არა, უმაღლესი სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, სამხედრო სპეციალისტები,**




**დიპლომატები, დუმის დეპუტატები, სხვები და სხვები სულ უფრო ხშირად საუბრობენ საქართველოს პროვოკაციაზე, აგრესიაზე, არ გაგიკვირდეთ და, მილიტარიზაციაზეც...**

ნათქვამია, შეძახილმა ხე გაახმოო და ამდენმა ლაპარაკმა უარყოფითი ნაყოფი მართლაც გამოიღო. აღარ დავეძებთ ხილის, ღვინისა თუ მინერალური წყლების ბლოკადას; საქმე მიდის გაუთავებელ მტრობამდე, დაუძინებელ დუშმანობამდე. თითქოს მეზობლებმა ხვალ-ზეგ ახალი დიდგორი ან ახალი ბოროდინო უნდა გადაიხადონ, და ამ ვერაგმა ქართველებმა ამ ანგელოზი რუსების სისხლი უნდა დაღვარონ.

სულ ახლახან რუსეთში, ერთ-ერთმა ანალიტიკურმა ცენტრმა გამოაქვეყნა 2006 წლის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც „დადგინდა“ ყოფილი იმპერიის მტრები. პირველ ადგილზე გავიდა ლატვია — 46 პროცენტით, მეორეზე კი საქართველო — 44 პროცენტით. მესამე ადგილი ერგო ლიტვას (42ძ, მეოთხე — აშშ-ს (37ძ, მეხუთე — ესტონეთს (28ძ. რაც ყველაზე შემაშფოთებელია, 2005 წლის მონაცემებით, საქართველოს მტრად თვლიდა გამოკითხულთა 38 პროცენტი. მაშინ გავედით მეხუთე ადგილზე. ახლა გადავედით მეორეზე. გაისად, ალბათ, უკონკურენციოდ გავალთ პირველზე. რა, არ ვიმსახურებთ? ნამდვილად ვიმსახურებთ!

ჩვენ არა ვმალავთ, — ჯარსაც ვაძლიერებთ, ახალ სამხედრო ბაზებსაც ვაშენებთ, მაგრამ ეს სჭირდება თვით საქართველოს, მის სახელმწიფოებრიობას, ხალხის უსაფრთხოებას. ან რა ჯარი გვყავს ასეთი დაუთვლელი, ასეთი უძლეველი, რუსეთის დამმარცხებელი? ბოლო აღლუმზე, 26 მაისს, რუსთაველის პროსპექტზე გამოვიყვანეთ 17 ათასი. ლამის ამდენი ჰყავს აფხაზეთსა (7 ათასიძ და ყოფილ სამხრეთ ოსეთს (6 ათასიძ მართლაც კბილებამდე შეიარაღებული პლუს, რუსი სამშვიდობოებით, თუ კაზაკი მოთარეშეებით ზურგგამაგრებული. ახლა რუსეთი საქართველოს საზღვრებს საგულდაგულოდ კეტავს, იქ ახალ-ახალ ძალებს ისვრის. არიქა, არ დააგვიანოთ, თავდასხმა არ დაგასწროთო...

ამ დღეებში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სპეციალური განცხადებით თითიც კი დაგვიქნია, — კონფლიქტის ზონაში ვითარებას ნუ ამწვავებთო, პროვოკაციებს ნუ ამრავლებთო, ჩვენს ხალხს და ჩვენს ჯარს ნუ ანერვიულებთო... არა გრცხვენიათ? გახედეთ თქვენს ჯარსაც, თქვენს სამხედრო პოტენციალსაც, თქვენს დაფინანსებასაც, იარაღის წარმოებასაც, ამ იარაღით ვაჭრობასაც და მერე ისე დაასველეთ ენა საქართველოზე, სამად გახლეჩილ ქვეყანაზე, რაშიც უდიდესი ბრალი სწორედაც რუსეთს მიუძღვის.

რაოდენობის მხრივ დღეს რუსეთის არმია მეოთხე ადგილზეა. ჯერ არის ჩინეთი (2, 3 მილიონიძ, მერე აშშ (1, 4ძ, ინდოეთი (1, 3ძ და რუსეთი (1, 2ძ. რუსეთი მსოფლიოში მეორე ადგილზეა (აშშ-ს შემდეგძ ბირთვული რაკეტებით (6 300ძ, თვითმფრინავებით (2 500ძ, ვერტმფრენებით (3 000ძ, ტანკებით (22 000ძ, ჯავშანმანქანებით (36 000ძ. იგი ასევე მეორე ადგილზეა (ოღონდ ჩინეთის შემდეგძ წყალქვეშა ნავებით (310ძ და საბრძოლო ხომალდებით (42ძ... ბევრ რამეში პირველიცაა. ვერაფერი შეედრება მის ბალისტიკურ რაკეტა „ტოპოლ-M2“-ს, ტანკ „T-90“-ს, გამანადგურებელ „CY-30“-ს, ატომურ წყალქვეშა ნავ „გეპარდს“, საზღვაო ტორპედო „მოსკიტს“...

ვთქვათ, დიდ ცომს დიდი ვარცლი უნდა და რუსეთსაც, რახან დიდია, დიდი არმიაც სჭირდება და დიდი შეიარაღებაც. მაგრამ რა ვუყოთ სხვათა წაქეზებას, სხვათა შეიარაღებას, საომრად გამზადებას? დააკვირდით ამ ციფრებს: ბოლო 5 წელიწადში (2000-2004ძ რუსეთი პირველ ადგილზე გაიჭრა იარაღის ექსპორტიორ სახელმწიფოთა შორის. ამ პერიოდში მან გაყიდა 26,9 მილიარდი დოლარის იარაღი, აშშ-მ — 25,9, საფრანგეთმა — 6,3, გერმანიამ — 4,8, დიდმა ბრიტანეთმა კი — 4,4 მილიარდისა. სხვათა შორის, წინა 5 წელიწადში (1995-1999ძ რუსეთმა გაყიდა 16,4 მილიარდი დოლარისა, აშშ-მ კი — 53,4 მილიარდისა. რუსეთმა აშშ-ს ინტერესები ჩააფლავა დაახლოებით 27 მილიარდით, თავისი კი გააფართოვა 10 მილიარდით. როგორ?

ოღონდაც სხვას „გადაუჯოკროს“, ოღონდაც აშშ-ს „საქონელი“ დაამუხრუჭოს და რუსეთი თავისას ჰყიდის იაფად, ლამის ჩალის ფასად. მაგალითად, ამერიკული გამანადგურებელი „F-15“ ღირს 50 მილიონი დოლარი. ამთვითმფრინავს თავისი ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლებით უტოლდება რუსული „CY-30“. ჰოდა, ამ „CY-30“-ს რუსეთი უშვებს 35 მილიონ დოლარად. ცხადია, ამას იყიდიან. ასეა ტანკებშიც, ავტომატებშიც, სხვა საბრძოლო სისტემებშიც...

თავად განსაჯეთ, — ვინ უფრო მიდის პროვოკაციაზე, აგრესიაზე, მილიტარიზაციაზე — ეს მხარგაშლილი რუსეთი თუ ეს ფრთამოტეხილი საქართველო?

**ბონდო გულიაშვილი**

◎ ინფორმაცია

### „ორიანი“ ეროვნული ბანკის პროექტს

**ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე საერთაშორისო სავალუტო ფონდის უარყოფით დასკვნას ადასტურებს. რომან გოცირიძემ განაცხადა, რომ საფინანსო სექტორის რეფორმირების შესახებ მთავრობის მიერ ინიცირებული პროექტის ბოლო ვარიანტზე უარყოფითი შეფასება სსფ-ს დირექტორ-განმკარგულებელმა როდრიგო დე რატომ ფინანსთა მინისტრთან შეხვედრის დროს, 17-18 ივნისს ერევანში გამოთქვა. ხოლო მასთან საუბრისას ანალოგიური დასკვნა, იქვე, სსფ-ს რეგიონულმა დირექტორმა მოშინ ხანსამ და დეპარტამენტის უფროსმა იულიან ბერენგაუტმა გააკეთეს.**

**— სსფ-ს წარმომადგენლებმა საქართველოს დელეგაციას განუცხადეს, რომ კორექტირებულ ვარიანტსაც მხარს არ უჭერენ, მიუხედავად იმისა, რომ ის თავდაპირველ ვერსიასთან შედარებით გაუმჯობესებულია. მათ ჩვენს დელეგაციას განუმარტეს, რომ პროექტის კორექტირებულ ვარიანტს ექსპერტიზა საფინანსო და იურიდიულმა დეპარტამენტებმა ჩაუტარეს და უარყოფითი დასკვნა გამოიტანეს, — განაცხადა გოცირიძემ.**

### ბანკი მოღვაწეობის სფეროს აფართოვებს

**„შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი „ (BisDB“ საქართველოში საქმიანობის გაფართოებას სხვადასხვა მიმართულებით აპირებს.**

**ამის შესახებ საქართველოს ეროვნულ ბანკში დღეს სებ-ის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ და ბანკის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ჰაირეტინ კაპლანმა იმსჯელეს. ჰაირეტინ კაპლანი საქართველოს გაცნობითი ვიზიტით ეწვია. რომან გოცირიძემ შეხვედრის შემდეგ განუცხადა, რომ მოლაპარაკებებისას საუბარი შეეხო შავი ზღვის ქვეყნების რეგიონული თანამშრომლობის საკითხებს, შეჯამდა ბანკის მიერ უკვე დაფინანსებული პროექტები და დაისახა სამომავლო გეგმები.**

### ამერიკელთა ხელშეწყობით

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის დელეგაცია შეხვდნენ. მათ საქართველოში ჯანდაცვისა და ვეტერინარული ლაბორატორიული ქსელის მოწყობაზე იმსჯელეს. აღნიშნული პროგრამისთვის აშშ-მ 65 მლნ. დოლარი გამოყო.**

**„ქართულ-ამერიკული პროგრამა საქართველოში სამი ვეტერინარული ლაბორატორიის მოწყობას ითვალისწინებს. მათგან ერთი თბილისში უკვე მოქმედებს. დანარჩენი ორი ქუთაისსა და ახალციხეში აშენდება. მოეწყობა რვა საველე სადგური ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში“.**

### შიო მღვიმის რესტავრაცია

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაჩეიშვილი შიო მღვიმის სამონასტრო კომპლექსში გაემგზავრა. იგი მონასტერში სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დაკვირვების მიზნით ჩავიდა. შიო მღვიმის სამონასტრო კომპლექსის მთავარ ეკლესიაში მიმდინარე სამუშაოების პირველი ეტაპი ეკლესიის გადახურვას, ხოლო მეორე ეტაპი ფრესკების კონსერვაციას ითვალისწინებს.**

### ტელეჟურნალისტების აქცია

**მთავრობის კანცელარიის წინ ტელეკომპანია „თრიალეთის“ თანამშრომლები აქციას მართავენ. ტელეკომპანიის ჟურნალისტები საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრას მოითხოვენ. აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ საქართველოს ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ ტელევიზიის ხელში ჩაგდება სურს. აქციის თანამშრომლები გიგა ბოკერიას და ირაკლი ოქრუაშვილს ადანაშაულებენ.**

**კანცელარიის წინ დაახლოებით 20-მდე ადამიანია შეკრებილი და აცხადებენ, რომ მანამდე არ დაიშლებიან, ვიდრე მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ გლობუსი

# ერთმანეთისკენ გაწვდილმა ხელებმა სიკეთე უნდა თესონ და არა უნდობლობა

**საქართველოს პრეზიდენტის სანკტ-პეტერბურგში ვიზიტიდან ათ დღეზე მეტი გავიდა, მაგრამ პოლიტიკური წრეები, პოლიტოლოგები დღესაც გაურკვევლად საუბრობენ ვიზიტის შედეგებთან დაკავშირებით. მათ არ იციან, როგორ შეაფასდეს ვიზიტი, რომელსაც თითქოს ხილული შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ საქმიანობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო.**

პროტოკოლური პრაქტიკიდან გამომდინარე მსგავსი ვიზიტები ოფიციალურ ან სახელმწიფო ვიზიტების ჩარჩოებში არ ეწერება, ეს უფრო სამუშაო ვიზიტი იყო, რომელიც უმეტეს შემთხვევაში კონკრეტულობით გამოირჩევა. სამუშაო ვიზიტებს, როგორც წესი, მოსდევს ორ ქვეყანას შორის წარმოშობილ საკამათო საკითხთა გადაჭრისთვის პრაქტიკული გზების ძიება.

სკეპტიკურად განწყობილი რუსი პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ სანკტ-პეტერბურგის შეხვედრა ნაკლებად შედეგიანი იყო.

მაინც რა მოიტანა სანკტ-პეტერბურგმა?

შეხვედრის წინ იმ სკეპტიკოსთა რიცხვში გახლდით, ვინც მიიჩნევდა, რომ ერთი შეხვედრა საკმარისი არ იქნებოდა ზღვა საკამათო საკითხების მოგვარებისთვის, მაგრამ მიმაჩნდა, რომ შეხვედრა გაცილებით სჯობდა სანგრებიდან ავტომატის ჯერის მსგავს სალანძღავი სიტყვების სროლას. სხვა თუ არა, მარტო ამ თვალსაზრისით შეხვედრა სასარგებლო იყო. ქვეყნების პირველი პირები, ერთწლიანი მძიმე პაუზის შემდეგ, შეხვდნენ ერთმანეთს და იმ საკითხებზე ისაუბრეს, რომლებიც ძაბავს ორი ქვეყნის ურთიერთობას. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ლავროვის განცხადებით, თუ საქართველოს ხელისუფლება თანამიმდევრულად გაჰყვება სანკტ-პეტერბურგის საუბარის ძირითად მიმართულებებს, სამომავლოდ მდგომარეობა გამოსწორდება.

რუსეთმა თავისი გულისწყრომა საქართველოს პრეზიდენტის მიმართ დიპლომატიური პროტოკოლის დონეზე გამოხატა, დიპლომატიაში ოდნავ ჩახედული ადამიანისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს იმის გამოცნობა, რომ თუნდაც სამუშაო ვიზიტის ჩარჩოებში მოქცეულ სტუმრობას, აკლდა ამ სახის ვიზიტით გათვალისწინებული პარამეტრები. სანკტ-პეტერბურგში ჩასულ სააკაშვილს, არც მაღალი, არც საშუალო და არც დაბალი რანგის რუსეთის მოხელე არ დახვედრია. სანკტ-პეტერბურგის ადმინისტრაციის განმარტებით, ვინაიდან ვიზიტი არ იყო სახელმწიფო, დახვედრას არ ითვალისწინებდა.



ვიზიტის დაწყებამდე ერთი საათით ადრე საქართველოს ერთ-ერთი ტელეკომპანიის ჟურნალისტი, სანკტ-პეტერბურგში სტუმრობის გაშუქებისთვის სპეციალურად მივლენილ თავის კოლეგას გაფაციცებით ეკითხებოდა, თუ რა ვითარებას უფევდა სანკტ-პეტერბურგში, იყო თუ არა სათანადო დონეზე გათვალისწინებული უსაფრთხოების საკითხები და სხვა. ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ჟურნალისტი მართლაც შეფიქრიანებული ყოფილიყო საქართველოს პრეზიდენტის უსაფრთხოების საკითხებით. „დიდი რვიანის“ შეხვედრის მოლოდინში ქალაქი კარგა ხანია მკაცრი უსაფრთხოების საცერში ტარდება. უსაფრთხოების სხვადასხვა სახის ზომების გატარებიდან და ქუჩების გადაკეტვიდან გამომდინარე, ჟურნალისტი ცდილობდა მასპინძელთა მხრიდან, სტუმრის დახვედრის ხარისხის განსაზღვრას.

საქართველოს პრეზიდენტსა და მის თანმხლებ პირებს იმ ახლაშენებული სუპერჰაივეით სარგებლობის საშუალება მისცეს, რომელიც სპეციალურად გაკეთდა „დიდი რვიანის“ შეხვედრისთვის. პრეზიდენტისთვის სტრელნაში გამოყოფილი 1200 კვ. მ. ფართის მქონე, დღე-ღამეში 2.200 დოლარად ღირებული ვილა, საცურაო აუზით, საუნით, ფიტნესის დარბაზით, VIP აპარტამენტებით, ყველაფერთან ერთად სიძლიერის, სიმდიდრის დემონსტირება იყო და თან პროტოკოლური მასპინძლობის.

ვიზიტის მთავარი მიზნის — პირისპირ შეხვედრის 3 საათით დაგვიანება, თავისთავად მეტყველებს იმ დამოკიდებულებაზე, რაც რუსეთს აქვს საქართველოს პირველი პირის მიმართ. განაწყენება არ ნელდება. სამწუხაროდ, მან პერმანენტული სახე მიიღო, პუტინ-შევარდნაძის სოჭის შეხვედრაც 3 საათის დაგვიანებით დაიწყო. მაშინ პუტინი თხილამურებით სრიალებდა და ვერ მოსწყდა განცხრომას. ვერ თუ — არ?

ქვეყნებს შორის ურთიერთობის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროტოკოლს. ხშირად ამ დაძაბულ საქმიანობას პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს. პროტოკოლი არა მარტო მსგავსი ვიზიტების წინასწარ დაგეგმვას გულისხმობს, არამედ წუთებსა და წამებში მის შესრულებას. სააკაშვილმა ვიზიტის თარიღის გამოცხადებისთანავე აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის საგარეო უწყება, 2 კვირის განმავლობაში აწარმოებდა ინტენსიურ დიალოგს ვიზიტის დღის დათქმასთან დაკავშირებით. მოგზაურობის წინ საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მზად იყო გადაეწყვიტა ქართულ-რუსული მწვავე საკითხები, მაგრამ ყველაფერი უნდა ყოფილიყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის ფარგლებში.

იხ. მე-6 გვ.

◎ გლობუსი

# ერთმანეთისკენ გაწვდილმა ხელებმა სიკეთე უნდა თესონ და არა უნდობლობა

(მეხუთე გვერდიდან)

რუსეთის პრეზიდენტის უაღრესად დაძაბული სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე, პუტინმა გაჭირვებით გამონახა დროის მცირე მონაკვეთი და ისიც სანქტ-პეტერბურგში მიმდინარე საერთაშორისო ეკონომიკური შეხვედრის ჩარჩოში. პუტინი, რომელიც საკმაოდ გადატვირთული იყო ფორუმში მონაწილე სტუმრებთან პირადი შეხვედრებით და ფორუმზე სიტყვით გამოსვლით, არანაკლებ დროს უთმობდა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის საიუბილეო ღონისძიებაში მონაწილეობის საკითხებსაც. სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტი შანხაიში გაფრინდა.



რუსეთის პრეზიდენტის დატვირთულ სამუშაო გარაფიკში თავისუფალი დროს გამოძებნა არცთუ იოლი საქმეა, მაგრამ, ჩემი აზრით, გაცილებით უკეთესი იქნებოდა შეხვედრის გამართვა სოჭში, სადაც ამას წინათ იმყოფებოდა პუტინი, იქ მეტად მოხდებოდა მწვავე საკითხებზე მასპინძლის ყურადღების კონცენტრაცია.

პირისპირ საუბრის დეტალების შესახებ ფართო საზოგადოებამ ნაკლებად იცის. შეხვედრის მონაწილენი დეტალებს არ ამხელენ. საზოგადოებას აცნობენ საუბრის მოკლე შინაარსს. შეხვედრის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გაკეთებული განცხადებებიდან გამომდინარე, პუტინის პოზიცია ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით ჩვენთვის დასაფიქრებელია. რუსეთის პრეზიდენტის მოწოდება, ყველაფერთან ერთად, კონფლიქტის მხარეებთან პირდაპირი მოლაპარაკების თაობაზე, არახალია. სოხუმ-ცხინვალთან დიალოგი, რომ საქართველოს ხელისუფლებას უჭირს, რუსეთისთვის კარგად არის ცნობილი.

ქართული მხარის არათანამიმდევრული, მოუფიქრებელი პოლიტიკის შესახებ, რაც წითელ ზოლად გასდევს და წინა ხელისუფლებას კონფლიქტების მოწესრიგებასთან დაკავშირებით, შთამომავლობით გადმოეცა ახალსაც. ნაცვლად ვითარების განმუხტვისა, მდგომარეობა უწინდელზე უფრო დაიძაბა. თბილისიდან გაგზავნილმა მუქარამ გააძლიერა სოხუმ-ცხინვალის ეჭვი საომარი მოქმედების დაწყებასთან დაკავშირებით. რაც უფრო მეტი დრო გადის, სულ უფრო ძნელი ხდება თბილისისაკენ სოხუმ-ცხინვალის გადმოხრა. სოხუმ-ცხინვალის დაყოლიება ძლიერი არგუმენტებით უნდა იყოს განპირობებული: საქართველოს დემოკრატიული განვითარებით, ეკონომიკური აღმავლობით, ეროვნულ უმცირესობებთან ნორმალური ურთიერთობით, თვითმართველობისადმი პატივისცემით, ავტონომიური ერთეულებისადმი ნამდვილი და არა დეკლარირებული გარანტიების უზრუნველყოფით, მოწესრიგებული კრიმინოგენური ვითარებით, სოციალური კეთილდღეობით და სხვა მრავალი ფაქტორით. როდესაც მოსახიბლი ნაკლები გაქვს, ძნელია დამოუკიდებლობა გამოცხადებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის დარწმუნება საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის უმჯობესობაზე. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთში მცხოვრებთა დიდი ნაწილი რუსული პასპორტების მატარებელია. ისინი რუსეთის მოქალაქეები არიან.

პუტინმა პრეს-კონფერენციის დროს რეფერენდუმს გაუსვა ხაზი. მისი აზრით, ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, უნდა თუ არა საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა. ჩერნოგორიის მაგალითმა, რომელმაც სწორედ რეფერენდუმით გადაწყვიტა სერბეთთან დაშორება, დიდი გავლენა იქონია მსოფლიო საზოგადოებაზე. ქართველი ექსპერტების განმარტებით აფხაზეთ-ოსეთის, ჩერნოგორია-კოსოვოსთან შედარება არასწორია. ცხადია, ეს ასეც არის, მაგრამ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები სხვაგვარად ვითარდება და სულაც არ არის გამორიცხული, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ გაიზიაროს ახლებური აზროვნება.

ვესტფალის სამშვიდობო ხელშეკრულებამ, რომელსაც 1648 წელს მოეწერა ხელი გერმანიის იმპერატორის, გერმანიის მთავრების, შვეციის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების მიერ, წერტილი დაუსვა 30-წლიან ომს და დააკანონა ევროპის საზღვრები. ყოფილი იუგოსლავიის დაქუცმაცება ვესტფალის გამოწვევაა. ჩერნოგორია-კოსოვოს მაგალითები გადამდებია სეპარატიზმით დაავადებულთათვის. ამ ფონზე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის კამინინის განცხადება, რომ მოსკოვი პატივს ცემს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს, მაგრამ აღნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთის უფლება თვითგამორკვევაზე არანაკლებ პატივსაცემია, საქართველოსთვის საგანგაშო თუ არა, დასაფიქრებელი მაინც არის. როდესაც საქართველოს ტერიტორიების დაკარგვაზეა საუბარი, ქართველი პოლიტიკოსები უმალ რუსეთს იხსენებენ და მიიჩნევენ, რომ თუკი დაქუცმაცებას ექნება ადგილი, რუსეთშიც იგივე მოხდება. მაგალითად ჩეჩნეთი მოჰყავთ.

მოსკოვმა, როგორც ჩანს, საკუთარი ქვეყნის სიმტკიცისთვის მნიშვნელოვანი ზომები გაატარა და თვითგამორკვევის პრინციპებისთვის მხარის დაჭერა აღარ მიაჩნია სეპარატისტული მოძრაობის განვითარების წყაროდ. პრეს-კონფერენციაზე პუტინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩეჩნეთმა რეფერენდუმით გადაწყვიტა რუსეთში ყოფნა.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებას ტერიტორიების არდათმობასთან დაკავშირებით, ექსპერტები შიდა მოხმარებისთვის გამიზნულად მიიჩნევენ. უკიდეგანო რუსეთის შესახებ მოსაზრებამ შამილის სიტყვები გამახსენა. პეტერბურგისკენ მიმავალმა დატყვევებულმა შამილმა, ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ გულწრფელად თქვა – რამხელა ყოფილა რუსეთი, ამას ვეომებოდიო? ცნობისთვის, შამილს იმპერატორის კარზე პომპეზური მიღება მოუწყვეს.

სააკაშვილის მიერ ნათქვამი პატრიოტული წინადადება უმალ აიტაცეს ნაციონალმა პარლამენტარებმა. ერთ-ერთმა მათგანმა ისიც კი თქვა, რომ 1801 წლიდან საქართველოს არც ერთ ხელმძღვანელს ასე გაბედულად არ უთქვამს რუსეთის პირველი პირისთვისო. საქმე შედეგშია და ნაკლებად თქმაში.

თუ რა შედეგს გამოიღებს სააკაშვილის განცხადება, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. მსგავს პრეს-კონფერენციებზე ემოციურ-პიარული განცხადებები ვერ ჩაითვლება დიპლომატიურ ენად. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლას გათვლილი, ასჯერ აწონილ-დაწონილი პოლიტიკური ნაბიჯები და შესაფერისი გამონათქვამები ესაჭიროება.

ასეთივე ემოციური იყო საქართველოს პირველი პირის მიერ კრიმინალების რუსეთში შეფარების თემა, მასპინძელმა მოთმინებით მოისმინა განცხადება და მრავლის მიმანიშნებელი კომენტარიც დაურთო.

სანქტ-პეტერბურგში გამართულმა მეოთხე შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რა დონეზეა გაუარესებული ორი ქვეყნის ურთიერთობა და რომ დიდი ძალისხმევაა საჭირო მისი სხვა ჭრილში გადაყვანისთვის. ვითარების განმუხტვას ხანმოკლე მორატორიუმი ნამდვილად ვერ უშველის. ქართულმა მხარემ სათანადო დასკვნები უნდა გააკეთოს და მოემზადოს კონსტრუქციული, ნაკლებად ხმაურიანი დიალოგისთვის. მსგავსი მომენტები შეინიშნებოდა სააკაშვილის სატელევიზიო ინტერვიუში. თუ რამდენად დაემთხვევა სიტყვა და საქმე ერთმანეთს, ახლო მომავალში გამოჩნდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია ეკონომიკურ ბერკეტთან ერთად, უფრო მტკივნეული ბერკეტის ამოქმედება, რასაც რუსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები და მათ მიერ სამშობლოში გამოგზავნილი მილიარდ დოლარზე მეტი ჰქვია. პუტინმა არაორაზროვნად გაუსვა ხაზი ამ დახმარებას და ისიც დაუმატა, რომ ის გაცილებით მეტია, ვიდრე რომელიმე მესამე ქვეყნის დახმარება. პუტინს აშშ ჰყავდა მხედველობაში.

რუსეთთან ურთიერთობის დროს სხვა ტერმინოლოგიაა შესარჩევი, ისეთი, რომლითაც სარგებლობენ დიპლომატიურ წრეებში და რომელიც არ იწვევს პირად შეურაცყოფას. რუსეთთან ურთიერთობას დაქირავებული კილერის სენსაციური ამბის გაპიარებაც ნაკლებად წაადგება. ალბათ დადგა დრო, რომ ერთმანეთისკენ გაწვდილმა ხელებმა სიკეთე თესონ და არა უნდობლობა.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

◎ ტკივილი

# აფხაზეთში ქართველებს დღესაც იტაცებენ და დღესაც კლავენ



**1992 წლის ზამთარში გაგრა, გუდაუთა, ტყვარჩელი, ოჩამჩირის ნაწილი უკვე დაკარგული იყო, მოსახლეობა მთლიანად სოხუმს მიაწყდა. აუცილებელი გახდა ამ ხალხის უფლებების დაცვა, განსახლება, დახმარება და სწორედ ამ მიზნით სოხუმში 1992 წლის 3 დეკემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი შეიქმნა. აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ კომიტეტი თბილისში გადმოვიდა და პრეზიდენტის განკარგულებით მუშაობა აქ გააგრძელა. იმ პერიოდში ძირითადად აფხაზეთში მომხდარი გენოციდის, ეთნიკური წმენდის მასალებს აგროვებდნენ. დღეს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის სამსახური სახალხო დამცველის აპარატის ბაზაზე მოქმედებს. მისი მუშაობის შესახებ ამ სამსახურის უფროსს მურმან ჩხოტუას ვესაუბრეთ.**

**– ბატონო მურმან, იოლი ნამდვილად არ არის დაეხმარო ადამიანებს, რომლებსაც ყველაფერი ჰქონდათ და უცბად უსახლკარონი, უქონელნი აღმოჩნდნენ. ძირითადად, რა პრობლემებით მოგმართავთ დევნილი მოსახლეობა და რეალურად რითი ეხმარებით მათ?**

– სადღეისოდ ყველაზე დიდი გასაჭირი დევნილთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაა. 60 პროცენტზე მეტი ნათესავებთან არის შეკედლებული, ზოგს ბინის ქირის გადახდის საშუალება არა აქვს და იძულებული ხდება, ძალით მიიტაცოს სადღაც მიგდებული ფართი. ათსულიანი ოჯახები ერთოთახიანებში ცხოვრობენ, სახელმწიფო დევნილებს ბინებს ვეღარ აძლევს. 14-ლარიანი შემწეობის ფონზე კი შორს ვერ წავლენ. ანუ, დევნილთა ძირითადი პრობლემები სოციალურ საკითხებს უკავშირდება. მისასალმებელია, რომ დღეს საქართველოში ზოგადად მდგომარეობა გამოსწორდა და ყველას უნდა აქ ფეხი მოიკიდოს. მიდის სასტუმროების შესყიდვა, გამოსახლებულ დევნილებს 7-7 ათასი დოლარი მისცეს. თავიდან ადვილი იყო ამ თანხით ბინის ყიდვა, მაგრამ მალევე ეს შეუძლებელი გახდა. ხელისუფლებამ რეკლამა გაუკეთა ბინების გაყიდვას და არა დევნილთა გამოსახლებას.

ერთადერთი საშუალება, რითაც დევნილ მოსახლეობას ვეხმარებით, შუამდგომლობებია, წერილობითი მიმართვებია ამა თუ იმ ორგანიზაციებში. ხშირად ეს ჭრის, მაგრამ არა ყოველთვის.

**– თუ იცით, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, რა მდგომარეობაა აფხაზეთში. რამდენად ხშირად ირღვევა იქ მცხოვრები ქართველების უფლებები?**

– სადღეისოდ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები დაფიქსირებულია მთელს აფხაზეთში, განსაკუთრებით კი გალის რაიონში. გალის რაიონი ყოველთვის იყო ძალიან მდიდარი და დღესაც მთელ აფხაზეთს კვებავს. იქ დევნილები მუდმივად გადაადგილდებიან, ძარცვა-ყაჩაღობაც ძირითადად იქ ხდება. აფხაზეთის მხარე თავის ამაზრზენ ქმედებებში შეუზღუდავია. როცა მოუნდებათ, დღის ნებისმიერ მონაკვეთში იტაცებენ ადამიანებს და ფიზიკურად უსწორდებიან, ამისთვის მათ პასუხს არავინ სთხოვს. აფხაზეთში მომხდარ ფაქტებზე როცა ჩვენთან ინფორმაცია მოდის, იმ დღესვე ვუგზავნით წერილს გაეროს ოფისს თბილისში. ასლი კი ეგზავნება სოხუმში არსებულ გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისს და მათი მხრიდან ხდება რეაგირება.

წლეულს გაეროს ოფისში 33 ფაქტზე 14 წერილი გავაგზავნეთ. სოხუმში გაეროს წარმომადგენლობას პირადადაც ვხვდებით, ვმსჯელობთ აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობის უფლებებზე. თუმცა ჩვენი შეხედულებები ზოგჯერ არ ემთხვევა. მაგალითად, 1993 წლის თებერვალში სეპარატისტებმა ახალ ათონში რუხაიების ოთხსულიანი ოჯახი ამოხოცეს, მეზობლებმა გარდაცვლილები სახლის ეზოშივე დაკრძალეს, სახლი ზღვის პირას მდებარეობდა და გვერდით რუსეთის სამხედრო ნაწილი იყო. რამდენიმე წლის წინათ ეს სახლი ვიღაც მაღალჩინოსანს აჩუქეს. მას არ მოსწონებია ეზოში დამარხული ცხედრების არსებობა, ამოუთხრია და ზღვაში გადაუყრია. ამის თაობაზე უმალ მივმართეთ გაეროს სოხუმის ოფისს, მათ მომხდარი გამოიძიეს და მოგვწერეს, თითქოსდა ის გვამები სასაფლაოზე გადაასვენეს, ჩვენ კი ამ ინფორმაციის სიზუსტეში ეჭვი გვეპარება.

**– ანუ, გამოდის, რომ აფხაზეთში დღესაც სრული განუკითხაობაა. თუ არსებობს იქ ადგილობრივი სტრუქტურა, რომელიც ადამიანის უფლებებს იცავს და თუ თანამშრომლობით აფხაზეთში თქვენს კოლეგებთან?**

– ერთადერთი სოხუმში არსებობს ე.წ. აფხაზეთის პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი. საერთაშორისო ორგანიზაციებიდანაც მხოლოდ გაეროს ოფისია. ამ კომიტეტთან ჩვენ კავშირი არ გვაქვს. ადრე, გაეროს ოფისის მეშვეობით შევეცადეთ ამ კომიტეტთან დაკავშირებას, მაგრამ ისინი ამაზე უარს ამბობენ. საერთოდ, დღეს სეპარატისტულ ხელისუფლებას ლეგიტიმურთან არანაირი კავშირის დამყარება არ სურს. რასაც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელები დღეს ლაპარაკობენ, აბსოლუტური ტყუილია, აფხაზები არასოდეს არ იყვნენ დაჩაგრულნი, მათ ყველა პატივს სცემდა. ე.წ. ჩინოვნიკები არ გვხვდებიან, თორემ რიგით მოქალაქეებს სოჭში ხშირად ვხვდებით, მათთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ისინი გულახდილად მეუბნებიან – „ჩვენ რუსეთმა დაგვანგრიაო", – აი, ამას ამბობენ რიგითი აფხაზები. ისინი იქ დაჩაგრული არიან, იქ ისეთი სიტუაციაა, რომ შეიძლება მალე საერთოდ გაქრეს აფხაზი ერი.

**– თვითმარქვია ხელისუფლება მიიჩნევს, რომ აფხაზეთი მალე დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდება...**

– ვიდრე ერთი ქართველი მაინც ცოცხალია, მანამ აფხაზეთის დამოუკიდებლობას ვერავინ აღიარებს. არც ერთი დევნილი არ შეეგუება აფხაზეთის დაკარგვას. ჩვენთან საუბრებში აფხაზებიც ამბობენ, – უთქვენოდ ჩვენს ცხოვრებას აზრი არ აქვსო, ერთმანეთთან ნათესაობა გვაკავშირებს. ჭკუის მქონე აფხაზებმა დატოვეს აფხაზეთი, სადღესიოდ მათი რიცხვი კი, ჩემი ინფორმაციით, 40 ათასია.

**– საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ რამდენად არსებობს შანსი კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებისა?**

– თუ რუსეთმა მოინდომა, ყველაფერი რიგზე იქნება, მაგრამ რუსეთს ხელს არ აძლევს აფხაზეთის დათმობა. 220 კილომეტრი ზღვისპირა ტერიტორიაა. რუსეთი დღეს ეზღაუჭება აფხაზეთს. ოსეთი შეიძლება დათმოს, მაგრამ აფხაზეთის დათმობა გაუჭირდება, თუმცა იმედი ამ კუთხის დაბრუნებისა, ცხადია, გვაქვს.

**ესაუბრა**
**ლელა ხვადაგიანი**

◉ რა გაიაფდა, რა გაძვირდა

# შემოსავალი მცირდება, ფასები კი უღმერთოდ იზრდება

## რას გვიჩვენებს მაისის ფასების სტატისტიკური მონაცემები?

**ექსპერტთა ვარაუდი, ზაფხულის დადგომის კვალობაზე მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესებისკენ წავაო, სამწუხაროდ, არ გამართლდა. პირიქით, ზაფხულიც დადგა და ფასებმა, კლების ნაცვლად, პირიქით, ყველაფერზე მოიმატა.** მართალია, ხელფასებმაც მოიმატა, ოღონდ ნომენკლატურული მუშაკებისამ. პენსიონერები? პენსიონერები კვლავ მომავლის იმედად დარჩნენ, რადგან სილარიბის დაძლევის ე.წ. ყბადაღებული პროგრამის ამოქმედება, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, გადაიწია, მაგრამ ზუსტი თარიღის დასახელებას ყველა ერიდება (მავანი იმასაც ამბობს, ხელისუფლებას ამ პროგრამის დასაფინანსებლად გამოყოფილი 52 მილიონი ლარი მოახლოებული არჩევნებისთვის სჭირდებაო)...

**საინტერესოა, რა მონაცემებს ფლობს ივნისისთვის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი? რა გაძვირდა და რა გაიაფდა ღლეისათვის? როგორი სამომხმარებლო ფასები გვქონდა, რა ნიშნულს მიაღწია ინფლაციის დონემ?**

ინფორმაცია ყოველივე ამის შესახებ რედაქციას ოპერატიულად მიაწოდა ამ უწყების ფასების სამმართველოს უფროსმა, ქალბატონმა **ლია მდინარაძემ.**

**საქართველოში 2006 წლის მაისში, აპრილთან შედარებით, სამომხმარებლო ინდექსმა 102,4 პროცენტი შეადგინა, შესაბამისად, ინფლაციის დონემ – 2,4 პროცენტი. წლის დასაწყისიდან კი სამომხმარებლო ფასების საერთო დონე 5,8 პროცენტით გაიზარდა.**

გთავაზობთ ინფლაციის დონის მაჩვენებლებს ბოლო ხუთი წლის მიხედვით:

| | 2002-2003 | 2004 | 2005 | 2006 |
|---|---|---|---|---|
| მაისი აპრილთან | 100,0100,2 | 100,0 | 98,7 | 102,4 |
| მაისი წინა წლის დეკემბერთან | 105,4102,3 | 100,8 | 102,1 | 105,8 |
| მაისი წინა წლის მაისთან | 107,6102,3 | 105,4 | 108,9 | 100.0 |

მართალია, ჩვენი აგრარული ბაზრები პროდუქტების ნაკლებობას არ განიცდიან, მაგრამ იმას მაინც ვერ გაიგებ, თურქულ პამიდორს ყიდულობ, თუ ქართულს. გამყიდველები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი დაცანცლონ მომხმარებელს: რა ქნან, მათაც ისევე უჭირთ, როგორც, თითოეულ ჩვენგანს, უკვე ქართული პროდუქტიც ბლომად გამოჩნდა ბაზარზე, მაგრამ ჩვენი, შინაური უფრო ძვირია. ყველაფერი, არც მეტი არც ნაკლები, დოლარს ბრალდება, რადგან იციან, რომ ჩვენთან დოლარის კურსი დღითდღე ეცემა.

წლეულს მაისში, აპრილთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების საერთო დონის ფორმირებაზე, როგორც ზრდის, ასევე კლების მიმართულებით რამდენიმე ფაქტორმა იქონია მნიშვნელოვანი გავლენა, რასაც გვერდს ვერ ავუვლით.

– უპირველესად, **2006 წლის 1 მაისიდან ქვეყანაში ფასები გაიზარდა: ბუნებრივ აირზე 31,3 პროცენტით** (მათ შორის თბილისში 28,8 პროცენტით, ქუთაისში – 35,7, ბათუმში – 32,5, გორში – 35,7, ხოლო თელავში – 35,8 პროცენტით).

**– მაისში აპრილთან შედარებით საქართველოში სამომხმარებლო ფასები გაიზარდა საწვავზე 8,1 პროცენტით,** მათ შორის ბენზინი გაძვირდა საშუალოდ 10,1 პროცენტით (თბილისში – 11,2 პროცენტით, ქუთაისში – 9,8, გორში – 9,7, ბათუმში – 8,5 პროცენტით) და დიზელის საწვავი საშუალოდ 10,9 პროცენტია (მათ შორის თბილისში – 13,6 პროცენტით, გორში – 9,8, ბათუმში – 8,8, ქუთაისში – 6,3 პროცენტით).



**– მაისში წინა თვესთან შედარებით საქართველოში სამომხმარებლო ფასები, სამწუხაროდ, გაიზარდა სურსათზეც საშუალოდ 4,3 პროცენტით. მათ შორის გაძვირდა კვერცხი 53,9 პროცენტით** (ქუთაისში – 79,1 პროცენტით, ბათუმში – 55,2, თბილისში – 49,2, გორში – 46,3, თელავში – 41,3 პროცენტით). **ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ბოსტნეულზე საშუალოდ 17,4 პროცენტით, გაძვირდა კომბოსტო – 13,08 პროცენტით, სტაფილო – 30,5, ჭარხალი – 25,5 პროცენტით.**

**ფასები ასევე გაიზარდა ხილზე – 4,7 პროცენტით,** მათ შორის გაძვირდა ფორთოხალი – 11,6 პროცენტით, **შაქარი – 6,4 პროცენტით**, მათ შორის თბილისში 7 პროცენტით, ქუთაისში – 7,1, ხოლო გორში – 7,3 პროცენტით.

**ამასთან ერთად, გაიაფდა ყველი – 22,5 პროცენტით, მწვანილი – 20,0, კიტრი – 42,6, პამიდორი – 11,4, ბადრიჯანი – 20,2 პროცენტით.**

სტატისტიკის აზრით, მიმდინარე წლის მაისში, აპრილთან შედარებით, **სამომხმარებლო ფასების საერთო დონე გარკვეულწილად განსაზღვრა ფასების კლებამ თამბაქოზე საშუალოდ 2,2 პროცენტით და ალკოჰოლურ სასმელებზე 1,5 პროცენტით.** კერძოდ, იმპორტულ სიგარეტზე სამომხმარებლო ფასები შემცირდა 2,9 პროცენტით, მათ შორის გორში – 11,3 პროცენტით, ბათუმში – 5,2 პროცენტით და ა.შ.

კითხვაზე – **როგორია სამომხმარებლო ფასების ინდექსი შარშანდელ დეკემბერთან შედარებით, პასუხი ასეთია: 105,8 პროცენტი.** ქალბატონი ლია განმარტავს:

მიმდინარე წლის ხუთ თვეში სამომხმარებლო ფასების საერთო დონის 5,8-პროცენტიანი ზრდა ძირითადად სურსათზე ფასების ზრდამ განაპირობა, საშუალოდ 9,4 პროცენტით.

**წლევანდელ მაისში, 2005 წლის დეკემბერთან შედარებით, სამომხარებლო კალათის მომსახურების ნაწილში ფასები გაიზარდა სატრანსპორტო მომსახურებაზე 4,4 პროცენტით, აირსა და სხვა საწვავზე 4,5 პროცენტით, ხოლო სასტუმროების, კაფეებისა და რესტორნების მომსახურებაზე – 2,3 პროცენტით.**

აი, ასეთია მაისის თვის ფასების სტატისტიკა. კარგია თუ ცუდი? ჯერჯერობით თქმა ძნელია, ყოველ შემთხვევაში მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პირი რომ არ უჩანს და შემოსავლები მცირდება. ცხადია, ან კი როგორ უნდა გაუმჯობესდეს, როცა არც ახალი საწარმოები იხსნება და არც სამუშაო ადგილები ჩანს, თითო-ოროლა მერცხალი კი გაზაფხულს რომ ვერ მოიყვანს, ეს ყველამ ვიცით.

**ნაზი იმნაიშვილი**

◉ ინფორმაცია

### ზურაბიშვილი უარზეა

**პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზის" ლიდერი სალომე ზურაბიშვილი პირადი დაცვის დანიშვნის შესახებ ხელისუფლების შემოთავაზებაზე საჯაროდ უარის თქმის მიუხედავად, საკუთარ უსაფრთხოებაზე მთელ პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს. „მე საზოგადოების ერთ-ერთი წევრი ვარ. პრეზიდენტი და ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე", – განაცხადა გუშინ პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე სალომე ზურაბიშვილმა.**

**– პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი არველაძემ პირადი დაცვის დანიშვნა ჩემი თანაშემწის საშუალებით შემომთავაზა", – განაცხადა ზურაბიშვილმა.**

**ზურაბიშვილის თქმით, მისთვის, როგორც ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერისათვის ხელისუფლების მხრიდან არასაჯარო შეთავაზება პირადი დაცვის დანიშვნის შესახებ მოულოდნელი და გაუგებარია და "იგი ხელისუფლებას ამჟერად საჯაროდ ეუბნება უარს პირადი დაცვის დანიშვნაზე".**

**– არც კი და არც არა", – ასეთია სალომე ზურაბიშვილის პასუხი ხელისუფლების შეთავაზებაზე, რომლის თქმითაც, თუ ხელისუფლება თვლის, რომ მისი დაცვის მიზნით უსაფრთხოება გასაძლიერებელია, ეს ხელისუფლების პრობლემა და მოვალეობაა.**

### მოლაშვილს უარი უთხრეს

**ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. მოლაშვილი მისი მკურნალობის ოპტიმალური გეგმის შერჩევის მიზნით დამატებით სისხლის ანალიზის ჩატარებას მოითხოვდა.**

**იუსტიციის სამინისტროში განაცხადეს, რომ ამის შესახებ სტრასბურგის სასამართლომ იუსტიციის სამინისტროს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარმომადგენლობის დეპარტამენტს აცნობა. ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო საქართველოს მთავრობის მზადყოფნა სულხან მოლაშვილისათვის შესაბამისი მკურნალობის უზრუნველყოფის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ამაზე პაციენტი თანახმა იქნება.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ დავდივარ თბილისის ქუჩებში

# ერთადერთი მომღიმარი სახე...

**ძველ ელადაში მხატვრობას სიცოცხლის შენარჩუნების საშუალებად თვლიდნენ. დღეს კარგი ნახატი ფუფუნებისთვის განკუთვნილი ნივთია. საქართველოში კი ხელოვანსა და დამფასებელს შორის ზღვარი ეკონომიკურ უძლურებაზე გადის.**

– სულიერი სიჯანსაღე, წონასწორობა რომ შეინარჩუნო, პურის ფული მაინც უნდა გქონდეს. მშიერი ადამიანი მხეცივითაა. მას არაფერი მოეთხოვება. ის არც თავისუფალია, აღარც შემოქმედი, – მეუბნება მხატვარი თინა გალდავა. ის ერთ-ერთი იმ ხელოვანთაგანია, ვინც მშრალ ხიდთან თავისი შემოქმედებითი პროდუქტის გაყიდვით ირჩენს თავს და ახალი ნამუშევრების შექმნისთვის სახსარსაც ასე თუ ისე შოულობს.

– ვაჭრობის შნო, მართალია, ხელოვანს არ მოეთხოვება, მაგრამ დღეს თუ პროფესორი ბოსტნეულით ვაჭრობს, რა მოხდა, მხატვარმა თავისი შემოქმედებით ივაჭროს? – ასე ფიქრობენ „მშრალხიდელები" და ხელოვნებაც საბაზრო მოთხოვნებს ერგება.

ნახატი თუ ერთხელ გაიყიდა, ავტორი მსგავს კომპოზიციას კვლავინდებურად გაიმეორებს...

– ეს ღუპავს მხატვრის ფანტაზიას, მაგრამ არსებობა ხომ გინდა?!

მშრალ ხიდზე კანტიკუნტად გამოჩენილ მყიდველთა შორის უმრავლესობა უცხოელია. ამიტომ სურათები ხშირად პრაგმატული დანიშნულებით იქმნება.

ძველი თბილისის თემატიკა აქ განსაკუთრებით აქტუალურია.

მხატვრების აზრით:

– თუ ასეთ ნახატს ქართველი შეიძენს, მას ან უცხოელი სტუმარი ჰყავს ან თვითონ მიემგზავრება საზღვარგარეთ. თუ უცხოელი ყიდულობს, მისთვის „ძველი თბილისი" უბრალოდ სუვენირია და – მეტი არაფერი.

აქაურებისთვის და უცხოელთათვისაც სურათზე ასახული თევზი ერთნაირად მიმზიდველია.

– ყველა „თავის თევზს" ეძებს! – განმარტავს მეწამული თევზის ავტორი, რომელიც ვინაობას არ გვიმხელს.

კვლავაც მოდურია სასიყვარულო თემები, მარტივი ფიგურებითა და მკვეთრი ფერებით გადმოცემული...



რომ გაგიმართლოს, მყიდველის ფსიქოლოგია გულდასმით უნდა შეისწავლო, მაგრამ თუ ქართველების უმრავლესობის ჯიბე მცირედი ღირებულების მქონე სურათის შეძენასაც ვერ სწვდება, ვერაფერს გააწყობ.

– ერთი თვე გავიდა და ორი სურათი გავყიდე მხოლოდ! ნამეტნავად გულსატკენია, ფასეულ ნახატს, რომელშიც ჩემი სული დევს და ქართველის გარდა ვერავინ ალიქვამს, უცხოელი ყიდულობს – ამბობს თემრაზ დევდარიანი.

უცხოელი მაინც რომ ყიდულობს კარგია, მაგრამ ავთო მიქაბაძის თქმით, მათ იციან, ქართველებს არაფერი გვაბადია და სურათში, რომელიც საზღვარგარეთ ორმაგად გაიყიდებოდა, მეოთხედსაც არ გვიხდიან.

თავს ზემოთ ძალა არ არის. სახელმწიფოს ხელში კი, მხატვრების აზრით, ხელოვნების გადარჩენის არა ერთი მექანიზმია. ქვეყანაში ტურიზმის განვითარება მთავრია, მაგრამ...

– თუ დღეს არ მივხედეთ იმ კულტურას, რაც გაგვაჩნია, ხვალისთვის არ შევქმენით ახალი, ღირებული, – რით მოიწონებს ქვეყანა თავს მომავალში?! – ამბობს მაია არზოლიშვილი.

ქალბატონი მაია მხატვარია და თოჯინებს ქმნის. ადამიანის იერსახის ეს ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი უსულო განსხეულება თითქმის ერთადერთი მომღიმარი სახეა მშრალ ხიდზე გამოფენილი პორტრეტების სევდიან სახეებს შორის.

– ბავშვებისთვის ვქმნი, თორემ ჩვენს შემყურეებს რა გააცინებდათ! – ღიმილით ამბობს იგი.

ეპოქის რიტმი ყველაზე მძაფრად ტილოზე ჟღერს. სურათის სტილი და თვით სალებავებიც საინტერესო ინფორმაციის წყაროა, მაგრამ არც ცხოვრების სარკეა, „ის მხოლოდ მაყურებელს აირეკლავს".

ავტორი კი მყიდველს ელოდება და შესცქერის ნახატით მოხიბლულ ქართველს, რომელიც მხოლოდ უმზერს...

**სოფო გელიტაშვილი**

◉ SOS!

# ამერიკული თეთრი პეპელა შიმშილით ამოგვწყვეტს

**ბოლო წლებში ქვეყანაში გატარებულმა დადებითმა ძვრებმა, კერძოდ მოსახლეობის მომარაგებამ უწყვეტი ელექტროენერგიით, გზებისა და ხიდების შეკეთებამ, სამედიცინო მომსახურების დონის ამაღლებამ სოფლად, სამართალდამცველი ორგანოების ეფექტიანმა ბრძოლამ დამნაშავეობის წინააღმდეგ, სამეგრელოს რეგიონის წლების განმავლობაში იმედგაცრუებულ მოსახლეობას მომავლის რწმენა, იმედი ჩაუსახა.**

სულ ორიოდე წლის წინათ ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზის მონაკვეთზე მცხოვრები მოსახლეობის ყოველ მეხუთე ეზო-კარზე აბრა ეკიდა, სახლი იყიდებაო. ეს აბრები უკვე ჩამოხსნეს. გლეხმა სოფლისკენ იბრუნა პირი, რაც მთავარია, – ახალგაზრდობამ. ეს უდაოდ სოფლისადმი ხელისუფლების ყურადღების შედეგია.



მაგრამ უკანასკნელ სამ-ოთხ წელიწადში სამეგრელოს რეგიონში ფართოდ გავრცელებულმა საშიშმა მავნებელმა – ამერიკულმა თეთრმა პეპელამ, რეგიონის უამრავ სოფელში მთლიანად გაანადგურა აქაურობისთვის დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურები: სიმინდი, თხილი, ხილი, ბოსტნეული და მრავალი სხვა, რამაც შიმშილის ზღვარამდე მიიყვანა მოსახლეობა. საშინელებაა უყურო გამხმარი ვაშლის, მსხლის, ატმის, კარალიოკის ხეებს.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ამ საშინელ მავნებელთან ბრძოლა ცალკეული პირების მიერ, ინდივიდუალური გზით, არავითარ შედეგს არ იძლევა.

აუცილებელია სასწრაფოდ შეიქმნას რეგიონში მავნებელთან ბრძოლის სამსახური, რომელიც უნდა აღიჭურვოს სათანადო ტექნიკით, შხამ-ქიმიკატებით. ამ საშინელი სენის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფომ კონტროლზე უნდა აიყვანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის უხვი მოსავლიანობით ოდითგან განთქმული მოსახლეობა სილატაკის ზღვარზე აღმოჩნდება.

მოსახლეობა მზადაა აქტიურად ჩაებას ამ საშინელების წინააღმდეგ ბრძოლაში და თანახმაა გაიღოს სათანადო საზღაურიც. მაგრამ ჩვენი მრავალგზისი თხოვნა, ზომები მიეღოთ, სათანადო სამსახურებმა დღემდე ყურად არ იღო.

ძვირფასო რედაქცია, უმორჩილესად გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ეს წერილი, იქნებ ამ სამსახურებმა გულთან მიიტანონ სოფლის გასაჭირი.

**ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის მცხოვრებთა სახელით და მათი თხოვნით**
**პალიკო არჩელია**

◎ ინფორმაცია

## გატაცება სენაკში

გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღებიდან გუშინ გამთენიისას ჯერჯერობით დაუდგენელმა, შეიარაღებულმა პირებმა მამა-შვილი — გურამ და პაატა ხარჩილავები გაიტაცეს.

მეზობლების თქმით, ავტომატებით შეიარაღებული სამი პირი საცხოვრებელ სახლში შეიჭრა და მამა-შვილი ავტომანქანაში იძულებით ჩასვა, რის შემდეგაც გალის მიმართულებით მიიმალნენ. მეზობლები აცხადებენ, რომ სამივე თავდამსხმელს ნიღბები ეკეთა და რუსულ ენაზე საუბრობდნენ. გატაცებიდან ორი საათის შემდეგ ხარჩილავების ოჯახში შეტყობინება მივიდა — მამა-შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ გამტაცებლები 40 ათას აშშ დოლარს ითხოვენ.

ბოლო სამი თვის განმავლობაში გალის რაიონიდან ადამიანთა გატაცების არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა. დღეს მომხდარი გატაცების ფაქტს, სავარაუდოდ, ქართული მხარე ხვალ ჭუბურხინჯის შეხვედრაზე განიხილავს.

## ავარია თიანეთის გზაზე

თიანეთის გზაზე მძიმე ავტოსატრანსპორტო შემთხვევა მოხდა. დაშავებულები არიან თბილისის ჯვრისმამის ეკლესიის მოძღვარი მამა ტარიელ სიკინჭილაშვილი, მისი შვილი ქეთევან სიკინჭილაშვილი და ამავე ავტომანქანაში მყოფი რამდენიმე მგზავრი, რომლებიც თბილისში, ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში არიან გადმოყვანილები. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ჯერჯერობით მძიმეა.

საქართველოს საპატრიარქოში ადასტურებენ ავტოსატრანსპორტო შემთხვევის ფაქტს, თუმცა დეტალებზე ჯერჯერობით ვერ საუბრობენ. სავარაუდოდ, მამა ტარიელი მიემართებოდა მისი ძალისხმევით აღდგენილ ლომისის ეკლესიაში.

## დააკავეს კონტრაბანდისტი



განსაკუთრებით დიდი ოდენობით კონტრაბანდის შემოტანისთვის ფინანსური პოლიციის კახეთის სამმართველომ ფარსმან ისმაილოვი დააკავა.

ფინანსურ პოლიციაში განაცხადეს, რომ ისმაილოვს „კამაზის“ მარკის ავტომანქანით აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოვლითი გზებით სამრეწველო საქონელი და ავტომანქანის ნაწილები შემოჰქონდა.

## ლტოლვილთა ყოველწლიური რეგისტრაცია იწყება

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ გამოაცხადა ლტოლვილთა ყოველწლიური სავალდებულო რეგისტრაცია, რომელიც ჩატარდება 2006 წლის 26 ივნისიდან 9 ივლისამდე ახმეტის რაიონის სოფელ დუისში რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან „PRIMA FACIE“ პრინციპით ლტოლვილ პირთათვის.

2006 წლის 10 ივლისიდან 25 ივლისის ჩათვლით რეგისტრაცია გაგრძელდება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 16ძ, როგორც რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან „PRIMA FACIE“ პრინციპით ლტოლვილ პირთათვის, ასევე საქართველოში რეგისტრირებული ინდივიდუალური ლტოლვილებისათვის.

ინტერპრესნიუსი

◎ ისტორიის გამოცანა

# სტალინი: ეკონომიკის გენიოსი თუ ბოროტმოქმედი?

**ისტორიასა და თანამედროვეობაში, ალბათ, ცოტა პრობლემა თუ იქნება ისეთი, რომელთა თაობაზეც რუსეთის საზოგადოება ერთსულოვანი იყოს. ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის ან პიროვნების მოღვაწეობის ახლებურად გააზრება ყოველთვის იწვევს ან მათი მომხრეების, ან მოწინააღმდეგეთა რიგების შევსებას. სოციოლოგთა მიერ გამოკითხული ადამიანების ნახევარი იოსებ სტალინს კვლავ მიიჩნევს ბოროტმოქმედად და ტირანად, მეორე ნახევრის აზრით კი, იგი არის უმძლავრესი იმპერიის შემქმნელი, უდიდეს მხედართმთავარი და ადამიანი, რომელმაც არნახულ სიმაღლეზე დააყენა ქვეყნის ძლიერება. 2004 წლის მარტში, პრეზიდენტის არჩევნების წინ, ზოგიერთი გამოკითხვის მონაცემებით, სტალინის რეიტინგი ოდნავ თუ ჩამოუვარდებოდა პუტინისას. „ხალხთა ბელადის“ გარდაცვალების მორიგი წლისთავისადმი მიძღვნილი ბოლო გამოკითხვის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, რესპონდენტთა ნახევარმა პოზიტიურად შეაფასა მისი როლი ქვეყნის ცხოვრებაში. კითხვას, სჭირდება თუ არა თანამედროვე რუსეთს ასეთი პოლიტიკოსი, გამოკითხულთა 42 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა.**



იოსებ ჯუღაშვილი კვლავ რჩება თითქმის ყველაზე პოპულარულ პოლიტიკურ მოღვაწედ მისი გარდაცვალებიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგაც კი, მაგრამ ამ ადამიანის პიროვნება დღემდე ნაკლებად თუა გააზრებული. განსაკუთრებით ეს ეხება მის ეკონომიკურ საქმიანობას. სტალინმა ხომ ორჯერ გაიყვანა ომებითა და რევოლუციებით დაუძლურებული რუსეთი ეკონომიკური აღმავლობის ტრაექტორიაზე.

სამი წლის წინათ რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველმა ეკონომიკის საკითხებში ანდრეი ილარიონოვმა, „იზვესტიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, როცა მიმოიხილა 1886 წლიდან რუსეთის ეკონომიკის დაცემისა თუ აღმავლობის ისტორია, გამოყო სამი დიდი კრიზისი (1917-1922, 1941-1946 და 1991-1998 წლებიძ. ეს უკანასკნელი, ილარიონოვის აზრით, ოდნავ თუ ჩამოუვარდებოდა სამოქალაქო ომის წლების კრიზისს. ილარიონოვის მონაცემებით, ამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა შეადგინა: ეკვატორულ გვინეაში — წელიწადში 10 პროცენტზე მეტი, ჩინეთში — 8,5 პროცენტი, საშუალოდ მსოფლიოს ქვეყნებში კი — 1,8 პროცენტი. და მხოლოდ რუსეთში იყო ეს მაჩვენებელი უარყოფითი: 1991-2000 წლებში — წელიწადში მინუს 3 პროცენტი. პრეზიდენტის მრჩევლის მოხსენების განმარტებისას, „იზვესტიამ“ ასე „დახატა“ რუსეთი რუკაზე: ტერიტორიის მიხედვით მისი წილი შეადგენს 11,5 პროცენტს, მოსახლეობით — 2,32 პროცენტს, პარიტეტული მსყიდველობითი უნარით — 1,79 პროცენტს, მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით, სავალუტო კურსებთან შეფარდებით — 1,1 პროცენტს.

აქ დასკვნა მხოლოდ ერთი და ძალზე მკაცრია — კაცობრიობის ისტორიამ არ იცის პრეცედენტი, როცა ხანგრძლივი დროის განმავლობაში შენარჩუნებული ყოფილიყოს ასეთი დიდი სხვაობა „ტერიტორიულ სიმძლავრეს“ და „ეკონომიკურ უსუსურობას“ შორის. ერთი სიტყვით ან დაიწყებოდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, ან გარდუვალი იქნებოდა ქვეყნის დაშლა და დამოუკიდებლობის დაკარგვა. მართალია, ეს არავის უთქვამს, მაგრამ იგულისხმებოდა.

გარდა ამისა, ილარიონოვმა დაასკვნა, რომ **„რუსეთში ეკონომიკური ზრდის ყველაზე სწრაფი ტემპი შეინიშნებოდა 1923-1927 წლებში და ომის შემდეგ — 1947-1950 წლებში“.** ეკონომიკურ მრჩეველს პირდაპირ არაფერი უთქვამს სტალინის შესახებ, მაგრამ სწორედ ამ წლებში იმყოფებოდა იგი ხელისუფლების სათავეში.

შუა 1920-იან წლებში, ლენინის გარდაცვალების შემდეგ, ქვეყანა თავისებურ გზაგასაყარზე აღმოჩნდა. აშკარა იყო ერთი რამ — სსრ კავშირის აუცილებელი ინდუსტრიალიზაცია, ამას კი დასჭირდებოდა სულ ცოტა 16-17 მილიარდი მანეთი ოქროთი. დღევანდელი საზომით, ეს დიდი ფული არ არის — მარტო ამ ბოლო წლებში რუსეთიდან რამდენიმე ათეულჯერ მეტი ფული გაიტანეს. მაგრამ მაშინდელი სსრ კავშირისთვის, ასეთი თანხის გაღება ნამდვილად მიუღწეველი ოცნება იყო. ძალზე მწვავედ იდგა იმის საკითხი, თუ სად უნდა ეშოვათ ფული სრული ეკონომიკური ბლოკადის პირობებში. **ერთნი აცხადებდნენ, რომ არ იყო საჭირო მოვლენათა დაჩქარება და ქვეყანას კვლავ უნდა ევლო ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გზით. განევითარებინა მსუბუქი მრეწველობა და მასთან დაკავშირებული დარგები, სოფლის მეურნეობაში კი ძირითადი აქცენტი კერძო სექტორზე გადაეტანათ. და თანდათანობით, საბანკო სისტემის მეშვეობით, დაეგროვებინათ ინვესტიციები მძიმე მრეწველობის შესაქმნელად.**

**პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელთა მეორე ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგა სტალინი, დაჟინებით მოითხოვდა, რომ სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებოდა მრეწველობა, სასოფლო-სამეურნეო წარმოება, აღმოფხვრილიყო კერძო ვაჭრობა და მხოლოდ სახელმწიფოს ხელში უნდა ყოფილიყო კონცენტრირებული ყველა რესურსი.** როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, ეს გზა ეფექტიანი აღმოჩნდა. სსრ კავშირი რომ დადგომოდა იმ გზას, რომელიც მრავალ წელზე იყო გათვლილი, ფაშისტები 1941 წელში ბანქოს ხუხულასავით დააქცევდნენ მთელს სახელმწიფოს თავიანთი ავიაციით, მძიმე არტილერიით, ტანკებითა და ჯავშანტრანსპორტიორებით.

**სტალინმა პარტიის ხელმძღვანელობაში თავის ოპონენტებზე საბოლოო გამარჯვება მოიპოვა იმავე დღეს, როგორც კი დამტკიცდა რუსეთის დაჩქარებული განვითარების სტალინისეული პროგრამა. 1929 წლის 23 აპრილს გაიხსნა სკპ(ბძ XVI სრულიად საკავშირო კონფერენცია, რომელზეც მიიღეს დადგენილება „სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის“ შესახებ. და ამ გეგმას თვით ოპონენტებმაც კი დაუჭირეს მხარი.**

**1930-იან წლებში აშენდა დნეპრჰესი, მაგნიტკა, ურალმაში, ჩელიაბინსკის ტრაქტორების ქარხანა, მრავალი სხვა საწარმო, რაც საბჭოთა ინდუსტრიის საფუძველი გახდა. ქვეყანამ უსწრაფესი ტემპით მიაღწია სამრეწველო განვითარებას და ღირსეული ადგილი დაიკავა ეკონომიკური ლიდერების — შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის და გერმანიის გვერდით. პირველ ხუთწლედში საექსპლოატაციოდ გადაეცა 1500-ზე მეტი ფაბრიკა და ქარხანა. ისტორიისთვის არნახულ ვადებში შეიქმნა სსრ კავშირში მძლავრი ენერგეტიკული ბაზა, თანამედროვე მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, საავიაციო- და გემთმშენებლობა და კოლოსალური ტემპებით ვითარდებოდა მეცნიერება და განათლება.**

პარტიის XVI ყრილობაზე გამოსვლისას თავის საანგარიშო მოხსენებაში სტალინმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს, რომელიც 1929 წელს წარმოიქმნა. მაშინ ბევრი ამბობდა, რომ საქმე ეხებოდა მხოლოდ დროებით ჩავარდნას, რომელიც სულ მალე დასრულდებოდა. **მაგრამ, როგორც მოვლენათა განვითარებამ გვიჩვენა, სტალინი მართალი ყოფილა, როცა ამბობდა, რომ „ამჟამინდელი კრიზისი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ძველის უბრალო განმეორება“ და რომ „ეს კრიზისი არის ყველაზე სერიოზული და ყველაზე ღრმა მსოფლიო ეკონომიკაში არსებულ ყველა კრიზისს შორის“.** მან ასევე გამოთქვა პროგნოზი, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი მთელ რიგ ქვეყნებში პოლიტიკურ კრიზისშიც გადაიზრდებოდა: **„ეს ნიშნავს, რომ ბურჟუაზია შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის ძებნას დაიწყებს საშინაო პოლიტიკის სფეროში შემდგომი ფაშიზაციის და ახალი იმპერიალისტური ომის გზით“.** სტალინმა აქტიურად გამოიყენა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, შეისყიდა რა იმ დროისათვის უახლესი სამრეწველო ტექნოლოგიები, მოიწვია სპეციალისტები. ჩვენ არ დავიწყებთ იმის მტკიცებას, თითქოს გენერალისიმუსი იყო სამრეწველო ჯაშუშობის მამამთავარი, თუმცა, უნდა ითქვას, რომ არც ამას თაკილობდა. ამის მკაფიო მაგალითი შეიძლება გახდეს ამერიკული თვითმფრინავი „დუგლასი“ და მისი საბჭოური ვარიანტი „ლი-2“. როცა ამერიკელებმა სცადეს სტალინის დადანაშაულება პლაგიატში, მან შენიშნა, რომ შემოქმედებით აზროვნებას საზღვრები არ გააჩნდა.

ეკონომიკის მშენებლობა ქვეყანას უწევდა საკუთარი სახსრებით, უცხო ქვეყნების კრედიტების ან დახმარების გარეშე. **სხვათა შორის, პირველი სესხი სსრ კავშირმა აიღო გერმანიისგან 1939 წელს. ამ ამბავზე ღირს დაწვრილებით შევჩერდეთ, რადგან კრედიტის აღება მომავალი ომის წინ პოტენციური მოწინააღმდეგისგან, პრაქტიკულად წარმოუდგენელია, მაგრამ საბჭოთა ხელმძღვანელობამ ეს შეძლო. სსრ კავშირმა და გერმანიამ დადეს სავაჭრო-საკრედიტო შეთანხმება მას შემდეგვე, რაც ბერლინმა შესთავაზა მოსკოვს დაედოთ პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ. ამ პაქტის დადებისთვის აუცილებელ პირობად საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა კრედიტის გამოყოფა. ყოველივე ამის შედეგად, სსრ კავშირმა შვიდი წლის ვადით მიიღო 200 მილიონი გერმანული მარკა წლიური 4,5 პროცენტით. თანაც, ეს კრედიტი გამოიყენეს მხოლოდ და მხოლოდ საინვესტიციო მიზნებისთვის: გერმანიაში შეისყიდეს მოწყობილობა, მანქანები, ჩარხები, რომელთა მეშვეობითაც მოხერხდა საბჭოთა სამრეწველო წარმოების აღორძინება.**

თუმცა, საბჭოთა კავშირმა მაინც ვერ შეძლო ომის დაწყებამდე ინდუსტრიალიზაციის ვერც ერთი ამოცანის გადაწყვეტა, რადგან, 1932 წელს საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავების გამო, რამდენიმე ქარხანა თავდაცვით წარმოებაზე გადაერთო. თუმცა, ქვეყანაში შემოიღეს მყარი ვალუტა. გამართულად მოქმედებდა საქონელბრუნვა და დაბეგვრა. ყოველივე ამან ბოლშევიკებს მისცა იმის შესაძლებლობა, რომ მათ ხელში მოეყარა თავი უზარმაზარ სახსრებს.

სსრ კავშირში ხელფასებს და საქონლის გამოშვებას სახელმწიფო განაგებდა. ფული იბეჭდებოდა იმდენი, რამდენსაც უშვებდნენ საქონელს, ფულის მასა მუდმივ ბრუნვაში იყო და ამ ბრუნვის რეგულირება ხდებოდა ხელფასების გაცემის სიხშირით. ამის წყალობით ქვეყანაში არ არსებობდა არც საქონლის დეფიციტი და არც გაუსაღებელი საქონელი. **გაანგარიშებაში დაშვებულ უმცირეს შეცდომასაც კი შეეძლო გამოეწვია ის, რომ მოსახლეობაში დაიწყებოდა „ზედმეტი“ ფულის დაგროვება, აქედან გამომდინარე მთელი შედეგებით. მაგრამ შეძლეს ამის თავიდან აცილება თვით ომის დროსაც კი.**

ბევრს მიაჩნია, რომ დიდ სამამულო ომში გამარჯვების მოპოვება შესაძლებელი იქნებოდა გაცილებით უფრო ადრე და ნაკლები დანაკარგებით, სტალინს მთელი გენერალიტეტი რომ არ დაეხვრიტა. მაგრამ არ შეიძლება არ გავუსვათ ხაზი იმას, რომ მეორე მსოფლიო ომი იყო ეკონომიკათა ომი. შეუძლებელი იყო ავიაციისა და ტანკების წინააღმდეგ მხოლოდ ტყვიამფრქვევებით და შაშხანებით ბრძოლა. ეს ომი კი არა, უბრალო ხოცვა-ჟლეტა იქნებოდა. ყველა რეპრესირებულ სამხედროს ჰქონდა მანევრული სამოქალაქო ომის გამოცდილება, და მხოლოდ დიდმა სამამულო ომმა წინა პლანზე წამოწია ახალი ფორმაციის მხედართმთავრები, რომლებსაც შეეძლოთ იმ დროისათვის თანამედროვე მექანიზებული ომის წარმართვა.



საბჭოთა მხედართმთავრები კარიერას იწყებდნენ ჯარისკაცად მეფის არმიაში. როგორც ჟუკოვმა, ისე როკოსოვსკიმ, ბაგრამიანმა, გოვოროვმა და კიდევ მრავალმა სხვამ, განათლება მიიღეს უკვე საბჭოურ ეპოქაში, გამოცდილება კი — ხალხინ-გოლთან, ჰასანთან ბრძოლებში და ფინეთის ომში. ერთი საინტერესო ფაქტი: როცა ჰიტლერმა შეიტყო, რომ ომი სსრ კავშირთან წაგებული ჰქონდა და ცდილობდა გაეანალიზებინა გარდაუვალი დამარცხების მიზეზები, ბრძანა შეეკრიბათ მთელი ინფორმაცია თავისი და საბჭოთა მხედართმთავრების შესახებ. შეადარა რა ეს მონაცემები ერთმანეთს, ჰიტლერმა განაცხადა, მიხვდა, რომ ახალ რუს მხედართმთავართა თაობა, გერმანელებისგან განსხვავებით, ნაკლებად კონსერვატიულია და მას შეუძლია არასტანდარტულ გადაწყვეტილებათა მიღების უნარიც.

**ომის შემდეგ კი ქვეყნის აღდგენა გახდა ისეთი ეკონომიკური სასწაული, რომელიც მანამდე არსად და არავის არ განუხორციელებია.** სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ვოზნესენსკი იხსენებს 1946 წელს დიდ თეატრში სტალინის ცნობილ შეხვედრას ამომრჩევლებთან: **„სტალინმა თქვა, რომ პარტია აპირებს გაუწიოს ორგანიზება სახალხო მეურნეობის მძლავრ აღმავლობას, რომელიც ორ-სამ ხუთწლედში სამრეწველო წარმოების დონე მოკლე ისტორიულ ვადაში ომამდელთან შედარებით ერთიანად უნდა გაიზარდოს. ქვანახშირის მოპოვება წლიურად გაიზრდება 500 მილიონ ტონამდე, ნავთობისა — 60 მილიონ ტონამდე. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება ჩვენი ქვეყანა გარანტირებული შემთხვევითობისგან, მაგრამ ამას, ალბათ, დასჭირდება სულ ცოტა სამი ხუთწლედი მაინც. გაოგნებული დავრჩი, როცა ეს ბოლო ციფრი მოვისმინე. მივხვდი, რომ ყველაფერი სწორედ ასე იქნება და რომ აქ არაფერი პროპაგანდისტული არ არის... უკვე 1955 წელს, ანუ, სტალინის მიერ გამოცხადებულ ვადაზე თითქმის ორჯერ უფრო სწრაფად მივაღწიეთ ნავთობის მოპოვების არა 60, არამედ 70 მილიონი ტონის მიჯნას. და ყოველივე ეს მოხდა საშინელი ომის შედეგად დანგრეულ ქვეყანაში! იმ პერიოდში ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 2,8-ჯერ, სამრეწველო პროდუქციის წარმოება — 3,2-ჯერ, სახალხო საქონელბრუნვა — 2,1-ჯერ, რეალური ხელფასები — 1,8-ჯერ, არნახული ტემპი, არნახული გაქანება“.**

ინდუსტრიალიზაციის და ომისშემდგომი აღდგენის გამოცდილება შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენს პირობებშიც, თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუ გავითვალისწინებთ შეცვლილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას. ახლა, ეკონომიკური პროგრესისთვის შესაძლებლობები აშკარად უფრო მეტია, თუ გავითვალისწინებთ საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობას — სამეცნიერო, ტექნიკური, კულტურული და ა. შ.

სტალინურ წარმატებათა არსია ის, რომ ხდებოდა მთელი ფულადი და მატერიალური რესურსების მობილიზება და მათი მიმართვა ქვეყნისთვის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგების შექმნა-განვითარების გზაზე. ეს პროცესი იყო მიზანდასახული და კარგად გააზრებული, გამორიცხავდა ყოველგვარ სტიქიურობას. იგი იყო ხილული, გამჭვირვალე და სახელმწიფოს მიერ წარმატებით მართვადი.

**მრავალი ეკონომისტი აღიარებდა, რომ სტალინი უნარიანად და თანამიმდევრულად ხელმძღვანელობდა ქვეყნის ბაზარს. რუსი წარმოშობის ამერიკელი ეკონომისტი,** ნობელის პრემიის ლაურეატი ვასილ ლეონტიევი წერდა: **„საბჭოთა ხელმძღვანელებს არ სჭირდებოდათ ეკონომისტები, რადგან თვითონ იყვნენ ეკონომისტები“.** სხვათა შორის, სწორედ სტალინს ეკუთვნის გამონათქვამი **„საშინაო ბაზრის, როგორც ძლიერი სახელმწიფოს საფუძვლის“** შესახებ. სსრ კავშირიდან განდევნილ ლევ ტროცკის — გამანაწილებელი ეკონომიკის თავგამოდებულ მომხრეს, სტალინის უმთავრეს შეცდომად მიაჩნდა სსრ კავშირის მეურნეობის ფულად-სასაქონლო ურთიერთობაზე გადაყვანა.

სტალინის დროს არსებობდა გაზის მრიცხველები, განათლება, უფროსი კლასებიდან დაწყებული, ფასიანი იყო. ალბათ, ბევრმა არც იცის, რომ მხოლოდ ხრუშჩოვის დროს ჩამოართვეს კოლმეურნეებს საკარმიდამო ნაკვეთები, და სწორედ ხრუშჩოვის მმართველობის წლებში დაიწყეს ვალუტით არალეგალურ მოვაჭრეთა დახვრეტა. ხრუშჩოვმა გააუქმა ფასიანი საზოგადოებრივი ტუალეტები — ეს, მართალია, უმნიშვნელო, მაგრამ მრავლისმთქმელი დეტალია. მთელ ამ პოლიტიკას ექსპერტები განმარტავენ იმით, რომ ხრუშჩოვი კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს მეშახტეთა დაბა იუზოვკაში, რომლის პარტორგანიზაცია ტროცკისტული იყო.

საინტერესოა იმ პოლიტიკურ ლიდერთა შეფასებები, რომლებიც არ იზიარებდნენ სტალინის იდეურ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობას. 1959 წელს, ცნობილი XX ყრილობიდან სამი წლის გასვლის შემდეგ, თემთა პალატაში გამოსვლისას, ჩერჩილმა თქვა: **„სტალინი იყო გამორჩეული პიროვნება... დიდი ბედნიერება იყო რუსეთისთვის, რომ იმ უმძიმეს განსაცდელთა წლებში ქვეყანას ხელმძღვანელობდა გენიოსი, მტკიცე მხედართმთავარი სტალინი... მან შექმნა და დაიმორჩილა უზარმაზარი იმპერია... სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება მთელ მსოფლიოში. მან ჩაიბარა ჩამორჩენილი ქვეყანა და გახადა იგი ატომური იარაღით აღჭურვილ ზესახელმწიფოდ. რაც არ უნდა ილაპარაკონ, ასეთ პიროვნებებს ისტორია არ ივიწყებს“.** შარლ დე გოლი წერდა: **„სტალინს ჰქონდა უდიდესი ავტორიტეტი არა მარტო რუსეთში. მას შეეძლო მტრების „მოთვინიერება“, არასდროს ეძლეოდა პანიკას წარუმატებლობის შემთხვევაში და მუდამ ტკბებოდა გამარჯვებით“.**



თვით დემოკრატიის თავგამოდებულ ქომაგთა შორისაც კი, რომელთათვისაც საძულველია ყველა ჯურის ტირანები, დესპოტები და ყოვლად მიუღებელია ეკონომიკაში სახელმწიფოს ნებისმიერი ჩარევა, იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც არაორდინარულ შეფასებას აძლევდნენ სტალინის პიროვნებას. იულია ლატინინა „ნოვაია გაზეტაში“ წერდა: **„სტალინი ზოგჯერ სასტიკი იყო, მაგრამ შეცდომებს არასდროს უშვებდა. ნიკოლოზ მეორე კეთილი იყო, მაგრამ ყველგან უშვებდა შეცდომას“.**

შევადაროთ ეს ორი მმართველი: **პირველის მმართველობის წლებში რუსეთი დამარცხდა ორ ომში — იაპონიის და მსოფლიო ომებში, შემდეგ ქვეყანაში მოხდა რევოლუცია, სამოქალაქო ომი, ნგრევა. მეორეს მმართველობის წლებში კი ქვეყანამ მიაღწია უდიდეს გამარჯვებას და პრაქტიკულად არაფრისგან შეიქმნა ზესახელმწიფო.**

**ნატალია პერევერტენი,**

ГазетаСНГ

---

◎ დადასტურება

# ქართველთა ტოლერანტობის გერმანული რეალიები

**ქართველი ერის უნიკალური ტოლერანტობა თვალსაჩინოდ გამოვლინდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე წელს თბილისში გერმანელი ტყვეების მემორიალურ სამარხის დაარსებით. ეს ერთადერთი თუ არა, უიშვიათესი შემთხვევაა არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ, შესაძლოა, ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ყველა მეომარ სახელმწიფოს შორის, ყოველ შემთხვევაში მათ დედაქალაქებში.**

მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მემორიალური სამარხი დაარსდა თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ საცხოვრებელ ადგილზე „საირმის გორაზე“. თბილისის იმდროინდელი მოწინავე საზოგადოების, ინტელიგენციის, მეცნიერების, კულტურის ცნობილი მოღვაწეების მონაწილეობით. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ დაღუპულ ტყვეთა სულების მოსახსენიებელი წირვა-ლოცვა აღავლინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II, მანვე აკურთხა სასაფლაო.

სამარხი დამშვენებულია კვიპაროსებით, თვალსაჩინო ადგილზე აღმართულია რკინის დიდი ჯვარი, რომლის გარშემოც მინიატიურული რკინის ჯვრებია სიმეტრიულად განლაგებული, როგორც საფლავების სიმბოლო, რასაკვირველია, სახელებისა და თარიღების გარეშე. ქვის კედელზე ამოტვიფრულია წარწერა გერმანულ და ქართულ ენაზე: „გერმანელ ტყვეთა სამარხი 1941-1945“.

ამ ლაკონიურ ეპიტაფიას თავისებურად ავსებს საქართველოში გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის გუნთელ დალჰოფის მიერ მრავლისმეტყველი ფაქტის გახმოვანება („ლ.ს.“ 1998 წ. 29 ნოემბერი). „დოიჩე ბანკის დირექციამ თბილისში ტრანსკავკასიის ბანკის გახსნა რომ გადაწყვიტა, ამაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ამ ფაქტმა შეასრულა“. იგულისხმება გერმანელ ტყვეთა სასაფლაოს დაარსება თბილისში. ამით, შეიძლება ითქვას, ისტორიული ჭირისუფლების — დღევანდელი გერმანელების მიერ პირველადაა გამოთქმული მადლიერება ქართველთა მიმართ, საერთოდ, და კერძოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, რაც გერმანელთა მიერ ქართველი ხალხის ტოლერანტობის აღიარებაა ქართველი ებრაელების შემდეგ.



ამავე დროს დღეს, მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან 60 წელზე მეტი ხნის შემდეგ, ვერც გერმანელი და ვერც სხვა ერი ძნელად წარმოიდგენს გერმანელი ტყვეებისადმი ქართველთა შემწყნარებლურ დამოკიდებულებას და ურთიერთობას ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საომარ მდგომარეობაში მყოფი ტირანული კომუნისტური რეჟიმის დროინდელ საქართველოში, ქვეყანაში, საიდანაც ომის დაწყების პირველსავე წელს ციმბირსა და შუა აზიაში, პირწმინდად გაასახლეს 15 ათასამდე მშვიდობიანი გერმანელი.

ომისდროინდელ ჩემსა და სხვა თაობას დღემდე წარუშლელ შთაბეჭდილებად შემორჩა თბილისში სხვადასხვა სამუშაოზე გამოყვანილ გერმანელ ტყვეებთან ადგილობრივ მცხოვრებთა ადამიანური დამოკიდებულება, საუზრები, კვების პროდუქტების, ხილის, თამბაქოს მიწოდება. ეს — სასურსათო ტალონების არსებობის და საერთო გაჭირვების პირობებში. თავის მხრივ, მამაკაცებისგან დაცლილ ოჯახებს გერმანელი ტყვეები ეხმარებოდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებაში, რის ანაზღაურებაც „ნატურით“ გამასპინძლებით ხდებოდა.

ომის დროს ჩვენთვის — მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის გაუგებარი იყო. ჩვენი უფროსი თაობის, მათ შორის, მგლოვიარე მშობლების ასეთი ალტრუიზმი სამხედრო ტყვეებისადმი, რაც შინაგან ბუნებიდან გამომდინარეობდა და ყოველგვარი ტირანიის შეუთავსებლობის გამოხატულება იყო. სწორედ მაშინდელი განწყობილების გამოვლენაა თბილისში გერმანელ ტყვეთა მემორიალური სამარხის დაარსება და მათთვის სამუდამო საპატიო ადგილსამყოფელის დამკვიდრება.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ერის დამოკიდებულება გერმანელი ტყვეებისა და სხვა ერის შვილების მიმართ კიდევ ერთი დამატებითი უტყუარი საბუთია მისი ტოლერანტობის და ჰუმანურობისა და ნიადაგს აცლის აფხაზი თუ ოსი სეპარატისტების და მათი „საკავშირო მწვრთნელების“, რუსეთის რეაქციული პოლიტიკოსების აბსურდულ მტკიცებებს, თითქოს ქართველმა ერმა წამოიწყო ეთნოკონფლიქტები, მოუწყო მათ „გენოციდი“. საქართველო „მცირე იმპერიაა“, ანტიტოლერანტული ერია და ა.შ.

მაგრამ, ვინც არ უნდა იყოს და როგორც და საიდანაც არ უნდა „უბერავდნენ“ ქართველი ერის ტოლერანტობის წინააღმდეგ, ვერავინ, ვერასოდეს ვერანაირად ვერ გადაფარავს თბილისში, საირმის გორაზე გერმანელ ტყვეთა მემორიალურ სამარხის მარადიულ დუმილს.

**გია ფირცხალავა,**
**საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.**

---

◎ გვირეკავენ, გვეკითხებიან

**— გთხოვთ განმიმარტოთ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არის თუ არა ზუსტად განსაზღვრული ოჯახის ცნება და მისი შექმნის საფუძვლები. მე და ჩემს მეგობრებს გვინდა ვიცოდეთ, არის თუ არა აუცილებელი ქორწინების რეგისტრაცია, თუ საკმარისია ჯვრისწერა. რამდენი წლის ასაკიდან ეძლევათ ახალგაზრდებს დაქორწინების უფლება, არსებობს თუ არა კანონიერი საფუძველი საქორწინო ასაკის შემცირებისათვის და სხვა.**

**პატივცემულო რედაქცია, გთხოთ დაგვეხმაროთ ჩვენთვის საინტერესო საკითხების გარკვევაში.**

**ლეილა მახარაძე**

— ქორწინება ოჯახის შექმნის ძირითადი საფუძველია, თუმცა არა ერთადერთი. ოჯახი შეიძლება წარმოიშვას დაუქორწინებელი ქალის მიერ ბავშვის დაბადების, შვილად აყვანის და კანონით გათვალისწინებული სხვა იურიდიული ფაქტების არსებობის შემთხვევაში. ქორწინება არის ქალსა და მამაკაცს შორის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც მიზნად ისახავს ოჯახის შექმნას და შვილების აღზრდას.

ჯერ კიდევ 1944 წლის 8 ივლისიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეთა კანონიერ უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოში გაფორმებული ქორწინება, რომელიც საჭიროა ემყარებოდეს ურთიერთ სიყვარულს, პატივისცემას და იმ დიდი პასუხისმგებლობის გააზრებას, რომელსაც ოჯახის შექმნა გულისხმობს.

ასე რომ, ქორწინების რეგისტრაციის გარეშე, წლების განმავლობაში თუნდაც ერთ ოჯახად ცხოვრების ფაქტი, მეუღლეთა შორის კანონიერ უფლება-მოვალეობებს არ წარმოშობს. ძალზე სასიამოვნო ფაქტია უკანასკნელ წლებში ჩვენი ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილის შემობრუნება ეკლესიისაკენ და მიდრეკილება ჯვრისწერასთან დაკავშირებით. პირადად ჩემი აზრით, ეს მეტად სავალდებულო და ამაღლებული რიტუალია და ყველა მართლმადიდებელი, რომელიც ამჟამად ქორწინდება ან უკვე დაქორწინებულია (მაგრამ არა საეკლესიო წესით), ისევე როგორც ჩვენი წინაპრები, ამ დიდ მადლს აუცილებლად უნდა ეზიაროს, მაგრამ ვალდებულებად ვთვლი თავს აქვე განვმარტოთ, რომ დღემდე მოქმედი კანონმდებლობით სამართლებრივი მნიშვნელობა რელიგიურ დაწესებულებებში გაფორმებულ ქორწინებას არა აქვს და მაშასადამე იგი არ წარმოშობს შესაბამის იურიდიულ უფლება-მოვალეობებს.

დაქორწინებისთვის აუცილებელია: საქორწინო ასაკი და დასაქორწინებელ პირთა თანხმობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის შესაბამისად საქორწინო ასაკად (როგორც გოგონების, ისე ვაჟებისათვის) დადგენილია თვრამეტი წელი.

გამონაკლის შემთხვევაში თექვსმეტი წლის ასაკიდან დაქორწინება დაიშვება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

თანხმობაზე მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის უარის შემთხვევაში, საპატიო მიზეზების არსებობისას, დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე, დაქორწინების ნებართვა შეუძლია გასცეს სასამართლომ.

სასამართლოს მიერ ერთ-ერთ საპატიო მიზეზად ჩაითვლება ქალის ორსულობა ან ბავშვის დაბადება. ასეთ შემთხვევაში, არსებული საოჯახო ურთიერთობების უსწრაფესად მოგვარება შეესაბამება როგორც სახელმწიფოს, ისე თვით ახალგაზრდა ოჯახის ინტერესებს.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილ-ბუშის მომავალ შეხვედრასთან დაკავშირებით

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამუშაო ვიზიტით მიიწვიეს ვაშინგტონში. საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი შეერთებულ შტატებში გაიმართება სანკტ-პეტერბურგის სამიტამდე 10 დღით ადრე, რაც, თავისთავად, მოსკოვისთვის ერთგვარი არაორაზროვანი მინიშნებაა. სამაგიეროდ, გადაიდო თვით ბუშის ვიზიტი უკრაინაში.**

ორი ქვეყნის პრეზიდენტების მომავალი შეხვედრის დღის წესრიგი სამუშაოა განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა.

როგორც მან თქვა, შეერთებული შტატების პრეზიდენტთან შეხვედრის დროს განიხილავენ „საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხებს, ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს“. ამ შეხვედრაზე მხარეები, ალბათ, შეეხებიან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ყველა მწვავე საკითხს: აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიებს და გაზის მიწოდებას.

„ვიზიტის დროს მხარეები განიხილავენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში კონფლიქტების მოწესრიგების გზებს. შეერთებული შტატების პრეზიდენტს ძალზე აინტერესებს, თუ რა ცვლილებები მოხდა საქართველოში მისი ვიზიტიდან გასული ერთი წლის შემდეგ“, — დასძინა გელა ბეჟუაშვილმა.

სამშაბათს, თეთრი სახლის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ საქართველო არის შეერთებული შტატების ძირითადი მოკავშირე ამერიკელთათვის მნიშვნელოვან რეგიონში, საიმედო პარტნიორი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ვაშინგტონი დიდად აფასებს იმ წვლილს, რომელიც საქართველოს შეაქვს ერაყში სიტუაციის მოწესრიგების საქმეში (ამჟამად ერაყში იმყოფება 850 ქართველი სამხედრო მოსამსახურე). დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, აგრეთვე აღნიშნულია ის გარემოება, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტი საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებას — არ გადაუხვიოს საბაზრო ეკონომიკის გზიდან — მიიჩნევს „მოდელად რეგიონში დემოკრატიის განვითარებისთვის“.

შეგახსენებთ, რომ სააკაშვილი შეერთებული შტატების ლიდერს პირველად შეხვდა 2004 წლის თებერვალში თეთრ სახლში, საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციიდან ზუსტად ერთი თვის გასვლის შემდეგ. ახალი ვიზიტის წინ ჯორჯ ბუშმა აღნიშნა, რომ სააკაშვილი „მტკიცედ ერთგულობს დემოკრატიის ღირებულებებს“, აგრეთვე განაცხადა, რომ ე.წ. „ვარდების რევოლუციამ“ მძლავრი იმპულსი მისცა ყველა იმ ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისთვის, დემოკრატიისა და პატიოსანი, პასუხისმგებლობის გრძნობით განმსჭვალული მთავრობის შექმნისთვის“.

2005 წლის მაისში შეერთებული შტატების პრეზიდენტმა საპასუხო ვიზიტი განახორციელა საქართველოში, სადაც მან შეაქო ქართველი ხალხი დემოკრატიული იდეალების მტკიცე ერთგულებისთვის. სამწუხაროდ, ამ მოგზაურობას ერთი „შავი ლაქაც“ ჰქონდა, როგორც ცნობილია, თბილისში ვინმე ვლადიმერ არუთინიანმა სცადა თავდასხმის განხორციელება შეერთებული შტატების მეთაურზე. 2005 წლის 10 მაისს თბილისის თავისუფლების მოედანზე, ბუშის გამოსვლის დროს, მან ისროლა ხელყუმბარა ტრიბუნის მიმართულებით, რომელზეც ორი ქვეყნის პრეზიდენტები იდგნენ. საბედნიეროდ, ხელყუმბარა არ აფეთქებულა. მიმდინარე წლის იანვარში საქართველოს სასამართლომ არუთინიანი ცნო დამნაშავედ საქართველოს და შეერთებული შტატების პრეზიდენტებზე თავდასხმის მცდელობაში და მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

გასული წლის მაისში ბუშის მოგზაურობა თბილისში მნიშვნელოვანწილად დემონსტრაციულ ხასიათს ატარებდა: იგი საქართველოში ჩავიდა მოსკოვში ვიზიტის შემდეგ, სადაც ესწრებოდა დიდ სამამულო ომში გამარჯვების იუბილესთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებებს.

ამჯერადაც ფრიად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სააკაშვილი შეერთებულ შტატებში მიიწვიეს ე.წ. „რვა დიდი ქვეყნის“ პეტერბურგის სამიტამდე სულ ათი დღით ადრე.

შეერთებული შტატები არაორაზროვნად მიანიშნებს, რომ რუსეთზე მეტად უპირატესობას ანიჭებს უფრო დემოკრატიულ პარტნიორს და მოკავშირეს. სხვათა შორის, ასეთივე დემარში მოხდა დიდი სამამულო ომის 60 წლისთავის იუბილეს წინ, როცა ბუში მოსკოვში ჩასვლამდე ლატვიას ეწვია.

სხვათა შორის, შეერთებული შტატების მეთაურმა ასეთივე ნეგატიური ხასიათის სიგნალი გაუგზავნა არა მარტო რუსეთს, არამედ უკრაინასაც. როგორც ცნობილია, გასულ წელს თეთრმა სახლმა გამოაცხადა, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტი კიევში აპირებდა ჩასვლას, მაგრამ ივნისში ვაშინგტონში აშკარად შეცვალეს გეგმები. პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გაკეთებული განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, ვიზიტის გადადების მიზეზი გახდა ის „სირთულეები, რომლებიც წარმოიქმნა უკრაინის მთავრობის ფორმირების საქმეში“. ამის ნაცვლად გამოაცხადეს, რომ ივნისის დამლევს ამერიკის პრეზიდენტი ეწვევა უნგრეთს, რათა მიიღოს მონაწილეობა საბჭოთა ჯარების ყოფნის წინააღმდეგ უნგრელთა აჯანყების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში.

**ვასილ სერგეევი**

газета.ru

# განსახილველი საკითხები — კონფლიქტების მოწესრიგება და ენერგეტიკული უშიშროება

**აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოწესრიგების საკითხები იქნება მთავარი თემები საქართველოს და შეერთებული შტატების პრეზიდენტების შეხვედრაზე, განუცხადა ჟურნალისტებს თბილისში შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ მეთიუ ბრაიზამ.**

როგორც ბრაიზამ აღნიშნა, „კონფლიქტები უნდა მოგვარდეს მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით და, რაც ყველაზე მთავარია, საერთაშორისო გაერთიანების მიერ აღიარებული ტერიტორიის ფარგლებში“.



ამასთან, ამერიკელმა დიპლომატმა განაცხადა, რომ „კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ქართულ გეგმაში ჩადებულია აფხაზეთის პრობლემის მომავალი მოგვარების გასაღები, მაგრამ ეს მომავალი დამოკიდებულია ასევე აფხაზების გადაწყვეტილებაზეც, აფხაზმა ხალხმა თავი უსაფრთხოდ უნდა იგრძნოს და აღარ უნდა ეშინოდეს ომის განახლების“.

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ასევე აღნიშნა, რომ თვითაღიარებულ რესპუბლიკაში 1999 წელს გამართული რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინება არ შეიძლება, რადგან მასში არ მიუღია მონაწილეობა აფხაზეთის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს. რეფერენდუმში უნდა მონაწილეობდნენ ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები, დასძინა ბრაიზამ. შეეხო რა, აფხაზეთში კიდევ ერთი რეფერენდუმის გამართვის შესაძლებლობას, მან განაცხადა, რომ ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნება მანამ, სანამ ყველა ლტოლვილი არ დაუბრუნდება მშობლიურ კერებს.

რაც შეეხება ენერგეტიკულ სფეროს, ვაშინგტონის წარმომადგენელმა თქვა: „ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელსაც განიხილავენ პრეზიდენტები შეხვედრის დროს იქნება რეგიონის ენერგეტიკული უშიშროება — აზერბაიჯანი თანდათანობით ხდება მსოფლიოში ნავთობისა და გაზის ერთ-ერთი წამყვანი მიმწოდებელი, იგი გაზით უზრუნველყოფს არა მარტო თურქეთსა და საქართველოს, არამედ საბერძნეთსა და იტალიასაც, და არც ის არის გამორიცხული, რომ აზერბაიჯანის გაზის მიწოდება შეიძლება მოხდეს უკრაინაშიც“. გარდა ამისა, ბრაიზას აზრით, ბუშმა და სააკაშვილმა შეიძლება იმსჯელონ ასევე უშიშროებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროებში ორი ქვეყნის თანამშრომლობის შესახებ.

REGNUM

# მიხეილ სააკაშვილი: საქართველო არ გაყიდის მაგისტრალურ გაზსადენს

**„საქართველო არ გაყიდის თავის მაგისტრალურ გაზსადენს“, — კიდევ ერთხელ აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, როცა გასცა პასუხი თბილისში მიმდინარე „ევრაზიის ენერგოუსაფრთხოება — ბაზრის მისაწვდომობა და საინვესტიციო პოლიტიკის“ საერთაშორისო კონფერენციის დროს დასმულ კითხვებს.** როგორც პრეზიდენტმა თქვა, მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვა არ შედის საქართველოს ენერგეტიკულ ინტერესებში. პრეზიდენტის სიტყვები კონფერენციის დროს დაადასტურა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ნიკოლოზ გილაურმაც.



შეგახსენებთ, რომ მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვის შესაძლებლობას განიხილავდნენ 2005 წელს და მაშინ ამ მილსადენის პრივატიზაციის მიმართ გარკვეული ინტერესი გამოთქვა რუსეთის „გაზპრომმა“. მაგრამ 2006 წლის დამდეგს ეს საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან — გადაწყდა, რომ გაზსადენი სახელმწიფოს მფლობელობაში დარჩებოდა. იმ პერიოდში მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვის წინააღმდეგ გაილაშქრა, კერძოდ, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე მეთიუ ბრაიზამაც, რომელმაც აღნიშნა, რომ ასეთი ნაბიჯი ვერ შეუწყობს ხელს საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. 2005 წელს შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში რიჩარდ მაილსმა ასევე განაცხადა, რომ შეერთებული შტატები ეწინააღმდეგება საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის შესაძლო პრივატიზაციას, რადგან ეს ობიექტი მნიშვნელოვანია არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

ამავე დროს, „გაზპრომის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრე რიაზანოვმა 20 მაისს გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა, რომ „გაზპრომი“ ჯერ კიდევ დაინტერესებულია საქართველოს გაზსატრანსპორტო სისტემის შესყიდვით, თუმცა ამასთან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობისგან ამის თაობაზე „გაზპრომს“ ჯერჯერობით არანაირი კონკრეტული ინფორმაცია არა აქვს. როგორც რიაზანოვმა თქვა, ბოლო მოლაპარაკების დროს, რომელიც რამდენიმე თვის წინათ გაიმართა, საქართველოს პრემიერმა განაცხადა, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა მზად არის იფიქროს ამ საკითხის განხილვაზე. მაგრამ დრო მიდის, და „გაზპრომმა“ შეიძლება დაკარგოს ინტერესი ამ გარიგებისადმი, დასძინა რიაზანოვმა.

# ნინო ბურჯანაძე: ამერიკელები მზად არიან გადაჭრან ჩვენთვის საჭირბოროტო პრობლემები

**თბილისი მოელის კონკრეტულ შედეგებს საქართველოს და შეერთებული შტატების პრეზიდენტების 5 ივლისისთვის დანიშნული შეხვედრისგან, განაცხადა საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებთან საუბრის დროს და გამოთქვა რწმენა, რომ შეხვედრა „საქმიანი და წარმატებული იქნება“.**

„ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ძალზე დაინტერესებულია საქართველოს პრობლემატიკით, და ეს შეხვედრა ადასტურებს, რომ ჩვენ მართლაც ვართ შეერთებული შტატების ერთ-ერთი პრიორიტეტი. ეს ქვეყანა მზად არის გადაჭრას საქართველოსთვის საჭირბოროტო პრობლემები საერთაშორისო გაერთიანების გააქტიურების გზით“, — აღნიშნა სპიკერმა. თავის მხრივ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, რომ მომავალი შეხვედრისგან თბილისში ელიან კონკრეტული საკითხების გადაწყვეტას. „უწინარეს ყოვლისა, ამ შეხვედრაზე განიხილავენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებულ საკითხებს და იმას, თუ რა სახის დახმარების გაწევა შეუძლია შეერთებულ შტატებს ამ საკითხების გადაწყვეტაში. იმსჯელებენ ასევე ნატოში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე“, — თქვა საქართველოს პრემიერმა.



საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაურმა გიორგი არველაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სააკაშვილის ვიზიტი ვაშინგტონში გაიმართება „დიდ შვიდეულთან“ რუსეთის შეხვედრის წინ, და ეს იქნება ამერიკის ლიდერის ბოლო შეხვედრა სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან პეტერბურგის სამიტამდე, რაც მიანიშნებს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სააკაშვილ-ბუშის შეხვედრას.

REGNUM

# იტალიაში მაფიოზები გაბაწრეს



**იტალიის პოლიციის მაფიის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილება აცხადებს, რომ დააპატიმრეს სულ ცოტა 45 ეჭვმიტანილი პირი, რომელთა შორის 13 მაფიოზური კლანების ლიდერია.**

როგორც იტყობინებიან, ისინი დააპატიმრეს სიცილიაში გავლენის სფეროთა გადანაწილების გამო „კრიმინალური ომის“ თავიდან აცილების მიზნით.

პროკურატურის მონაცემებით, მაფიოზური კლანები გეგმავდნენ მეტოქეთა ფიზიკურ ლიკვიდაციას, რათა შეევსოთ გასული წლის აპრილში ბერნარდო პროვენცანოს დაპატიმრების შედეგად წარმოქმნილი ვაკუუმი. ეს ადამიანი, რომელიც იტალიის მაფიის „ნათლიად“ ითვლება, 40 წელზე მეტ ხანს ემალებოდა მართლმსაჯულებას.

პროკურატურის წარმომადგენლები იტყობინებიან, რომ ყველა დაპატიმრებულს წაუყენეს ბრალდებები მაფიასთან კავშირის და გამოძალველობის გამო.

ოპერაციაში მონაწილეობდა ხუთასამდე პოლიციელი. ერთ-ერთმა იტალიელმა პროკურორმა პიერო გრასომ განაცხადა: „ახლა შეიძლება ითქვას, რომ „კოზა-ნოსტრა“ დავაჩოქეთ“.

პროკურორთა თქმით, მათ ასევე მოიპოვეს იმის მტკიცებულებანი, რომ მაფიის დაჯგუფებებს ჰქონდათ კავშირი ბიზნესმენებთან და პოლიტიკოსებთან, რომელთა შორის არიან ამ ცოტა ხნის წინათ გამართულ არჩევნებში დასახელებული მთელი რიგი კანდიდატებიც. თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ პოლიტიკოსთა ვინაობას არ ამხელენ.

**უკრაინაში სამმა პარტიამ, რომლებმაც უზრუნველყვეს პრეზიდენტის არჩევნებში ვიქტორ იუშჩენკოს გამარჯვება, გამოაცხადეს, რომ მიაღწიეს მორიგებას ქვეყნის ახალი მთავრობის ჩამოყალიბების საკითხში.**

ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ როდის მოაწერენ ხელს შეთანხმებას კოალიციის შექმნის შესახებ. პროპრეზიდენტური ბლოკის „ჩვენი უკრაინის“ თავმჯდომარემ რომან ბესმერტნიმ განაცხადა, რომ დოკუმენტი ტექნიკური თვალსაზრისით მზად იქნება უკვე ხუთშაბათისთვის, მაგრამ ამ დღეს — 22 ივნისს — აღინიშნება დიდი სამამულო ომის დაწყების 65 წლისთავი. „ამიტომ, ჩვენ ვაპირებთ 23 ივნისს გამოვაცხადოთ კოალიციის შექმნის შესახებ“, — დასძინა ბესმერტნიმ.

ამავე დროს, ოპოზიციური რეგიონების პარტიების წარმომადგენლებმა, რომლებსაც ვიქტორ იანუკოვიჩი ხელმძღვანელობს აღნიშნეს, რომ ხუთშაბათს დამოუკიდებლად აირჩევენ უზენაესი რადის შემადგენლობას, თუ „ნარინჯისფერები“ ამ დრომდე ვერ შეძლებენ კოალიციის ჩამოყალიბებას.

„ჩვენ უკრაინას“, იულია ტიმოშენკოს ბლოკს და სოციალისტურ პარტიას უკრაინის ახალ პარლამენტში უმრავლესობა აქვთ. თუმცა ექსპერტები

# „ნარინჯისფერმა“ პარტიებმა შეთანხმებას მიაღწიეს

არ გამორიცხავენ, რომ „ნარინჯისფერი“ პარტიების სიებით არჩეულმა ზოგიერთმა დეპუტატმა შეიძლება მხარი დაუჭიროს რეგიონების პარტიას.

„ნარინჯისფერთა“ კოალიციური შეთანხმების მიხედვით, უკრაინის პრემიერის პოსტს დაიკავებს იულია ტიმოშენკო, უზენაესი რადის სპიკერისას — იური ეხანუროვი, პირველი ვიცე-პრემიერი კი გახდება სოცპარტიის წარმომადგენელი.



◎ შტრიხკოდი

# დაწყევლილი ადგილი

ფედერაციის საბჭო ცარიელდება. ამ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ხუთმა სენატორმა დატოვა ბოლშაია დიმიტროვკაზე მდებარე შენობის კაბინეტები, თუმცა მათ ამის სურვილი ნამდვილად არ ჰქონიათ (ერთ-ერთი მათგანს — ლევონ ჩახმახჩიანს, სენატორს ყალმუხეთის ხურალისგან, დაკავებისას აღმოუჩინეს საეჭვო წარმოშობის დიდი რაოდენობის ამერიკული დოლარებიძ. სენატორთა წინააღმდეგ გაჩაღებული რეპრესიების კამპანიის მიზეზი მარტივია — ფედერაციის საბჭოს სხდომების სისტემატური გაცდენებით დაწყებული და კორუფციულ სქემებში შესაძლო მონაწილეობით დასრულებული. სად არის იმის გარანტია, რომ ჩახმახჩიანი იქნება ბოლო განდევნილი? ეს ჯერჯერობით ზედა პალატის არც ერთმა დეპუტატმა არ იცის. ხომ არ დადგა იმის დროს, რომ სენატორებმა გაქცევის გზებზე იფიქრონ?

ОГОНЁК



# მოკლედ

ინდოეთში ათასობით მორწმუნე თაყვანს სცემს 27 წლის კუდიან ადამიან-მაიმუნს. მორწმუნეებს მიაჩნიათ, რომ დასავლეთ ბენგალიის შტატის მცხოვრები ვინმე ჩანდრე ორაონი არის ინდუისტური მაიმუნთა ღვთაების — ჰანუმანის ხორცშესხმული განსახიერება, რომელიც ითვლება ფიზიკური ძალის, სიმტკიცის და ერთგულების სიმბოლოდ.

* * *

ნორვეგიის არქიპელაგში შენდება უნიკალური „საცავი“, სადაც სამუდამოდ იქნება შენახული ნებისმიერი მცენარე. ეს „მცენარეთა ბანკი“ განლაგდება სვალბარდის არქიპელაგის ერთ-ერთ შორეულ კუნძულზე, მთის ფერდობის ქვეშ, რომელიც მარადიული ყინულითაა დაფარული. ეს ტერიტორია ჩრდილოეთ პოლუსიდან დაახლოებით ათას კილომეტრზე მდებარეობს. საცავში შეიქმნიბა მიკროკლიმატი — ტემპერატურა ცელსიუსით მინუს 18 გრადუსზე მეტი არ იქნება.

* * *

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა აცხადებს, რომ ხმები რაკეტის გაშვების შესახებ შეერთებულმა შტატებმა გაავრცელა, თუმცა მზადაა დიალოგის დაწყებისთვის. გაეროში ჩრდილოეთ კორეის მუდმივმა წარმომადგენელმა ჰან სონ რელმა აღნიშნა, რომ რაკეტების გამოცდაზე ფხენიანის მიერ დაწესებული მორატორიუმი იმოქმედებს მხოლოდ შეერთებულ შტატებთან დიალოგის პერიოდში. ამავე დროს, ვაშინგტონი სხვა ქვეყნებთან ერთად აქტიურად განიხილავს ჩრდილოეთ კორეის მიერ რაკეტების გაშვების შემთხვევაში საპასუხო მოქმედების შესაძლო ვარიანტებს.

* * *



ერაყში მოკლეს სადამ ჰუსეინის ერთ-ერთი ადვოკატი ჰამის ალ-ოზეიდი, რომელიც გამთენიისას ბაღდადში მისივე სახლიდან გაიტაცეს პოლიციის უნიფორმაში გამოწყობილმა ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა. სულ მალე ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული ადვოკატის გვამი იპოვეს ბაღდადის სადრ-სიტის რაიონის ერთ-ერთ ქუჩაში. აღსანიშნავია, რომ ჰამის ალ-ოზეიდი გახდა ერაყის ექს-პრეზიდენტის მესამე ადვოკატი, რომელიც შეეწირა თავისი კლიენტის დაცვას.

◎ ხელოვნა

# სიმონ პეტლიურა – კაზაკი, ერისკაცი



**რუსეთის იმპერიული ამბიციებისა და ზრახვების წინააღმდეგ ბრძოლაში იმდენი დევნა-შევიწროება, როგორიც საქართველომ და უკრაინამ განიცადეს, ბევრ ქვეყანას არ შეხვედრია. რუსეთის იმპერიასთან ჩვენი ბრძოლის ისტორიის ფურცლები სისხლითააა დაწერილი, მაგრამ როგორც საქართველოში, ასევე უკრაინაში ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა არასოდეს განელებულა. ორივე ქვეყნის ისტორიაში არიან გმირები, რომლებსაც რუსეთის იმპერიის პროპაგანდა ათწლეულების მანძილზე ხალხის მტრებად წარმოაჩენდა, მაგრამ ისტორიის გაყალბება, საბოლოო ანგარიშით, შეუძლებელი აღმოჩნდა.**

საქართველოში ასეთი გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი გახლდათ, რომელსაც ქართველმა ერმა ბოლოს და ბოლოს მიაგო ღირსეული პატივი, უკრაინელი ხალხისთვის კი ასეთი თავდადებული კაცი და ეროვნული გმირია სიმონ პეტლიურა, რომლის მკვლელობიდან 80 წლისთავს მიეძღვნა კინოს სახლში საქართველოში უკრაინის საელჩოს, საქართველოს უკრაინელთა საკოორდინაციო საბჭოს, საქართველოს უკრაინელ პედაგოგთა კავშირის „განმანათლებლებისა“ და მ. გრუშევსკის სახელობის თბილისის პირველი უკრაინული სკოლის მიერ ორგანიზებული ხსოვნის საღამო.

უკრაინის სახალხო რესპუბლიკის დირექტორიის თავმჯდომარე სიმონ პეტლიურა დაიბადა პოლტავაში, 1878 წლის 10 მაისს, კაზაკების ოჯახში. დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო პოლტავის სასულიერო სემინარიაში, სადაც უკრაინის გათავისუფლებისთვის მებრძოლი საიდუმლო ორგანიზაციის წევრი გახდა. 1901 წელს რევოლუციურ-ნაციონალისტური იდეების პროპაგანდისთვის იგი სემინარიიდან გარიცხეს. 1903 წელს დააპატიმრეს, რის შემდეგ იგი ღიად დაუპირისპირდა თანაპარტიელებს უკრაინის რესპუბლიკური პარტიიდან და რუსეთის სოციალურ-დემოკრატიულ პარტიასთან გაერთიანების წინააღმდეგ გამოვიდა. 1906 წელს პეტერბურგის პარტიული გაზეთის „სვობოდნაია უკრაინას“ რედაქტორია, ხოლო 1912 წლიდან მოსკოვში რუსულენოვან ჟურნალ „უკრაინსკაია ჟიზნს“ ხელმძღვანელობს, სადაც მაქსიმ გორკი და მიკოლა გრუშევსკი იბეჭდებოდნენ.

1917 წლიდან იგი უკრაინის გენერალური კომიტეტის მეთაურია, ხოლო 1918 წელს — სრულიად უკრაინის მიწათმოქმედთა კავშირის თავმჯდომარე. ამ წელსვე იგი, ანტიგეტმანური მანიფესტის გამო, კვლავ დააპატიმრეს.

1919 წლის მიწურულს მისი ბრძანებით უკრაინის სახალხო არმია მიდის ზამთრის პირველ ლაშქრობაში და პოლონელებთან ერთად 1920 წელს ბოლშევიკებისგან ათავისუფლებს კიევს, თუმცა შემდეგ ბოლშევიკური რუსეთი და პოლონეთი დაზავდნენ და ბოლშევიკები კვლავ დაბრუნდნენ უკრაინაში. მაშინ სიმონ პეტლიურა ემიგრაციაში წავიდა, ევროპის რამდენიმე ქვეყანაში იცხოვრა, ბოლოს კი პარიზში დასახლდა, სადაც უკრაინულ ყოველკვირეულ ჟურნალ „ტრიდუზს“ გამოსცემდა.

პეტლიურა ემიგრაციაშიც დიდ თავსატეხს უჩენდა ბოლშევიკებს, რის გამოც მათ მიერ დაქირავებული აგენტის შვარცბარტის ხელით 1925 წლის 25 მაისს თავიდან მოიშორეს. იგი მას თავს დაესხა ვითომდა უკრაინაში ებრაელთა დარბევის შურისძიების მიზნით. არადა მთელი თავისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის პერიოდში პეტლიურა ყოველგვარი ნაციონალისტური გამოხდომების მოწინააღმდეგე იყო. იგი პარიზში, მონპარნასის სასაფლაოზეა დაკრძალული.



— ახლა სიმონ პეტლიურა კვლავ უბრუნდება უკრაინას, მისი ხალხის ხსოვნას. მისი გარდაცვალებიდან 80 წლისთავს მთელს უკრაინაში, მრავალ სხვა ქვეყანაში, მათ შორის ჩვენ მოძმე საქართველოში აღნიშნავენ, რაც უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის კიდევ ერთი ნიშან-სვეტი გახლავთ, — აღნიშნა გამოსვლისას უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში მიკოლა სპისმა.

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ მეზობლებთან

# ბელგიელმა დიპლომატმა მოსკოველი ინსპექტორი გალახა

**რუსეთში ბელგიის საელჩოს სავაჭრო ატაშემ, 53 წლის ბატონმა ანდრე დე რეიკმა მშვენივრად დაამტკიცა, რომ დიპლომატი სულაც არ არის ვალდებული, კორექტულობის ნიმუშს იძლეოდეს. მაისის ერთ ღამეს, პირველის ნახევარზე, მისმა „ფოლქსვაგენ პასატმა“ მოსკოვში, კრასნოპრესნენსკაიას სანაპიროზე, მონიშვნის ორმაგი უწყვეტი ღერძი გადაკვეთა და „შემხვედრულაზე“ გასრიალდა.**

დარღვევას ცენტრალური ოლქის ავტოინსპექტორებმა ჩაავლეს და საპატრულო ავტომობილით გამოენთნენ. დიპნომრებიანი უცხოურა გაჩერდა, „ფოლქსვაგენის“ კაბინიდან კაი ჩასკვნილი ბიძა გამოხტა და ზემდეგ ვლადიმერ ცვეტკოვს, რომელმაც ისის იყო, ქუდისკენ ხელი წაიღო, თავის თავის წესისამებრ წარსადგენად, მკერდში გვარიანი მუჯლუგუნი უთავაზა.

დასახმარებლად მეწყვილე ანდრეი გრებინიჩენკო გამოვარდა. ინსპექტორები შეეცადნენ ფიცხი საზღვარგარეთელის დაშოშმინებას. გაგიგონიათ! დიპლომატი ეშხში შევიდა და განაგრძობდა ვლადიმერის „დამუშავებას“, თითქოს სპორტდარბაზში ვარჯიშობდა: ხელით — სახეში, მერე ფეხით — მარცხენა მხარში. ინსპექტორი ასფალტზე დაეცა.




საბრალო მილიციელები წინასწარვე წაგებულ სიტუაციაში იყვნენ: დიპლომატს ესროლო ან მამაკაცურად მოსდო — ძვირი შენვე დაგიჯდება. ის თითქმის „ნაზად“ უნდა გაეთოკათ, მაგრამ რა გინდა ქნა: უცხომიწელი საოცრად ცქვიტი გამოდგა. მერე გამოირკვა, რომ ეს ჩვენი სავაჭრო ატაშე ანდრე დე რეიკი კარატეს მეხუთე დანის მფლობელი ყოფილა!

კიდევ კარგი, ინსპექტორებს სამი გამვლელი მიეხმარა. ხუთმა, როგორც იქნა, დააგდო ზორბა ბელგიელი და ქამრებით გაკოჭა.

ინციდენტის ადგილას უმალვე მოვიდნენ პროკურატურისა და ფედერალური უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები, აგრეთვე სასწრაფოდ გაღვიძებული ბელგიის სამეფოს კონსული. დებოშირი (უკვე ქამრებშემოხსნილი!) სწორედ კონსულს ჩააბარეს. ცხვირგატეხილი და სახედალურჯებული ვლადიმერ ცვეტკოვი საავადმყოფოში წაიყვანეს. ეხ, ევროპა, ევროპა!..

გაგრძელება იქნება...

КП

◎ მეცნიერების სიახლე

# ილიჩის ლენტუნა

**შექმნილია სინათლის ახალი წყარო: შუქდიოდური ლენტი, რომლის მოთავსება შეიძლება ყველგან; გნებავთ, თავზე შემოიხვევთ, გნებავთ, კედელზე დაჰკიდებთ.**



მანათობელი ლენტი ამერიკელებმა შექმნეს — სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა მარკ თომპსონმა და მიჩიგანის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა კვლევებისა და შემუშავებათა დარგში სთივენ ფორესთმა. იმათი შუქდიოდები გაცილებით ეფექტიანი და ეკონომიურია, ვიდრე ტრადიციული. ორგანული შუქდიოდებისგან გაკეთებული ლენტი თუ მასობრივად დამზადდება (რაც, ტომპსონის აზრით, ძვირი არ დაჯდება), განათებასა და ინტერიერების დიზაინში ნამდვილი რევოლუცია დაიქუხებს. სახლში თითქმის ყოველგვარი ზედაპირი, კედლები იქნება, იატაკი, ჭერი, ფარდები, გინდ მაგიდა — შუქის წყაროობას შეძლებს. „ეს გახლავთ ფანტასტიური ნახტომი სინათლის ეფექტიანი წყაროებისაკენ“, — აცხადებს დოქტორი თომპსონი.

ეგ კიდევ ცოტაა, რომ ლენტის მოდრეკა ყოველნაირად შეიძლება სულ უცნაური კომპოზიციების შექმნით. რამდენადაც ახალი შუქდიოდები სავსებით გამჭვირვალეა, შეიძლება იმათი ჩამონტაჟება ფანჯრის მინაში და ჩამობნელების შემდეგ ბუნებრივი დღის სინათლის იმიტირების მოწყობა.

ОГОНЁК

◎ იცოდით?

# რატომ ცოცხლობენ მამაკაცები ქალებზე ნაკლებს?

**საკუთარი ქცევისა და ორგანიზმის თვისებების გამო! ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მიჩიგანის შტატის უნივერსიტეტის მეცნიერები. ამასთან მათ დაადგინეს, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა ბევრ მღედრი და მამრ ცხოველსა და ფრინველს შორისაც განსხვავებულია. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ამგვარი მოვლენის წარმოშობის მიზეზი პირველ რიგში რეპროდუქციული ფუნქციების სხვაობაში ძევს.**

ქალის ორგანიზმი იმისათვის არის განწყობილი, რომ არა მარტო მოავლინოს ამქვეყნად ჯანსაღი შთამომავლობა, არამედ შემდგომშიც ასაზრდოოს იგი. დაბადებისა და გამოკვებების შემდეგ კი მდედრები აგრძელებენ ნაშიერებაზე ზრუნვას, ასწავლიან მათ, როგორ უნდა გადარჩნენ. მამრები კი, ძირითადად, რაც შეიძლება მეტი ნაშიერის წარმოებაზე მიმართავენ საკუთარ ძალისხმევას. ამასთან დაკავშირებით მათ უფრო აგრესიული სექსუალური ქცევა ახასიათებთ.

მამაკაცებს, აღნიშნავენ სპეციალისტები, ევოლუციის პროცესში „გარე სამყაროსთან ურთიერთობის“ ფუნქციები ერგოთ. ანუ კაცობრიობის უძლიერი ნახევრის წარმომადგენლები ნადირობდნენ, შოულობდნენ საკვებს ოჯახისთვის, იბრძოდნენ. ყოველივე ამას კი შედეგად ის მოსდევდა, რომ ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იყო.




მაგრამ კაცობრიობის განვითარების პროცესში, როდესაც ადამიანთა არსებობის პირობები სულ უფრო კომფორტული ხდებოდა, ევოლუციის განმავლობაში შეძენილი ქცევითი ჩვევები და ორგანიზმის თავისებურებები დარჩა. მამაკაცების თანამედროვე სამყაროშიც აგრძელებენ „თავგადასავლების ძიებას“, გამუდმებით რისკის ქვეშ იყენებენ საკუთარ სიცოცხლეს. ძლიერი სქესის წარმომადგენლებს უფრო აგრესიულად დაჰყავთ ავტომანქანა, რაც ავარიისა და დაღუპვის რისკის მომასწავლებელია, ისინი ექსტრემალურ სპორტსაც მისდევენ. გარდა ამისა, „ქცევის მამაკაცურ სტილში“ ადამიანი ქვეცნობიერად გულისხმობს ისეთ მავნე ჩვევებსაც, როგორიცაა ბევრი ჭამა, ალკოჰოლის მიღება და სიგარეტის წევა, რაც ამოკლებს სიცოცხლის ხანგრძლივობას.

გარდა ამისა, მამაკაცებს ბევრად უფრო სუსტი იმუნური სისტემა აქვთ, ვიდრე ქალებს. ადამიანთა მოდგმის მშვენიერი ნახევრის წარმომადგენლებს ბევრად უფრო მაღალი ტკივილის ზღურბლი აქვთ, მათი ორგანიზმი უკეთესად ითქავს ცხიმებს და მთლიანობაშიც უფრო გამძლეა. ყოველივე ამის საფუძველზე ქალები უფრო დღეგრძელები არიან.

◎ ყველაფერი ყველაფერზე

# ცამეტი





**ჯორჯ ქლუნი და ბრედ პითი ითამაშებენ ფილმში „ოუშენის ცამეტი მეგობარი“. პირველი მათგანი კვლავ დენი ოუშენის როლში გამოვა, რომელიც ისევ — უკვე მესამედ — თავხედური ძარცვის ძირითად ორგანიზატორად გვევლინება.**

სურათებმა „ოუშენის თერთმეტი მეგობარი“ და „ოუშენის თორმეტი მეგობარი“ მსოფლიო გაქირავებით ერთად 800 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. მესამე ფილმის რეჟისორი (და პროდიუსერიც) კვლავ იქნება სთივენ სოდერბერგი, მეთ დაისონსა და ენდი გარსიას აქაც გადაიღებენ.

ჯულია რობერთსი და ქეთრინ ზეტა-ჯონსი კი მესამე სურათის სცენარში არ გაითვალისწინეს. „ჩვენ არ გვქონდა იმის შესაძლებლობა, რომ ასეთი მასშტაბის ორი ვარსკვლავის ნიჭი გამოგვეყენებინა“, — სინანულით შენიშნა „ცამეტის“ მეორე პროდიუსერმა ჯერი ვაინთრუბმა.

ფილმის გადაღების დაწყება დაგეგმილია ივლისში, ლოს-ანჯელესში.

# დიდი დუეინი

**ბრიტანელმა მწერალმა და ხელოვნების შესახებ სატელევიზიო პროგრამათა წამყვანმა მელვინ ბრეგმა დაწერა ნაშრომი, „თორმეტი წიგნი, რომელთაც მსოფლიო შეცვალეს“. მასში ავტორმა შემოგვთავაზა იმ წიგნთა თავისი ნუსხა, რომლებმაც კაცობრიობის ისტორიაზე ყველაზე არსებითი გავლენა მოახდინეს.**

თავიდან თურმე ბერძნული წიგნები, ღმერთზე დაწერილი წიგნები, მარქსი, მაო და ორი თუ სამი მეცნიერული თხზულება სჭარბობდნენ. შემდგომი მუშაობისას მწერალს შეუმჩნევია, რომ ბრიტანელი ავტორების ბევრი წიგნი სამართლიანად აცხადებს პრეტენზიას მსოფლიოს შემცვლელთა წოდებაზე. ამრიგად, ძნელი გამოდგა მხოლოდ 12 წიგნით შემოფარგვლა.

მელვინ ბრეგი დასაწყისშივე აპირებდა, რომ სია მრავალგვაროვანი გაეხადა. იქ უნდა შესულიყვნენ წიგნები, მიძღვნილნი გართობებისა და მაღალი ხელოვნებისადმი, მეცნიერებასა და პოლიტიკოსისადმი, საზოგადოებასა და ტექნოლოგიებში ცვლილებებისადმი.


## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტთან არსებული ნატიფი ხელოვნების სკოლა

სასწავლებლად იწვევს საშუალო სკოლის 9-კლასდამთავრებულ მოსწავლეებს.

სკოლა განათლების რეფორმის შესაბამისად 3-წლიანია — X, XI, XII კლასი.

**სკოლის მიზანია:**

1. ზოგადსაგანმანათლებლო აუცილებელ საგნებთან ერთად აზიაროს მოსწავლეები ხელოვნების ისეთი დარგების საფუძვლებს, როგორიცაა:

**არქიტექტურა, ფერწერა, გრაფიკა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, დიზაინი, არქიტექტურისა და ხელოვნების ისტორია.**

2. შეასწავლოს სპეციალობები:

**არქიტექტურული მაკეტირება, არქიტექტურული კომპიუტერული პროგრამები, კომპიუტერული ფოტოხელოვნება, გობელენი, თექა, ბატიკა, ხეზე დეკორატიული ჭრა.**

შეფასების ეროვნული ცენტრის მოთხოვნათა შესაბამისად ნატიფი ხელოვნების სკოლის მოსწავლეები სრულად გაივლიან აბიტურიენტთათვის სავალდებულო კურსს შემდეგ საგნებში:

**ზოგადი უნარები, ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, რუსული), მათემატიკა, ხატვა, ფერწერა, ხაზვა.**

სკოლის დამთავრების შემდეგ გაიცემა საშუალო სკოლის სრული კურსის დამთავრების სახელმწიფო ატესტატი და მიღებული სპეციალობის შესაბამისი სერტიფიკატი.

**სკოლასთან გახსნილია უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის მოსამზადებელი კურსები ხატვასა და ხაზვაში.**

**ცნობებისათვის შეგიძლიათ მოგვმართოთ**

**მისამართზე:**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, I კორპუსი,**
**ს. ჩიქოვანის №1**
**(ყოფილი ხილიანის ქ.)**
**ტელ: 33-52-68,**
**მობ: 899 51-48-19, 893 91-19-61.**

მუნდიალ – 2006

# „ბულკი" „ბულკად" რჩება



**სპორტში უხერხული მეტოქეც არსებობს. შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენი საყვარელი თბილისის „დინამო" გავიხსენოთ, რომელსაც მოსკოველ თანაკლუბელებთან უკვე ადარარსებული ქვეყნის ჩემპიონატებში სამარცხვინო ბალანსი ჰქონდა.**

ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია – ფეხბურთის სამშობლოს ეროვნულ ნაკრებს 38 (!) წელიწადია, შვედები ვერ დაუმარცხებია. ნავსი არც ამჯერად გატყდა – სვენ გორან ერიქსონის გაწვრთნილმა ინგლისელებმა, ორჯერ დაწინაურების მიუხედავად, მის თანამემამულეებთან გერმანულ მუნდიალზეც ფრედ დაამთავრეს „ბ" ჯგუფის ცენტრალური მატჩი – 2:2. მართალია, ამ ქულამ ბრიტანელებს პირველი პოზიცია შეუნარჩუნა და მერვედფინალში მასპინძლებთან დუელი აარიდა, მაგრამ სანანებლად მაინც გაუხადა საქმე – შეხვედრის დებიუტშივე მძიმე ტრავმა მიიღო ახალგამოჯანმრთელებულმა ოუენმა. კიდევ უფრო საგანგაშოდ გვესახება მეკარე რობინსონისა და, განსაკუთრებით, ცენტრალური მცველების ტერისა და ფერდინანდის (მოგვიანებით – კემპბელის) სამოყვარულო დონეზე ბურთაობა. თუ ასე გაგრძელდა, ალბიონელებს, ალბათ, მალევე მოუწევთ ფორუმთან დამშვიდობება. რაც შეეხება მათ მეტოქეს, იბრაჰიმოვიჩის არყოფნა სკანდინაველებს სრულიადაც არ დატყობიათ – სწორედ მისმა შემცვლელმა ოლზაკმა გაიტანა მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში მე-2000 გოლი, კიდევ ორ ეპიზოდში კი ლარსონისა და მელბერგის დარტყმების შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა.

კიდევ ერთხელ გაახარა მრავალრიცხოვანი ქომაგები ბუნდესნაკრებმა, რომელიც იოლად გაუსწორდა ეკვადორელებს – 3:0, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სამხრეთამერიკელთა თავკაცმა სუარესმა დელგადო დაასვენა, მისი პარტნიორები კი „ნახევარი ძალით" ირჯებოდნენ (ყოველ შემთხვევაში, სატელევიზიო ეკრანმა ასეთი შთაბეჭდილება დატოვა) და ძალებს მორიგი ეტაპისთვის უფრთხილდებოდნენ. დავძენთ, რომ „დუბლის" ავტორი კლოზე 4 გოლით სათავეში ჩაუდგა ბომბარდირთა დავას.

**გუშინ: პორტუგალია – მექსიკა 0:0, ირანი – ანგოლა 0:0.**

ორბიტაზე

## პელე – მუსიკოსი



**„ფეხბურთის მეფეს" – პელეს, მიეცა მუსიკალურ სარბიელზეც თავის გამოჩენის საშუალება – პარასკევს კელნში ის მოაწყობს თავისი პირველი მუსიკალური ალბომის „პელეგინიას" წარდგენას.**

ამით ასრულდება ფეხბურთის ჯადოქრის დიდი ხნის ოცნება. 12 კომპოზიცია სამბას, ბოსა-ნოვას, ჯაზის რიტმებში 65 წლის ბრაზილიელმა თავად შეთხზა. ახლა ის, როგორც კონსულტანტი და კომენტატორი, გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატზეა.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში პელე უკრავდა გიტარაზე, მღეროდა და ქმნიდა სიმღერებს. ბოლო ხანებში თავისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ფეხბურთელმა პროდიუსერს მიანდო. მან კი ყველაფერს თავი მოუყარა, „გააშალაშინა" და პირველ ალბომად მოგვივლინა.

## გოგონებს განა მუდამ დაეჯერებათ?!

**მთელი ამერიკა შეძრა ტანვარჯიშის დარბაზის გასახდელში 16 წლის მოსწავლე გოგონას გაუპატიურების ამბავმა. ამ ორი კვირის წინათ გოგონამ პოლიციას მიმართა და განაცხადა, რომ გასახდელში სპორტული ფორმის გამოსაცვლელად შესული იქვე მიმალულმა უცნობმა გააუპატიურა. გოგონამ აღწერა მოძალადის ტანსაცმელი, სიმაღლე, მაგრამ გაუჭირდა მისი სქესის დასახელება, რამაც ამერიკელი პოლიციელები ძალზე გააკვირვა.**

აღმოჩნდა, რომ ყველაფერი, თავიდან ბოლომდე, ცრუ დაზარალებულის გამოგონილი, ქალიშვილური ოცნების სინამდვილედ წარმოდგენის შედეგი ყოფილა, რაც ძალადობის ადგილის დათვალიერებამ და სამედიცინო შემოწმებამაც დაადასტურა. საქმე უკვე დაიხურა. გოგონა არ დაისჯება.

ისე, ამერიკაში ბოლო ხანებში ძალზე მომრავლდა ნორჩ სპორტსმენ გოგონებთან (და ბიჭებთანაც) მწვრთნელების სქესობრივი ძალადობის შემთხვევები.

## აქაც გაეჯიბრნენ

**ჩვენ რამდენიმეჯერ ვწერდით ინგლისის ნაკრების ფეხბურთელთა ცოლებისა და მათი „მოადგილეების" მომხიბვლელობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ თურმე არც შვედეთის ნაკრების მოთამაშეებს ჰყოლიათ ნაკლები სილამაზის ცხოვრების თანამგზავრები.**

გუშინწინ თუ ამ ორი ნაკრების დაძაბული ბრძოლა ფრედ – 2:2 დამთავრდა, ალბათ ძნელია მათი ლამაზმანების შედარებით დაპირისპირების შედეგების გამოყვანა.

ინგლისელი პიტერ კრაუჩის გულისვარდს, ფოტომოდელ ებიგალ კლანსის ადარებენ შვედების ნახევარმცველის ანდერს სვენსონის სატრფოს ემა იუხანსონს (ფოტო), კოლინ მაკლაფლინსა (მოძებნეთ უეინ რუნისთან) და კარლი ცუკერს კი (ჯო კოულის დიდი სიყვარული) მონუმენტურ შვედ ლამაზმანებს კარლინ ხოკანსონსა (კრისტიან ვილგებსონის დაქალი) და ტობიას ლინდეროტის ცოლს – მარიას – უტოლებენ. „ბრძოლა" გრძელდება...



მოსაზრება

# მათი სახელის უკვდავსაყოფად

**შარშან ქართველი საზოგადოების, ჩემი და დემიკო ლოლაძის დიდი ძალისხმევით, ბატონ დავით ონოფრიშვილის (რკინიგზის ყოფილი გენერალური დირექტორი) ინიციატივითა და თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით ვაკეში „ლოკომოტივის" სპორტულ არენას ოფიციალურად ეწოდა „მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი".**

თექვსმეტი წელიწადია, თბილისის „დინამოს" საფეხბურთო სარბიელი ლეგენდარული ბორის პაიჭაძის სახელობისაა, როგორც იქნა, სამი წლის წინათ გაუკეთდა სათანადო წარწერა, თუმცა „ფეხბურთის კარუზოს" ბიუსტი, რომელიც სტადიონის სკვერში მაღალ კვარცხლბეკზე დგას, არ შეესაბამება მის ნამდვილ სახეს და აუცილებლად შესაცვლელია.



ამას წინათ სოჭში სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონის შესასვლელთან დაიდგა სახელოვანი ქართველი ფეხბურთელის ბრინჯაოს ბიუსტი, რომლის ავტორიც გახლავთ ზურაბ წერეთელი. გაისად, 12 იანვარს, მიშა მესხის 70 წლისთავი აღინიშნება. იქნებ, ამ დღისთვის მაინც გაკეთდეს ვაკის სტადიონის შესასვლელთან სათანადო აბრა, რომელიც გულშემატკივრებს ამცნობს, ეს საფეხბურთო არენა მიხეილ მესხის სახელობისაა, ხოლო სტადიონის ტერიტორიაზე შესამჩნევ ადგილას „მტკვრისპირელი გარინჩას" ბიუსტი დაიდგას.

და კიდევ ერთი – ქუთაისის ცენტრალურ სტადიონს გამოჩენილი ფეხბურთელის და შესანიშნავი პიროვნების, აქაური მკვიდრის გივი ნოდიას სახელი უნდა ეწოდოს.

იმედია, ქუთაისის ხელისუფლება დადებითად გადაწყვეტს ამ მნიშვნელოვან საკითხს. სახელგანთქმული ფორვარდი ამგვარ პატივს ნამდვილად იმსახურებს.

**ვაჟა ჭიაურელი,**
**საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი**

მინიფეხბურთი

# მეხანძრეებმა ძალოვნებს ცეცხლი ვერ ჩაუქრეს

**სპორტკომპლექს „ქარიშხალაში" სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისა (თავმჯდომარე დავით ნამგალაურიძე) და საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირის (თავმჯდომარე იროდი ბეჟაშვილი) ინიციატივით ერთ კვირას გრძელდებოდა სამინისტროების, დეპარტამენტებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების თანამშრომელთა ტურნირი მინიფეხბურთში.** სახელოვანი ქართველი ფეხბურთელის – ვიტალი დარასელიას სახელობის თასისთვის ფინალურ ეტაპზე 6 გუნდი იბრძოდა წრიული სისტემით. შინაგან საქმეთა სამინისტროს ფეხბურთელებმა 15 ქულა მოაგროვეს და პირველი ადგილი დაიკავეს. გამარჯვებულებს სამი ქულით ჩამორჩა თბილისის მერიის სახანძრო სამსახურის გუნდი, რომელმაც ერთადერთი შეხვედრა სწორედ ძალოვნებთან წააგო. 9 ქულით მესამე ადგილზე იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები გავიდნენ.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელებად ცნეს და სპეციალური პრიზებით დააჯილდოვეს კახა მანჯავიძე, გოდერძი ნატროშვილი (ორივე – შსს), თემურ გიორგაძე (სახანძრო სამსახური), მანუჩარ ტყებუჩავა (თბილისის სააპელაციო სასამართლო).



**გიორგი გაგუა**

**სურათზე: ასპარეზობის მომენტი**
**რობერტ ბაგოიანის ფოტო**

წყალხტომა

# გერმანია მორჩა, წინ მალიორკაა

**გერმანიის ქალაქ ვალფრაიბურგში დამთავრდა ახალგაზრდა წყალმხტომელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.** მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ჭოლა ჭანტურიამ მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო გიორგი გევორქიანთან ერთად სინქრონულ ხტომაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. საგულისხმოა, რომ ჩვენი დუეტი ტურნირის გამარჯვებულ ჩინელებს მხოლოდ 6 ქულით ჩამორჩა.

30 ივნისს ესპანეთის ქალაქ მალიორკაში ევროპის პირველობა დაიწყება. საქართველოს ნაკრების წევრები ახლა ამ შეჯიბრებისთვის ემზადებიან.

მუზეუმი

# საიმედო ადგილას

**გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში ხალხმრავლობა იყო: ვის არ ნახავდით – ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულებს, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებსა და პრიზიორებს, ქართული სპორტის მესვეურებსა და გულშემატკივრებს. მიზეზიც ჰქონდათ – საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს სპორტული დიდების მუზეუმი.**

თვალს ახარებს აქაურობის ნახვა – ფაქტობრივად, ერთ ოთახშია თავმოყრილი ჩვენი ქვეყნის ოთხმოცწლიანი სპორტული ისტორია. გულშემატკივრები ინტერესით დაათვალიერებენ ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების სურათებსა და სხვადასხვა სინჯის მედლებს, ინვენტარს; მოჭიდავეების, ფეხბურთელებისა და სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენელთა მოპოვებულ თასებს, პრიზებს. მუზეუმის ცენტრში საპატიო ადგილი უჭირავს თბილისის „დინამოს" მიერ 1973 წლის ესპანეთის საერთაშორისო ტურნირზე პირველი ადგილის დაკავებისთვის დამსახურებულ ქვირფას ჯილდოს – „კალაველას".

– სპორტული დიდების მუზეუმი 1965 წელს შეიქმნა, – თქვა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ **დავით ნამგალაურმა.** – წლების განმავლობაში სად არ აფარებდა იგი თავს. მნიშვნელოვანი ექსპონატების გადარჩენისთვის განსაკუთრებით დიდი მადლობა მინდა ვუთხრა სპორტის სასახლის ხელმძღვანელობას. დღეიდან მუზეუმი საიმედო ადგილასაა. ამ საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის კომპანია „ფოლკსვაგენის" გენერალურ დირექტორს ბატონ ტარიელ ხეჩიკაშვილს, რომლის მატერიალური დახმარებითაც შესაძლებელი გახდა მუზეუმის კეთილმოწყობა.



– ყოველივე ის, რასაც ჩვენ დღეს ამ ექსპონატებზე ვუყურებთ, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველო დიდი სპორტული ტრადიციების ქვეყანაა, რომელმაც სახელოვანი ათლეტები აღუზარდა მსოფლიო სპორტს, – აღნიშნა ძეგლთა დაცვის, კულტურისა და სპორტის მინისტრმა **გიორგი გაბაშვილმა.** – ეს მუზეუმი ყოველთვის შეახსენებს ახალგაზრდებს, თუ ვისი გორისანი არიან ისინი, რათა საერთაშორისო სარბიელზე უფრო თავდადებით იბრძოლონ ქართული სპორტული ტრადიციებისა და მამა-პაპათა ღირსეული გზის გასაგრძელებლად.

**ლექსო ცინცაძე**
**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

# შპს „საქართველოს რკინიგზის“ ბალანსზე რიცხული ვაგზალი „თბილისი-საკვანძოს“ შენობის და შენობაზე დამაგრებული მიწის ფართის დროებით სარგებლობაში, იჯარის ფორმით გადაცემის საკონკურსო პირობები

**1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები**

- **საიჯარო ქონების იურიდიული მისამართი** ქ. თბილისი მოსკოვის გამზირი №2
- **შენობის საერთო ფართი შეადგენს** 6741,56 კვ/მ, შენობაზე დამაგრებული მიწის ფართი – 5592 კვ/მ.
- **იჯარით გასაცემი შენობის საერთო ფართი შეადგენს** 6651,74 კვ/მ.
- **საიჯარო ქონების (შენობის) დახასიათება** – ექსპლუატაციაში შესულია 1978 წელს, შედგება 4 სართულისა და სარდაფისაგან.
- **საწყისი თვიური საიჯარო ქირა** 29 670 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში, დღგ-ს გარეშე.
- **„ბე“ 29 670 აშშ დოლარის** ექვივალენტი ლარებში.
- **იჯარის ვადა** – 20 წელი.
- **განაცხადების მიღების ადგილი** – ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, ტელ.: 56-33-48, 56-3-18.
- **განაცხადების მიღების ვადა** – 2006 წლის 22 ივნისიდან 2006 წლის 6 ივლისის ჩათვლით, 12.00 საათიდან 17.00 საათამდე.
- **კონკურსის ჩატარების თარიღი (მონაწილის წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი) ადგილი და დრო** – 2006 წლის 7 ივლისი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, 14.00 საათი.
- **შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები** – „ბანკი რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, ა/ა №3407003205, ბანკის კოდი №220101757, საიდენთიფიკაციო კოდი №202886010.
- **კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ** – საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

**2. კონკურსის პირობები**

- მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის ყოველთვიურად გადახდა.
- მოიჯარის მიერ ქონების (მათ შორის მიწის), კომუნალური და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადების, აგრეთვე საიჯარო ქონების დაცვის ხარჯების დროულად და სრულად გადახდა.
- მოიჯარე ვალდებულია, კანონმდებლობის დადგენილი წესით შეათანხმოს (დაამკიცოს) "მეიჯარის" მიერ მოწონებული მთლიანი შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების პროექტი უფლებამოსილ სახელმწიფო სტრუქტურებთან იმის გათვალისწინებით, რომ ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 3 თვის ვადაში დაიწყოს და 8 თვის განმავლობაში დაასრულოს არანაკლებ 500 000 ა.შ.შ დოლარის ღირებულების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულება შპს „საქართველის რკინიგზის“ მიერ მოწონებული პროექტის მიხედვით (პროექტი მოიჯარემ თან უნდა დაურთოს საკონკურსო განაცხადს. პროექტში სავალდებულოა განსაზღვრული იქნეს სამუშაოების შესრულების გრაფიკი). თუ მოიჯარე დაარღვევს სამუშაოების დაწყების ვადას, სამუშაოების შესრულების გრაფიკს ან სამუშაოების დასრულების ვადას, კონკურსის შედეგები გაუქმდება და მოიჯარეს „ბე“, გადახდილი საიჯარო ქირა და საგარანტიო თანხა არ დაუბრუნდება, აგრეთვე არ აუნაზღაურდება ამ პერიოდში სარემონტო-სარეკოსტრუქციო სამუშაოებზე გაწეული ხარჯები.
- მოიჯარე მოვალეა წარადგინოს საბანკო გარანტია არანაკლებ საინვესტიციო თანხის 10%-ისა.
- იჯარის ხელშეკრულების დადებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში მოიჯარემ სრულად უნდა გადაუხადოს შპს „საქართველოს რკინიგზას“ ის დებიტორული დავალიანება, რომელიც ამ უკანასკნელის მიმართ გააჩნიათ შენობაში არსებული ფართების სხვა მოქმედ მოიჯარეებს ან იმ მოიჯარეებს, რომელთაც იჯარის ვადა ამოეწურათ, მაგრამ არ გამოუნთავისუფლებიათ დაკავებული ფართები. თუ მოიჯარე არ შეასრულებს ამ ვალდებულებას, კონკურსის შედეგები გაუქმდება და მოიჯარეს „ბე“ არ დაუბრუნდება. დავალიანების ზუსტი ოდენობა დგინდება იჯარის ხელშეკრულების დადების დღის მდგომარეობით და წერილობით ეცნობება მოიჯარეს იმავე დღეს. ამასთან, შპს „საქართველოს რკინიგზა“ გადასცემს მოიჯარეს უფლებას რეგრესის წესით ამოიღოს ეს თანხა შესაბამისი დავალიანების მქონე მოიჯარეებისაგან.
- მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს საიჯარო ვადის მოქმედების პერიოდში სამგზავრო სადგურის ნორმალური ფუნქციონირება, მათ შორის ვაგზლის შენობაში გამოყოს სათანადო ფართები მოსაცდელი დარბაზის, ბარგის შესანახი საკნის, ვაგზლის მორიგის ოთახის, კავშირგაბმულობის კვანძისა და სამედიცინო პუნქტის მოსაწყობად და უზრუნველყოს მათი შეუფერხებლად მუშაობა, აგრეთვე გამოყოს ფართი დაცვის პოლიციის განსათავსებლად. ამასთან აღნიშნული ფართები გათვალისწინებული უნდა იქნეს საკონკურსო კომისიისათვის წარმოდგენილ სარემონტო-სარეკონსტრუციო პროექტში. მოიჯარეს უფლება არა აქვს არამიზნობრივად გამოიყენოს ვაგზლის ბაქნები და მასთან მისასვლელი ინფრასტრუქტურა და ამით ხელი შეუშალოს მგზავრთა მომსახურებას.
- მოიჯარე უზრუნველყოფს ვაგზალ "თბილისი-საკვანძოს" შენობის გამონთავისუფლებას შენობაში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირებისაგან მათთვის შესაბამისი კომპენსაციების გაცემით, რომელიც არ შედის ინვესტიციის მოცულობაში. კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს მოიჯარე აღნიშნულ პირებთან მოლაპარაკებით.
- მოიჯარემ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა დაიცვას ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინაალმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, უზრუნველყოს საიჯარო ქონების მოვლა-პატრონობა, აგრეთვე იმგვარად ისარგებლოს აღნიშნული ქონებით, რომ საფრთხე არ შეუქმნას სარკინიგზო მოძრაობასა და მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილებას შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. თუ მოიჯარის ბრალეული ქმედებით შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ზიანი მიადგა მესამე პირებს, მოიჯარე ვალდებულია აუნაზღაუროს მათ ეს ზიანი.
- მოიჯარეს ეკრძალება, შპს "საქართველოს რკინიგზის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, მოახდინოს შენობის რეკონსტრუქცია ან განახორციელოს მნიშვნელოვანი მიშენებები, გარდა იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა, აგრეთვე ქვეიჯარით გასცეს ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთოს საიჯარო ქონება.
- იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ საიჯარო ქონება უბრუნდება შპს „საქართველოს რკინიგზას“ ნორმალური ფუნქციონირებისათვის ვარგის მდგომარეობაში. ამასთან, შენობის (მ.შ. მეიჯარის საკუთრებაში დარჩენილი 89,82 კვ.მ. ფართი) სარემონტო-სარეკოსტრუქციო სამუშაოებზე დახარჯული თანხები მოიჯარეს არ აუნაზღაურდება.

**3. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები**

- საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას და ვაგზლის საუკეთესო სარემონტო-სარეკონსტრუქციო პროექტის წარმოდგენა.
- თუ კონკურსში მონაწილე რამდენიმე პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული წინადადება ფასისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით დააკმაყოფილებს კონკურსის პირობებს, მაშინ კომისია უფლებამოსილია რიგითობის მიხედვით (წინადადებების ხელსაყრელობის გათვალისწინებით) დაადგინოს საუკეთესო წინადადებები და შემდგომში მათ ავტორებთან აწარმოოს მოლაპარაკებები დადგენილი რიგითობის მიხედვით. ამასთან, პრეტენდენტი ვალდებულია, გაუმჯობესებული ფინანსური წინადადების წარმოდგენისას შემოთავაზებაში ქონების იჯარით ასაღებად მიუთითოს ფიქსირებული თანხა.

**4. იჯარის ხელშეკრულების დადება**

- კონკურსის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება, რომელიც უნდა დამოწმდეს ნოტარიული წესით. ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯებს ფარავს მოიჯარე.
- მოიჯარე ვალდებულია, ყოველ 6 თვეში ერთხელ, შპს „საქართველოს რკინიგზას“ წარუდგენს ანგარიში იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.
- სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმასაფხვრელად. ამასთან, თუ მოიჯარე დაარღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვადებს იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თვიური საიჯარო ქირის 5%-ის ოდენობით (ჯარიმა მოიჯარეს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).
- თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში მოიჯარე არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე შპს "საქართველოს რკინიგზას" უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე ჰკარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

**5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები**

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.
- კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ. წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადებები არ განიხილება).
- „ბე“-ს გადახდის ქვითარი („ბე“ გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).
- კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
- იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.
- კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.
- კონკურსის მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას. ამასთან, მონაწილეთა წინადადებებს საკონკურსო კომისია იხილავს მათი დასწრების გარეშე.
- გადაწყვეტილება კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება, როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
- კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

**6. შენიშვნები და დათქმები**

- იჯარით გასაცემ ფართში არ შედის შენობის I სართულზე არსებული 89,82 კვ.მ. ფართი (ფართის განლაგება მითითებულია შენობის ტექნიკურ პასპორტში), რომელშიც განთავსებული იქნება შპს "საქართველოს რკინიგზის" ბილეთების სარეალიზაციო სალაროები. ამასთან, მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს ვაგზლის მთლიანი შენობის რემონტი-რეკონსტრუქცია, მათ შორის იმ ფართისა (89,82 კვ.მ.), რომელიც რჩება მეიჯარის საკუთრებაში.
- შენობაში განთავსებული ზოგიერთი ფართი დატვირთულია მოქმედი იჯარის ხელშეკრულებებით. კონკურსში გამარჯვებულ პირს გადაეცემა ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით შპს „საქართველოს რკინიგზის“ არსებული უფლებები და ვალდებულებები.
- თვიური საიჯარო ქირის ოდენობა, მეიჯარის მოთხოვნით, შეიძლება გადაიხედოს ყოველ 2 წელიწადში ერთხელ.
- საიჯარო ქირის გადახდა ხორციელდება ანგარიშსწორების მომენტისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის მიხედვით. ამასთან, პირველი 8 თვის განმავლობაში (სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების პერიოდი) "მოიჯარეს" უფლება აქვს გადაიხადოს ყოველთვიური საიჯარო ქირის ნახევარი, ხოლო შემდგომი 8 თვის განმავლობაში იგი ვალდებულია სრულად დაფაროს საიჯარო ქირის გადახდასთან დაკავშირებით წარმოქმნილი სხვაობა.
- მოიჯარეს გადახდილი „ბე“ ჩაეთვლება ბოლო თვის საიჯარო გადასახადში იმ დროისათვის არსებული სავალუტო კურსის შესაბამისად.
- დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული საკონკურსო განაცხადი არ მიიღება.
- განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.
- თუ განაცხადების მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის იმავე საათზე.
- მეიჯარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეუფერხებლად დაათვალიეროს იჯარით გაცემული ქონება, მათ შორის შეამოწმოს სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების გრაფიკი, ვაგზალზე ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინაალმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობა.

**საიჯარო ქონებისა და კონკურსის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში“.**

**შპს „საქართველოს რკინიგზა“**

სპორტის კერა

# გაიხსნა ოლიმპიური ცენტრი

**თბილისში 21 ივნისს ტანვარჯიშში მომზადების ოლიმპიური ცენტრი გაიხსნა. ცერემონიას თბილისის მერი გიგი უგულავა და სპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი უდესიანი ესწრებოდნენ. ტანვარჯიშში მომზადების ცენტრი „ლაგუნა ვერეს“ მახლობლად მდებარეობს. შენობას ორი თვის განმავლობაში კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა. გარემონტდა დარბაზები და ვარჯიშისთვის ყველა საჭირო პირობა შეიქმნა. ახალი ცენტრი ბავშვებს ტანვარჯიშის სხვადასხვა სახეობაში მოამზადებს.**





ვარსკვლავები

# დიდი პაპის შვილიშვილი

**ამერიკის ყველაზე ლამაზი ქალიშვილია, ამერიკის თუ არა, ჰოლივუდის მაინც, — ასე ამბობენ დრიუ ბერიმორზე. წარმოშობით სახელოვანი მსახიობური დინასტიიდან გახლავთ, პაპამისი, ჯონ ბერიმორი ამერიკის კერპი იყო, ბებიამისს, დოლორეს კასტელოს კი „მუნჯი კინოს ქალღმერთს“ ეძახდნენ.**

დრიუს ცხოვრებაში კინო მაშინ შევიდა, როცა გოგონა 2 წლისაც არ იყო — სარეკლამო ჩანართში გადაიღეს; 2 წლისამ კი... ბიჭუნა ითამაშა ფილმში „მოულოდნელი სიყვარული“. 6 წლის დრიუ ამერიკის საყვარელ მსახიობად იქცა სპილბერგის სურათში „ი. ტ.“ მთავარი გმირის დაიკოს თამაშის შემდეგ.

შარშან ის მხოლოდ 30-ისა შესრულდა და 60-სურათიანი (!ძ ნამსახურობის ნუსხით წარმოდგა. მისი ეკრანული სახე რამდენჯერმე შეიცვალა — ითამაშა ზებუნებრივი უნარით დაჯილდოებული გოგონები (როგორც „ალმომდებ შეხედვაში“ძ, საძაგელი გოგონები და მაცდური ნორჩები (როგორც „გიჟურ სიყვარულში“ძ, ახალგაზრდა და ენერგიული, ცხოვრებაში პირველად შეყვარებული ქალიშვილები.

ერთ-ერთმა კრიტიკოსმა დაითვალა, რომ დრიუს მოუწია პირველი ნიშნობის თამაში თანატოლების უმეტესობაზე უფრო ხშირად; 2001 წელს კი ფილმში „ავტომობილში ბიჭებთან ერთად“ მოწიფული ქალის, მოზარდის დედის როლი შეასრულა. მეტი მრავალფეროვნება რაღა უნდა იყოს, მაგრამ დრიუმ პროდიუსერის პროფესიაც აითვისა და უკვე ათამდე სურათი „გააკეთა“, იმათ რიცხვშია „ჩარლის ანგელოზები“.

კიდევ ერთი სიახლე — შარშანდელი წლის ბოლოს გადამღები ჯგუფის თანხლებით მან აფრიკაში იმოგზაურა ახალი დოკუმენტური ფილმისათვის მასალის მოსამზადებლად. პირველი ასეთი ლენტი მან ჯერ კიდევ 1994-ში გადაიღო.




სს „თეთრონის“ აქციონერთა საყურადღებოდ

*2006 წლის 12 ივლისს 14 სთ-ზე ორგანიზაციის იურიდიულ მისამართზე გაიმართება აქციონერთა საერთო კრება (მის: სამგორის რ-ნი, სადგური ლილოძ*

დღის წესრიგი
1. გაყოფა ნატურით;
2. ნატურით გაყოფის შედეგად სს „თეთრონის“ საწესდებო კაპიტალის შემცირება;
3. ახალი სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა;
4. წესდების ახალი რედაქციის მიღება;
5. სხვადასხვა.



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-96-32;
899 328576



სს „გურჯაანი-93-ის“ აქციონერთა საყურადღებოდ

2006 წლის 14 ივლისს, 12 საათზე გურჯაანში, კოსტავას ქ. № 1-ში ადმინისტრაციულ შენობაში ტარდება საზოგადოების აქციონერთა კრება

დღის წესრიგი:
1. წლიური ბალანსის განხილვა;
2. საბანკო დავალიანების დაფარვის ღონისძიების შესახებ;
3. აუდიტის არჩევა.

კრებაზე მონაწილეობის უფლების შემოწმება ხდება სს „გურჯაანი 93“-ის რეგისტრატორთან შპს „კომპანია ცენტრთან“. მისამართი: თბილისი, მოსაშვილის ქ. № 24.

ტელ: 822-22-53-51.

სს „გურჯაანი 93-ის“ დირექცია და სამეთვალყურეო საბჭო.



ს/ს „ვაკეს“ სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი აცხადებს, რომ ა/წლის 11 ივლისს ტარდება აქციონერთა საერთო კრება

დღის წესრიგი:
1. სს „ვაკეს“ 2005 წლის საფინანსო შედეგები, აუდიტორის დასკვნა;
2. საფინანსო შედეგების დამტკიცება;
3. აუდიტორის არჩევა;
4. დივიდენდების შესახებ.

კრება გაიმართება ქარხნის სააქტო დარბაზში (თამარაშვილის შესახვევი № 15ძ დღის 12 სთ-ზე.

რეგისტრაცია დაიწყება 11-30 საათზე, დასასრული 12 სთ.

ფიზიკურმა პირებმა იქონიონ დამადასტურებელი დოკუმენტი.

იურიდიულმა პირებმა წარმოადგინონ მინდობილობა.

სს „ვაკეს“ დირექცია



მიმდინარეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის ლიკვიდაცია. დაინტერესებულ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებს ვთხოვთ, ორკვირიან ვადაში მიმართოთ სალიკვიდაციო კომისიას.

**მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის № 6. ტელ: 3-01-72, მობ. 899 92-09-56.**


ხსოვნა

## რევაზ ბერულავა



საქართველოს ტექნიკურმა ინტელიგენციამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა პირველი თაობის მძლავრი ელექტრონული გამომთვლელი მანქანების (ეგმძ ცნობილი სპეციალისტი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი რევაზ ბერულავა.

რევაზ ბერულავა დაიბადა 1933 წლის 9 მაისს, ქალაქ ზუგდიდში.

1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი.

1956-59 წლებში ქ. მოსკოვში გაიარა ასპირანტურის სრული კურსი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ზუსტი მექანიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ინსტიტუტში, სადაც შემდგომში, 1966 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1960-67 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში, შემდეგ კი მისი მოღვაწეობა მთლიანად დაუკავშირდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტს, სადაც გაიარა გზა უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობიდან ეგმ მოდერნიზაციის განყოფილების გამგემდე. მისი უშუალო მონაწილეობით ამ ინსტიტუტში ჩამოყალიბდა თავისი დროისათვის ამიერკავკასიაში უმძლავრესი ერთიანი კომპიუტერული ცენტრი, სადაც შესაძლებელი გახდა ერთი მხრივ მეცნიერების სხვადასხვა დარგის მნიშვნელოვანი ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის ამოცანების რიცხვითი რეალიზაცია, მეორე მხრივ კი მომზადდა გამოთვლითი ტექნიკის სპეციალისტთა მთელი პლეადა.

1969-70 წლებში რევაზ ბერულავა მივლინებული იყო იტალიაში, სადაც უცხოელი მეცნიერი თანამშრომლის რანგში მუშაობდა რომის უნივერსიტეტის ელექტრონიკის ინსტიტუტში, რის შედეგადაც საკავშირო გამომცემლობა „ენერგიაში“ 1970 წელს დაისტამბა მისი მონოგრაფია „ტრანზისტორული დინამიური ელემენტები და მოწყობილობები. გათვლა და დაპროექტება“. რეზო ბერულავა კიდევ სამი მონოგრაფიის, ორი სახელმძღვანელოს და 160-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ლექსიკოგრაფიისა და ტერმინოლოგიის საკითხებს ეძღვნება, რითაც ის ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე დაინტერესდა. მან დააარსა მეცნიერების სხვადასხვა დარგის პროფესიული ლექსიკონების შექმნა-გამოცემაზე ორიენტირებული გამომცემლობა „იბერთედ-პრესი“, სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ლექსიკოგრაფიულ ცენტრს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ტერმინოლოგიის სექტორს. რევაზ ბერულავა არჩეული იყო ევროპის საერთაშორისო ასოციაციის „ეურალექს“ (Euralex, oxford UKძ ნამდვილ წევრად, დაჯილდოებული იყო ივანე ჯავახიშვილის მედლით.

რევაზ ბერულავა იყო უაღრესად ენერგიული და შრომისმოყვარე ადამიანი, შესანიშნავი მეოჯახე, ურთიერთობაში გულწრფელი და ერთგული.

ნათელში იყოს მისი სული.

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,**
**გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი.**

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი თანაუგრძნობს პროფესორ ცაცა ჩხარტიშვილს დედის

ლოლა ჩხარტიშვილის

გარდაცვალების გამო.

---



საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პროფკავშირების საკურორტო სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული ექიმი, ღირსეული პიროვნება და მოქალაქე

ვალნინ ცხოვრებაშვილი

პანაშვიდი 22, 23 VI 17 სთ, დაკრძალვა 24 VI 15 სთ. მის: თბილისი, თამარაშვილის 2ა (ვაკის პარკთანძ.

**საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება.**

---

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუშაკთა პროფესიული კავშირის საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს ღვაწლმოსილი პროფკავშირული მუშაკის

ვალნინ ცხოვრებაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

სს „აკ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ქალბატონ ეთერ ჯანელიძეს გარდაეცვალა მეუღლე

ვალნინ ცხოვრებაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

შპს „პროფკურორტი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს პროფკავშირების საკურორტო სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკის, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის

ვალნინ ცხოვრებაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გურამ გომართელი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი ნათესავის

ვალნინ ცხოვრებაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

ნიკოლოზ სხირტლაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

## საეკლესიო კალენდარი

# ღირსი იოანე შავთელ-განათელი

**22 ივნისს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ღირს იოანე შავთელ-განათელს, რომელიც XII-XIII საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი პოეტი, ფილოსოფოსი და რიტორი იყო.**

„ქართლის ცხოვრებაში“ იგი მოიხსენიება, როგორც „ლექსთა გამომთქმელი და მოღვაწებათა შინა განთქმული“.

ღირსმა იოანემ ახალგაზრდობაში მიიღო უმაღლესი განათლება გელათის მონასტერთან არსებულ აკადემიაში, სადაც შეისწავლა წმიდა მამათა თხზულებები, ანტიკური და არაბული ისტორია, ფილოსოფია. შემდეგ ბერად აღიკვეცა და დიდხანს მოღვაწეობდა ვარძიის მონასტერში. იგი წმიდა თამარ მეფის თანამედროვე იყო.

იოანე შავთელ-განათელმა ღვთივსათნო ცხოვრებით და გამუდმებული სულიერი მოღვაწეობით უფლისგან მიიღო ბრძნადმეტყველების მადლი.

მისი შემოქმედებიდან ჩვენამდე მოღწეულია ცნობილი ოდა „აბდულ–მესია“ და „გალობანი ვარძიის ღვთისმშობელისანი“.



იოანე შავთელ-განათელმა ღრმა მოხუცებულობამდე მიაღწია და მშვიდად აღესრულა.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

## გვემრავლოს!

# კვლავაც ბევრჯერ მობვლოცოს!

კიდევ ერთი წევრი შეემატა რუსიკო კენჭაძისა და ოთარ ორჯონიკიძის ახალგაზრდა ოჯახს. ამ დღეებში მათ მეორე შვილი შეეძინათ. ამაღლდა ჭერი, ზეიმია ორჯონიკიძეებსა და კენჭაძეებში. პაპის სეხნიის – პაწია თემურის ამქვეყნად მოვლინებით უფროსებთან ერთად დიდად გაიხარა მისმა დაიკომ, 6 წლის თვალხატულა ანამ.



შპს „სამკურნალო კომბინატის“ მედპერსონალი გულითადად ულოცავთ ამავე კომბინატის კარდიოლოგს, ღირსეულ ქალბატონს დარეჯან კახიძესა და მის მეუღლეს თემურ ორჯონიკიძეს მეორე შვილიშვილის შემატებას. კიდევ ბევრჯერ გაეხაროთ რუსიკოსა და ოთარის ბედნიერებით, მათ კი ტკბილი ბებია-პაპობით.

**კოლეგების სახელით ციცო სიხარულიძე.**

**ჩვენი ტელეფონია: 98-96-33.**

## ანეკდოტები

**ჩვენს ხალხს არ შეუძლია არანაირი უმსგავსობის დიდხანს ატანა და ამიტომაც სწრაფად ეჩვევა მას.**



* * *

**მაპატიეთ, ღვთის გულისთვის, მართალია, ძალიან მეუხერხულება ამის თხოვნა, მაგრამ, თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება, იქნებ ცოტა ხნით დამიკავოთ ეს ჩანთა, სანამ იმ ჩათლახს გამოყეყეჩებულ სიფათში არ ჩავაფარებ!**

* * *

**როცა მამაკაცები მას ასაკს ეკითხებოდნენ, ის კეკლუცად კისკისებდა და უპასუხებდა, რომ ქალი ზუსტად იმდენი წლისაა, რამდენისაც გამომეტყველება აქვს. ზოგიერთი მას უჯერებდა და დიდ პრობლემებსაც იქმნიდა – თალლითი თხუთმეტისაც არ იყო.**

* * *

**– ქვირფასო, რა არის, რომ შარვალი გივარდება, დასუსტდი თუ რა? – ეკითხება ცოლი ქმარს.**

**– არა, უბრალოდ ქამრის ბალთა გაფუჭდა...**

* * *

**– რატომ აღიქვეს რუსებმა ასე მტკივნეულად ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უკრაინელები გაზს იპარავენ? ნუთუ მხოლოდ გაზშია საქმე?**

**– რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ, ქურდობის ხარჯზე ცხოვრება – ეს მრავალი რუსის ეროვნული იდეაა. მათ კი საკუთარი ეროვნული იდეის სხვისთვის მიცემა არ სურთ.**

## ლარის კურსი

### 22 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2765 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7774 | ლარი |
| ევრო | 1 | 2,2350 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0657 | ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9835 | ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0,4225 | ლარი |

## რეიტინგი

# ფულები არის მათი გამხარებელი...

**პოპულარული ჟურნალი „Forbes“-ი ყოველწლიურად აქვეყნებს მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ადამიანების ასეულს. მათ შორის არიან სპორტსმენები, მსახიობები, მომღერლები.** ჩამონათვალი უმთავრესად ეფუძნება სხვადასხვა ყურმოკრულ ფაქტებს და ამა თუ იმ პიროვნების შემოსავლებზე ატეხილ აჟიოტაჟს. მილიონერთა შორის ჩვენი მეზობელი რუსეთელი მარია შარაპოვაც მოხვდა. ჟურნალისტურ გამოკვლევებს თუ ვენდობით, შარშან მისი შემოსავალი 19 მლნ. დოლარი იყო. მარიამ ასეულში მხოლოდ 63-ე ადგილი დაიკავა (შარშან იგი 57-ე იყო).

ჩამონათვალში პირველ ადგილზე ტომ კრუზი გავიდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი განსაკუთრებით მდიდარ ადამიანად არ ითვლება. შარშან მან 67 მლნ. დოლარი გამოიმუშავა. იგი პირველი მსახიობია, რომელიც ამ რეიტინგში ორჯერ იყო პირველ ადგილზე (პირველად იგი 2001 წელს დაასახელეს საუკეთესოდ).

როკის ვეტერანებმა ლეგენდარულმა Rolling Stones და u2 ჩამონათვალში შესაბამისად მეორე და მეოთხე ადგილები დაიკავეს.

შარშან პირველობა არავის დაუთმო ცნობილმა ამერიკელმა ტელეწამყვანმა ოპრა უინფრიმ. წლეულს იგი 225 მლნ.შემოსავლით მესამე ადგილზეა.

ყველაზე მაღალანაზღაურებად პიროვნებად ჩამონათვალში აღმოჩნდა კინორეჟისორი და პროდიუსერი სტივენ სპილბერგი, რომლის შემოსავალიც წელიწადში 332 მლნ. დოლარს შეადგენს. მიუხედავად ამისა, იგი მეექვსე ადგილს დასჯერდა.

ყველაზე მდიდარი სპორტსმენი, ჟურნალის ვერსიით გოლფის მოთამაშე ტიგერ ვუდსია. მან 90 მლნ. შემოსავლის წყალობით მეხუთე ადგილი დაიკავა. მეშვიდე ადგილზეა ჩვენთვის არცთუ კარგად ცნობილი, მაგრამ ამერიკაში მეტად პოპულარული რადიოდიქტორი ჰოვარდ სტერნი. ჩამონათვალში პირველად მოხვდა ერთადერთი რეპერი so cent. იგი მერვე ადგილზეა, მაგრამ მისი შემოსავალი რატომღაც გაასაიდუმლოეს.

მეცხრე ადგილზე პოპულარულ სერიალ The Sopranos მსახიობთა მთელი კოლექტივი გავიდა.

პირველ ათეულს ჩამკეტად მოევლინა გახმაურებული „და ვინჩის კოდის“ ავტორი დენ ბრაუნი. შარშან მთელ მსოფლიოში ამ წიგნის 61 მლნ. ეგზემპლარი გაიყიდა.

მსახიობი ბრედ პიტმა, რომელიც შარშან მეთერთმეტე პოზიციაზე იყო, წლეულს ერთი საფეხურით დაბლა ჩაინაცვლა. მისი ყოფილი და ამჟამინდელი მეგობარი ქალბატონები ჯენიფერ ანისტონი და ანჯელინა ჯოლი ჩამონათვალშიც მეზობლობენ, შესაბამისად 35 და 36 ადგილს ინაწილებენ.



ტომ კრუზი



Rolling Stones



ოპრა უინფრი



სტივენ სპილბერგი



მარია შარაპოვა

## ბუნება



**იცით თუ არა, რომ ჭიანჭველჭამია წუთში 160-ჯერ ყოფს ენას პირიდან. მის წებოვან ენის ზედაპირს 500 ტერმიტი ეკრობა, რომლითაც იგი იკვებება. სხვათა შორის ჭიანჭველაჭამია ჭიანჭველებს არ ჭამს.**

## დარია თუ ავდარია

### ამინდი 22 ივნისს

**დასავლეთ საქართველოში –** მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +22⁰ – +29⁰, ღამით +15⁰ – +19⁰.



**აღმოსავლეთ საქართველოში** – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +22⁰ – +28⁰, ღამით +15⁰ – +20⁰.

**თბილისში –** ცვალებადი მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: ღამით +19⁰, დღისით +29⁰.

**ბათუმი** – (წვიმა) ღ. +18⁰, დ. +24⁰; **სოხუმი** – (წვიმა) ღ. +18⁰, დ. +26⁰; **ქუთაისი** – ღ. +20⁰, დ. +24⁰, **ოზურგეთი** – ღ. +17⁰, დ. +26⁰, **ზესტაფონი** – ღ. +18⁰, დ. +29⁰; **რუსთავი** – ღ. +19⁰, დ. +29⁰, **ფოთი** – (წვიმა) ღ. +18⁰, დ. +27⁰; **მესტია** – ღ. +14⁰, დ. +19⁰; **სტეფანწმინდა** – ღ. +15⁰, დ. +20⁰; **თელავი** – ღ. +20⁰, დ. +30⁰; **გორი** – ღ. +16⁰, დ. +25⁰; **ახალციხე** – ღ. +14⁰ დ. +23⁰; **ბორჯომი** – (წვიმა) ღ. +15⁰, დ. +24⁰; **ცხინვალი** – ღ. +12⁰, დ. +25⁰; **სამტრედია** – (წვიმა) ღ. +19⁰, დ. +27⁰; **ზუგდიდი** – (წვიმა) ღ. +17⁰, დ. +25⁰; **ჭიათურა** – (წვიმა) ღ. +17⁰, დ. +25⁰.

## ანთროპომეტრული მონაცემები

# ფრემბურთს ვერ ითამაშებენ

### რა სიმაღლისა იყვნენ რუსი კლასიკოსები



| ჩეხოვი | გორკი | ბლოკი | ტოლსტოი | ესენინი | დოსტოევსკი | პუშკინი | გოგოლი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1,86 მ | 1,85 მ | 1,78 მ | 1,75 მ | 1,68 მ | 1,68 მ | 1,61 მ | 1,60 მ |

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი **რუსლან რუსია.**
მორიგე რედაქტორი **ოთარ ტურაბელიძე**

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.